www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 29 სექტემბერი, 2006 წელი. №215 (1367) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## ბიზნესი

ჩემები-უნივერსალი ახალი მიდგომა ჯანმრთელობის დაზღვევაში!

B2


თიბისი ბანკი TBC Bank

### თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 29/09 | 30/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | 26 |
| ბათუმი | 28 | 27 |
| სოხუმი | 28 | 25 |
| ქუთაისი | 29 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7360 |
| ევრო | 2.2073 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.2647 |
| რუბლი | 0.0649 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# გაბრაზებული რუსები იმუქრებიან



*სერგეი ლავროვი.*



*სერგეი ივანოვი.*

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირება უკიდურესად მწვავდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ("გრუ") ჯაშუშური ქსელის გამოვლენამ ოფიციალური მოსკოვი ძალიან გააღიზიანა. რუსეთის სხვადასხვა უწყებებისა და ცალკეული პოლიტიკოსების მხრიდან გუშინ არაერთი ულტიმატუმი და მუქარანარევი განცხადება გაისმა.*

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართველი ძალოვნების მიერ 27 სექტემბერს განხორციელებული სპეცოპერაცია თბილისის "მორიგ უხეშ გამოხდომად" შეაფასა და რუსი ოფიცრების დაკავება "საქართველოს ხელისუფლების ანტირუსული კურსის დადასტურებად" მიიჩნია. სერგეი ლავროვის უწყება დაკავებულების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუს სამხედრო მოსამსახურეებს საქართველოში სისტემატურად ექმნებათ წინააღმდეგობები. იუჟნი-სახალინსკში მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე "საქართველოს ქცევის" საკითხის განხილვა მოითხოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# წინასაარჩევნო დარღვევები იმერეთში

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

*ქუთაისში წინასაარჩევნო კამპანიას, ერთი შეხედვით, მხოლოდ მმართველი პარტია წარმართავს. ქალაქის ყველა ბოძზე გაკრული პრეზიდენტის პლაკატი მოსახლეობას "საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის" სიის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. ოპოზიციური პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფების კანდიდატები ამბობენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და მმართველი პარტია მათ სააგიტაციო და სარეკლამო მასალების გავრცელების საშუალებას არ აძლევს.*

ამის გამო, ქუთაისში მყოფმა ეუთო-ს საარჩევნო სამეთვალყურეო მისიის წარმომადგენლებმა გუშინ შენიშვნა მისცეს მხარისა და ქალაქის მთვრობის პირველ პირებს. უცხოელ მეთვალყურეებს, ქუთაისში ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებთან და არასამათავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების შემდეგ, წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი კიდევ არაერთი დარღვევის დაფიქსირება მოუხდათ.

ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ყველაზე მეტად ყურადღებას სახელისუფლებო კანდიდატების მხრიდან საბიუჯეტო თანხებისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტებზე ამახვილებენ.

**"ჩვენთვის ცნობილი გახდა "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის ნესტორ ფრუიძის მიერ მოსახლეობისთვის საჩუქრის გადაცემის შესახებ. როგორც გაცხადდა, მან კოპიტნარის მოსახლეობას საჩუქრად გადასცა ავტობუსი, რომელიც ქუთაისის მიმართულებით რეგულარულ რეისებს შეასრულებს. ამ შემთხვევაში, კანონდარღვევა არ მომხდარა, რადგან სინამდვილეში აღნიშნული ავტობუსი სატრანსპორტო სამსახურმა დანიშნა. მაგრამ აქ საუბარია იმ დარღვევაზე, რომ თითქოს ეს ფრუიძის საჩუქარი იყო. ამას ემატება ისიც, რომ მან ბავშვებს საჩუქრად ბურთები და მაისურები გადასცა. ეს ყოველივე წინააღმდეგობაში მოდის კანონთან, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო სუბიექტის მიერ პირადად ან მისი წარმომადგენლის მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით ამომრჩევლისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრების გადაცემა აკრძალულია,"** - აცხადებს "სამართლიანი არჩევნების" ქუთაისის კოორდინატორი გიგა მელქაძე.

წინასაარჩევნო პერიოდში სახელისუფლებო პარტიის კანდიდატები ქუთაისის სხვადასხვა უბანში ერთმანეთის მიყოლებით ხსნიან და არემონტებენ სპორტულ მოედნებსა და გზებს, რაც ქუთაისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ფინანსდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველოდან მორიგი ინვესტორი მიდის

**ENERGO-PRO**-მ ქართულ აქტივებზე, შესაძლოა, უარი თქვას

B

დიანა ჩაჩუა

*"საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" მფლობელად გამოცხადებული "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორეიშენის", ოდნავ მოგვიანებით კი, "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის მყიდველის "ევრაზჰოლდინგის" უეცარი "აორთქლება" თავის დროზე ქართულ საპრივატიზაციო სივრცეში ნაღმის აფეთქების ტოლფასი იყო. ეფექტი გაცილებით დიდი იქნება, თუ ერთი საგულისხმო ინფორმაცია დადასტურდება.*



## ეფექტური და თავმოყვარე სახელმწიფო

*საქართველოს რუსეთის მხრიდან სანქციების არ ეშინია. მოსკოვის მუქარებს ქვეყნის ხელისუფლება მშვიდად ხვდება და რუსეთში ატეხლი "ისტერიკის" გამო გაკვირვებასაც გამოთქვამს. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ჯაშუშების გამოვლენა ყველა სამართლებრივი პროცედურის დაცვით გაგრძელდება, ხოლო საქართველომ დაადასტურა, რომ ქმედითი და ეფექტიანი სახელმწიფოა.*

ნათია მსხილაძე

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის სანქციების დაწესებას "ზედმეტი ემოციისა და დაძაბვის გარეშე" უნდა მივუდგეთ. სანქციების მიუხედავად, ჯაშუშების გამოვლენა ყველა სამართლებრივი პროცედურის დაცვით გაგრძელდება. **"ჩვენი კონტრდაზვერვა მუშაობს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია და ვმუშაობთ სახელმწიფოს დემოკრატიული სისტემისა და მისი უსაფრთხოების დაცვისათვის. ალბათ, ამ ხალხს ეგონა, რომ ვხუმრობდი ან ვტრაბახობდი. დროა მათ ისწავლონ, რომ ჩვენ ტყუილად არასდროს არაფერს ვამბობთ. ყველა უნდა მიხვდეს, რომ ჩვენ ვართ არა შევარდნაძის დროინდელი გაურკვეველი წარმონაქმნი, არამედ ნამდვილი ქმედითი, ეფექტიანი დემოკრატიული სახელმწიფო. ვაკეთებთ ყველაფერ იმას, რასაც ნებისმიერი სხვა დემოკრატიული სახელმწიფო გააკეთებდა. არსებობს ზღვარი, რომელსაც ყველა თავმოყვარე სახელმწიფო დაიცავს",** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტისთვის გაუგებარი აღმოჩნდა ის " ისტერიკა", რომელიც რუსეთის მოქალაქეების ოჯახის წევრების ევაკუაციასთან დაკავშირებით ატყდა. სააკაშვილის განცხადებით, მათ არაფერი ემუქრებათ, რადგან ყველას უფლებები იქნება დაცული და უზრუნველყოფილი. **"საქართველო მოქმედებს იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებიც აქვს გაფორმებული. ჩვენ გვაქვს სახელმწიფო აპარატი, რომელიც კანონის სრული დაცვით ფუნქციონირებს,"** -აცხადებს სააკაშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" გენერალური რეპეტიცია

ვერიკო თევზაძე

**"ღონისძიების დაწყებამდე ჟურნალისტებმა მკითხეს, რა ხდებაო. მე ვუპასუხე, რომ ეს არის 5 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების ზეიმის გენერალური რეპეტიცია,"** - ამგვარი ოპტიმისტური განაცხადი გააკეთა გუშინ რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა, ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" ამომრჩეველთან შეხვედრაზე.

ბლოკის წევრები და მათი თანამოაზრეები ხშირად შენიშნავდნენ, რომ ეს საარჩევნო ბრძოლა არის უთანასწორო. მიუხედავად ამისა, ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ, იმედიანი განწყობა შეენარჩუნებინათ და შესაბამისად, ამომრჩევლებსაც აქეზებდნენ, აქტიურობისკენ უბიძგებდნენ. **"ბრძოლას აზრი აქვს. აუცილებლად მიიღეთ არჩევნებში მონაწილეობა და აუცილებლად შეიცვლება სიტუაცია,"** - ასე მიმართა დარბაზს "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა.

თბილისის მერობის კანდიდატმა კობა დავითაშვილმა ამომრჩეველს აუხსნა, თუ რატომ და რისთვის თქვა უარი დეპუტატის მანდატზე: **"პოლიტიკოსისათვის მთავარი ამოცანაა, საზოგადოების აზრი წარმოადგინოს ხელისუფლებაში. ამის საშუალებას იძლევა არჩევნები. ამიტომაც წამოვედი პარლამენტიდან."** დავითაშვილმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოახერხა, ხალხისთვის ისე მოეთხრო თავისი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პრინციპების შესახებ, რომ იმავდროულად, გიგა ბოკერიასთვისაც გაეკრა კბილი: **"მე დავდექი არჩევანის წინაშე. საკამოდ მაღალ თანამდებობებს მთავაზობდნენ, ოღონდ - მძიმე პირობის ფასად: ან პირში წყალი უნდა ჩამეგუბებინა და დავდუმებულიყავი, ან გიგა ბოკერია გავმხდარიყავი და შავისთვის თეთრი მეწოდებინა. გიგა ბოკერიობას რიგითი მოქალაქეობა ვამჯობინე."**

გაგრძელება A2 გვერდზე

## შსს-მ მტკიცებულებების გამოქვეყნება დაიწყო

*ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო შტაბი გუშინ მთელი დღის განმავლობაში კვლავ საპატრულო პოლიციის ალყაში იყო მოქცეული. სამართალდამცველების მტკიცებით, ჯაშუშობაში ბრალდებული, ამიერკავკასიაში რუსეთის შეიარაღებული ძალების შტაბის პოდპოლკოვნიკი, კონსტანტინე პუგაჩი კვლავ შტაბში იმალება. როგორც შსს-ში აცხადებენ, სამართალდამცველთა კონტროლი სამხედრო შტაბზე მხოლოდ მაშინ მოიხსნება, როდესაც კონსტანტინე პუგაჩს ხელბორკილებს დაადებენ.*

სამართალდამცველებმა ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი რუსეთის სადაზვერვო სამსახურის კიდევ ორი წარმომადგენელი დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე აზიზ ასლანიანი - ბათუმში, ხოლო რუსლან სკრილნიკოვი თბილისში აიყვანეს. პოლიცია ამ დრომდე ეძებს, ასევე, ჯაშუშობაში ეჭვმიტანილ ზია სამნიძეს, რომელიც 6 სექტემბერს დაკავებული იგორ გიორგაძის მომხრე რამაზ სამნიძის ძმაა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ იმ მტკიცებულებების გავრცელება დაიწყო, რომლებიც, შს მინისტრის მტკიცებით, საქართველოში გრუ-ს აგენტურული ქსელის საქმიანობას ადასტურებს. ვანო მერაბიშვილის უწყებამ ის აუდიო და ვიდეო მასალა გამოაქვეყნა, რომლეზეც ასახულია ბოლო ორი დღის განმავლობაში დაკავებულების, ჯაშუშობაში ეჭვმიტანილების დანაშაულებრივი საქმიანობა.

**"ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აშკარად ადასტურებს, რომ გრუ-ს ოფიცრები პირადად აწარმოებდნენ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას, ქმნიდნენ ჯაშუშურ ქსელს საქართველოს ტერიტორიაზე, რომელშიც საქართველოს მოქალაქეებს ითრევდნენ. საქართველოს მოქალაქეებს აღნიშნული პირები ავალებდნენ საიდუმლო დოკუმენტების მოპოვებას და სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის შესრულებას,"** - განაცხადა გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ხმები ახალი ფრაქციის შექმნის შესახებ გადაჭარბებულია

*ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები ახალი საპარლამენტო ფრაქციის შექმნის შესახებ. ამ ახალ კულუარულ ინფორმაციას საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევს ქართული მედიაც. ამასთან, უკვე სახელდებიან ის დეპუტატები, რომლებიც ამ ახალ ფრაქციაში უნდა გაწევრიანდნენ. თუმცა, როგორც "24 საათმა" გაარკვია, პარლამენტში ახალი პოლიტიკური დაჯგუფების შექმნა უფრო ორიოდე დეპუტატის სურვილია, ვიდრე გარდაუვალი რეალობა.*

თამარ ასათიანი

"კონსერვატორი" გოჩა ჯოჯუა, რომელიც პარლამენტის კულუარებში საკმაოდ აქტიურად მოძრაობს და მეგობრული ურთიერთობების დამყარებას, მეტ-ნაკლებად, ყველასთან ცდილობს, დიდი ხანია, ახალი ფრაქციის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს. თანაც, ეს ძალა ისეთი უნდა იყოს, რომ, როგორც იტყვიან, არც მწვადი დაწვას და არც შამფური, ანუ არც საპარლამენტო უმრავლესობის სატელიტის სახელი "მიიწებოს" და არც რადიკალურ ოპოზიციურ ჯგუფად მოიაზრებოდეს.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება შანსი ამ ფრაქციას (თუკი, რა თქმა უნდა, იგი შეიქმნება), პარლამენტში მისაღები თუ არა, საჭირო ძალა გახდეს, რადგან საიდუმლოს ნამდვილად არ წარმოადგენს, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ საკმაოდ საინტერესო პროცესების მოწმენი გავხდებით (გავრცელებული ინფორმაციით, აღმასრულებელ ხელისუფლებში მალე "კადრების გადახალისება" დაიწყება. გარკვეულ გადაჯგუფებას უნდა ველოდოთ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც). ამ ფონზე პოლიტიკურ სცენაზე ადგილის მოპოვების სურვილი ნამდვილად გასაგებია.

თუკი გადავხედავთ იმ ადამიანთა სიას, ვინც, იგივე გოჩა ჯოჯუას ვერსიით, ახალ ფრაქციაში გაწევრიანდება, ერთი, ფრიად საინტერესო დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: მასში, ორი-სამი დეპუტატის გამოკლებით, ის ადამიანები შევლენ, რომლებმაც ვერც პარლამენტში და ვერც მის გარეთ დიდი პოლიტიკური წონა ვერ შეიძინეს. ანუ გამოდის, რომ ახალი ფრაქცია მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ზედაპირზე დარჩენისთვის უნდა გაისარჯოს (ისეთების, როგორიც გოჩა ჯოჯუა ან ვალერი გელბახიანია).

აქვე დავძენთ, რომ ინფორმაცია ამ ახალ ფრაქციაში "მემარჯვენე" კოკა გუნცაძის, "კონსერვატორების" - კახა კუკავასა და ზვიად გუნავას, ასევე, უმრავლესობის წევრ გუგული მაღრაძის გაწევრიანების შესახებ აშკარად გადაჭარბებებულია - გუნცაძეც, კუკავაც და გუნავაც ღიად აცხადებენ, რომ ამ ფრაქციაში გაწევრიანების არანაირი სურვილი არ აქვთ. რაც შეეხება გუგული მაღრაძეს, მართალია, მას ნამდვილად არ აქვს განსაკუთრებით თბილი ურთიერთობები საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებთან, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი საკმაოდ საინტერესო დეტალი: გავრცელებული ინფორმაციით, იგი პრეზიდენტ სააკაშვილის დედის - გიული ალასანიას მეგობარია. ასე რომ, მკვეთრი ნაბიჯის გადადგმამდე ეს დეპუტატი საკმაოდ ბევრს იფიქრებს.

ინკოგნიტო წყარო "24 საათს" "გაენდო", რომ გოჩა ჯოჯუაც და ვალერი გელბახიანიც აქტიურად მუშაობენ ვანო ჩხარტიშვილის ფრაქციის წევრებთან; უფრო ზუსტად - იმ მაჟორიტარებთან, ვისაც მომავალი მოწვევის პარლამენტში მოხვედრის შანსი თითქმის არ აქვთ. თუმცა, ეს კონსულტაციები ინტენსიური ნამდვილად არ არის, რადგან იგივე მაჟორიტარები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მმართველ პარტიას საკუთარ რაიონებში საკუთარი მნიშვნელობა დაანახონ.

და ბოლოს: ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იმის მიუხედავად, შეიქმნება თუ არა ახალი ფრაქცია, გოჩა ჯოჯუამ მართველ პარტიას ერთი კარგი საქმე მაინც გაუკეთა - ამ ხმების გავრცელებით, საზოგადოების თვალში ისედაც სუსტი ოპოზიცია უფრო დაასუსტა და რეიტინგი უფრო დაუგდო. იმასაც ვარაუდობენ, რომ ამით ჯოჯუამ პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. ახლა მას მხოლოდ ისღა რჩება, დაელოდოს, რამდენად დაუფასებენ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები ამ გარჯას.

# თავისუფალი სიტყვა

**მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ნინია კაკაბაძეს. სტუდიის სტუმრები არიან თეატრმცოდნე ლევან ხეთაგური და მწერალი ზაზა ბურჭულაძე.**

**ნინია კაკაბაძე:** თუ არსებობს კულტურის პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში?

**ლევან ხეთაგური:** საკმაოდ რთული შეკითხვაა, თუ ჩვენ ევროპაში არსებული ტრადიციის კუთხით შევხედავთ, ამ მხრივ ნახევარ გზაზე ვართ, მაგრამ, ჩამოყალიბებული კულტურული პოლიტიკა არ გვაქვს. თუმცა შესამჩნევია კულტურის პოლიტიკის ნიშნები. ეს პროცესი რამდენიმე წელია გრძელდება. მაგალითად, ევროსაბჭოს დახმარებით გარკვეულწილად მოხდა საქართველოს კულტურის პოლიტიკის საფუძვლების შესაწავლა და ევროსაბჭომ გამოაქვეყნა კიდეც ეს დოკუმენტი, ეს გახლდათ სადღაც 2003 წელს. დღევანდელი დღიდან გამომდინარე ყველაზე ნათელი მაგალითი კულტურის პოლიტიკისა არის ის, რომ ქვეყანა ცალსახად აცხადებს, რომ პრიორიტეტი ტრადიციული ხელოვნებაა. ეს, ალბათ პროპორციულია ფინანსური პროგრამების თვალსაზრისით. ქართული ნაციონალური ანსამბლებისათვის, კოსტუმებისა და რეკვიზიტების შესაძენად 3 მილიონის გამოყოფა. ის, რომ ქართული ფოლკლორის მხარდასაჭერად ისევ გამოცხადდა სახელმწიფო პროგრამა, ეს შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კულტურის ნაწილი. მაგრამ რაც შეეხება კულტურის პოლიტიკას, როგორც ჩამოყალიბებულ დოკუმენტს, რომელიც ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანებისთვის იქნება გარკვეული მეგზური, რათა მათ გაარკვიონ რა უფლება აქვთ, ან რისი იმედი არ უნდა ჰქონდეთ, ასეთი დოკუმენტი ჯერ არ გვაქვს.

**ნ.კ.** ჩემთვისაც, როგორც რიგითი მაყურებლისთის ნათელია, რომ ქვეყანაში პრიორიტეტი არის ძველი ტრადიციული ფოლკლორი, რომელიც თავისთავად კარგია და ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ რას ფიქრობთ, რამდენად სწორი და გამართლებულია ხელისუფლების ეს ნაბიჯი, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ძველს ვირჩევთ პრიორიტეტად?

**ზაზა ბურჭულაძე:** რაც შეეხება კულტურის პოლიტიკას, შეიძლება შევადაროთ ფასადების შეღებვას, საფარის დაგებას, რაღაც ზედაპირული მგონია ეს ყველაფერი, ეს ჩემი, ერთი ადამიანის აზრია და ვფიქრობ, ბუტაფორიაა. ნაგავი როგორც არ უნდა შევფუთოთ მაინც ნაგვად დარჩება. რაც შეეხება ახალ მშენებლობებს, კერძო სტრუქტურები და ფირმები აშენებენ. ჩვენი პრეზიდენტი რომ იბრალებს, ეს არ არის სწორი. მე ვერ დავიბრალებ, რომ "ჯადოსნური მთა" მე დავწერე. რაც შეეხება ძველის არჩევას, ეს ანაქრონიზმი მგონია. აქვე განვმარტავ, რომ მე არ ვარ შევარდნაძისტი, მაგრამ არც სააკაშვილისტი ვარ. ასე მგონია, შევარდნაძეს კულტურის მოღვაწეებისადმი ჰქონდა კომუნისტური დამოკიდებულება და რჩეულთა ხვედრი იყო, რაღაც სუბსიდიებით სარგებლობა. ეს მორჩა, აღარ არის. თათარაშვილი თუ ყიდის "სუბუტექსს" უნდა დავიჭიროთ, თუ არ დავიჭერთ ესაა ჩვენი უბედურება. შევარდნაძის დროს არ დავიჭერდით. სააკაშვილმა რომ გაყიდოს "სუბუტექსი" ისიც უნდა დავიჭიროთ, მაგრამ თავისუფალი სიტყვის გამო არ უნდა დავიჭიროთ, სააკაშვილი იჭერს თავისუფალი სიტყვის გამო.

დავუბრუნდეთ კულტურას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს კულტურა კი არაა, კულტურიზმია, კუნთებს ვათამაშებთ, მაგრამ შინაგანად მაინც წრუწუნები ვართ. გარეგნულია ეს ყველაფერი, მოჩვენებითი. ლევანს დავესესხები, შეიძლება დასავლური მიდგომა და ნიშნები ამაში იკვეთება, მაგრამ დასავლეთში როგორაა? თუ არ ხარ ხელისუფლების კურსის მომხრე, არ აგიკრძალავს არსებობას, სამაგიეროდ შენი თავი თავად აცხოვრე. ეს ჯანმრთელი დამოკიდებულებაა. რაც შეეხება ძველს, ეს ანაქრონიზმია. გაუთავებელი ჩოხები, ხელში ატატებები და ა.შ.

**ნ.კ.** რისი მაჩვენებელი უნდა იყოს, როდესაც პრრიორიტეტად ვირჩევთ მხოლოდ ძველ სიმღერას, მხოლოდ ძველ ცეკვას?

**ზ.ბ.** მეგონი ეს ჩამორჩენობის ბრალია. მაგალითად, არ მომწონს ჩოხა-ფართი, ასეთი სიტყვათა შეთანხმებები შეუსაბამობაში მოდის. გალაკტიონი ამბობდა, ახალი მოგვეცით ახალი. ახალი არა გვაქვს, გვაქვს ცუდად შეღებილი ძველი.

# "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" გენერალური რეპეტიცია

პირველი გვერდიდან

დავითაშვილი, გამარჯვების შემთხვევაში, საშუალო ასაკის მოსახლეობას დასაქმების პრობლემის მოგვარებას ჰპირდება. კობა დავითაშვილს პრეზიდენტის დასაქმების პროგრამისა არ სჯერა. **"ამ პროგრამის ამოცანაა არა დასაქმება, არამედ მოსყიდვა,"** - შენიშნავს დეპუტატობის კანდიდატი.

აქტიური წინასარჩევნო შეხვედრების გამო, საბურთალოს მაჟორიტარი კანდიდატი თინა ხიდაშელი გუშინ ოდნავ მისუსტებული ხმით საუბრობდა. რაც მთავარია, ხიდაშელი დარწმუნებულია, რომ მას ამომრჩევლის ხმა ეყოფა გამარჯვებისთვის. თინა ხიდაშელის შეფასებით, ხელისუფლება თავისი მოქალაქეების მიმართ უკანონო დაპატიმრებებს და სხვა ძალადობრივ ქმედებებს ახორციელებს.



ბლოკი "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" წარმომადგენლები ცდილობდნენ, ამომრჩეველი თავიანთ გულწრფელობაში დაერწმუნებინათ. **"ჩვენ გუშინ სააკაშვილის გვერდზე ვიდექით და დღეს ეს შეცდომა რომ გამოვასწოროთ, ამისათვის ვღებულობთ არჩვენებში მონაწილეობას. ამ შეცდომის გამოსწორებაში თქვენ უნდა დაგვეხმაროთ,"** - ასე მიმართავდა დარბაზს თინა ხიდაშელი.

ლევან ბერძენიშვილი მმართველ გუნდს ერთ რამეში ემადლიერება. გუშინ მან სახელისუფლებო ძალებს საარჩევნო კლიპისთვის მადლობა გადაუხადა. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ "ნაციონალური მოძრაობის" კლიპი ოპოზიციაზე "იმუშავებს". ზვიად ძიძიგურმა გუშინდელ შეხვედრაზე ოდნავ ძველი, მაგრამ ყველასთვის კარგად ცნობილი კლიპი გაიხსენა და ასეთი შეკითხვა დასვა: **"ერთად რომ იპარავენ, ბიუჯეტში ერთად რომ აფათურებენ ხელებს, იმიტომ არიან ერთი გუნდი!?"**

# წინასაარჩევნო დარღვევები იმერეთში

პირველი გვერდიდან

"ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ქუთაისში ხუთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ჰყავს. ორი მათგანის - ამირან ხვადაგიანისა და ვლადიმერ კვერნაძის საარჩევნო შტაბებს იმერეთის მხარის ვიცე-გუბერნატორები - გიგა შუშანია და გია თევდორაძე ხელმძღვანელობენ. საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობის პერიოდში ისინი საჯარო სამსახურში შვებულებით სარგებლობენ. შვებულებაშია იმერეთის კიდევ ერთი ვიცე-გუბერნატორი შალვა დათუაძეც, რომელიც ბაღდათის საარჩევნო მარათონს ხელმძღვანელობს და ამისთვის, კანონით დაწესებული აკრძალვების მიუხედავად, სამსახურებრივ მანქანას იყენებს.

საარჩევნო კანონის თანახმად, არჩევნების დანიშვნის დღიდან, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს დაამზადოს სარეკლამო მოწოდებები, განცხადებები და პლაკატები და აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა. კანონის თანახმად, აუცილებელია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოყოს სპეციალური ადგილები ქუჩებში, სადაც მსგავსი სარეკლამო მასალის განთავსების უფლება ექნებათ საარჩევნო კანდიდატებს. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა საარჩევნო სუბიექტებს ამისთვის წელს იგივე ადგილები შესთავაზა, სადაც წლების მანძილზე გამოიფინებოდა საარჩევნო პლაკატები, თუმცა, როგორც გაირკვა, ნებართვა მხოლოდ ფურცელზე გაიცა.

**"არ შეიძლება ფასადებზე პლაკატების გაკვრა და ისეთ ადგილებზე, რომლებიც ქალაქს იერსახეს დაუკარგავს. ამიტომ მოვუწოდე პლაკატების გაკვრისაგან თავის შეკავება და იქვე ავღნიშნე, რომ ეს უფრო კერძო ობიექტების ვიტრაჟებზეა შესაძლებელი,"** - აცხადებს ქუთაისის მთავარი არქიტექტორი დავით ლეონიძე.

**"ჩვენი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა არქიტექტურის სამსახურში, პლაკატების გაკვრის თაობაზე, უარყოფითი პასუხი მიიღო. მაშინ სამსახურის უფროსმა დავით ლეონიძემ ჩვენთან საუბარში ისიც თქვა, რომ თუ ნებას დაგვრთავდა, სამსახურს დაკარგავდა, თუმცა, ეს ღიად არ დააფიქსირა,"** - აცხადებს მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი გრიგოლ ბახტაძე.

მსგავსი ზეწოლის ფაქტებს კატეგორიულად გამორიცხავენ მმართველი პარტიის ქუთაისის ოფისში.

**"კატეგორიულად შემიძლია განვაცხადო, რომ არც ერთი ჩვენი კანდიდატი არ სარგებლობს ადმინისტრაციული რესურსებით. რაც შეეხება ამომრჩევლების მოსყიდვის და საჩუქრების გადაცემის ფაქტს, აქ არანაირი დარღვევა არ ყოფილა, რადგან ჩვენმა კანდიდატმა საჩუქრები გადასცა ბავშვებს. 18 წლამდე, არც ერთი ბავშვი ამომრჩეველი არ არის. კოდექსი კი საჩუქრების ამომრჩევლებზე გადაცემას კრძალავს",** - აცხადებს "ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერი გოჩა თევდორაძე.

წინასაარჩევნო კამპანია იმერეთის რაიონებს შორის ყველაზე მშვიდად ხონში მიმდინარეობს. იმერეთის გუბერნატორად აკაკი ბობოხიძის დანიშვნის შემდეგ მაჟორიტარი დეპუტატის გარეშე დარჩენილი ხონელები, როგორც ჩანს, არჩევანს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ვერც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გააკეთებენ, რადგან ხონის საოლქო საარჩევნო კომისიაში მხოლოდ "ერთიანი ნეციონალური მოძრაობის" სია და კანდიდატებია დარეგისტრირებული.

რეგისტრაციიდან უკანონოდ მოხსნის ფაქტები დაფიქსირდა ჭიათურისა და ვანის რაიონებში. ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ერთდროულად 24 დამოუკიდებელ კანდიდატს გაუუქმა რეგისტრაცია იმ მოტივით, რომ მათ საარჩევნო ფონდების ანგარიშები არ წარმოადგინეს. აღნიშნული საქმე სასამართლოშიც გაირჩა, სადაც მომჩივანმა კანდიდატებმა გაარკვიეს, რომ ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მათ ისე გაუუქმა რეგისტრაცია, რომ ისინი არც არასდროს დაურეგისტრირებია, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსთვის ეს საკმარისი არგუმენტი არ აღმოჩნდა კანდიდატებისთვის რეგისტრაციის აღსადგენად.

# დაშინებული კანდიდატები

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

"დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ბლოკის გორის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი შალვა ტლაშაძე ხელისუფლების წარმომადგენლებს ოპოზიციის მაჟორიტარი კანდიდატების შანტაჟში ადანაშაულებს. მისი თქმით, რესპუბლიკელების მიერ გორის რაიონის სოფელ ნიქოზში მაჟორიტარ კანდიდატად წარდგენილმა ბადრი დევიძემ კანდიდატურა ზეწოლის გამო მოიხსნა.

**"ბადრი დევიძეს მინდა მადლობა გადავუხადო. მან ძალიან შეაშფოთა ხელისუფლება და გადაიყვანა ბრძოლის ამ ბინძურ მეთოდებზე, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ოჯახის წევრებზე მუქარის ბარიერის გადალახვა ამ ადამიანმა ვეღარ შეძლო,"** - განაცხადა შტაბის ხელმძღვანელმა.

ბლოკს გორის რაიონის 21 საარჩევნო ოლქში სულ 17 კანდიდატი ჰყავდა წარდგენილი. აქედან სამმა - ბადრი დევიძემ, პაატა ტურაშვილმა და ივანე ნუსხელიძემ, საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს. ნუსხელიძემ ეს უფრო ადრე გააკეთა, რის გამოც პარტიამ შეძლო მის ნაცვლად სხვა, ახალი კანდიდატურა დაესახელებინა.

ერთ-ერთი ყოფილი კანდიდატის შესახებ რესპუბლიკური პარტიის გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელს დავით რაზმაძეს საკუთარი ინფორმაცია გააჩნია - მისი ვარაუდით, კანდიდატურის მოხსნის სანაცვლოდ პაატა ტურაშვილს სკოლის დირექტორობას შეჰპირდნენ.

"დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" გორის საარჩევნო შტაბში მიიჩნევენ, რომ ივანე ნუსხელიძეს, ბადრი დევიძეს და პაატა ტურაშვილს გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდათ, **"ვინაიდან ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ".**

# თოფაძე ტეფტს შეხვდა

"მრეწველთა" ლიდერი და თბილისის მერობის კანდიდატი გოგი თოფაძე გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში ჯონ ტეფტს შეხვდა. როგორც ერთსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ თოფაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ელჩთან საუბრის ძირითადი თემა "საარჩევნო კოდექსი" იყო. მისი თქმით, სწორედ ახალი კოდექსის გამო, ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებასთან შედარებით არათანასწორ პირობებში აღმოჩნდნენ. "ელჩს არასრულყოფილი საარჩევნო სიების თაობაზეც ვესაუბრეთ. მან ყურადღებით მოისმინა ჩვენი პრობლემები და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში არჩევნები საქართველოში გაცილებით ობიექტურად ჩატარდება," - განაცხადა თოფაძემ. რაც შეეხება ელჩთან ვიზიტით მყოფ "მრეწველთა" პარტიის კიდევ ერთ ლიდერს, ზურაბ ტყემალაძეს, მისი თქმით, ამერიკელ დიპლომატთან საუბრისას დახურული საარჩევნო უბნების საკითხიც განიხილეს. "მხოლოდ თბილისში 5 ასეთი უბანია, სადაც ხმას ძალოვანი სტრუქტურები აძლევენ. ეს კი ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების საშუალებას აძლევს," - განაცხადა ტყემალაძემ.

*ინტერპრესნიუსი*

## *მოკლედ*

### მთავრობის გასვლით სხდომას პრეზიდენტი გახსნის

დღეს, ქუთაისში მთავრობის გასვლითი სხდომა გაიმართება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახსნის. მთავრობის სხდომაზე დასასწრებად ქუთაისში პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან ერთად პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც ჩადის. ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის საკითხები, რომელზეც მთავრობის სხდომაზე იმსჯელებენ. მთავრობის გასვლითი სხდომა ქუთაისში, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში 17.00 საათზე დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

### 129 ქართველი სამხედრო კოსოვოში

გუშინ, 129 ქართველი სამხედრო მოსამსახურე თბილისის აეროპორტიდან გერმანიის თავდაცვის სამინისტროს თვითმფრინავით კოსოვოში გაემგზავრა. ეს უკვე მერვე ქართული კონტიგენტია, რომელიც გერმანელ მშვიდობისმყოფელებთან ერთად KFOღ-ის ფარგლებში ბალკანეთში სამშვიდობო მისიას შეასრულებს. 2-27 ოქტომბერს ქართველი სამხედროები მომზადებას ლაიფციგში გაივლიან, 30 ოქტომბერს კი კოსოვოში სამშვიდობო მისიის შესრულებას შეუდგებიან. შეგახსენებთ, რომ 31 აგვისტოს 21 ქართველი სამხედრო მძღოლი უკვე გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ისინი გერმანული ტრანსპორტის მართვისთვის სათანადო მოწმებას აიღებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ცხინვალი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ იმ განცხადებების ფონზე, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე საუბარი ძალიან რთული ხდება."სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აცხადებს, რომ ვიდრე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ გადადგმულ მომდევნი ნაბიჯებზე დავიწყებთ საუბარს, საქართველომ და სამხრეთ ოსეთმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას უნდა მოაწერონ ხელი," - აცხადებს ბორის ჩოჩიევი და დასძენს, რომ ვიდრე საქართველოს ხელისუფლება არ შეწყვეტს აგრესიული განცხადებების კეთებას, კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პერსპექტივებზე საუბარიც კი ზედმეტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ლეიბორისტების ოფიციალური შეტყობინება

"ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ 3 ოქტომბერს პარლამენტის შენობის წინ სანქცირებული მიტინგისათვის გუშინ, მერიას ოფიციალური შეტყობინებით მიმართა. როგორც გუგავამ განაცხადა, პარლამენტის შენობის წინ 3 ოქტომბერს მათ ექნებათ სანქცირებული აქცია და მოუწოდებენ ქვეყნის მოსახლეობას, იზრუნონ საქართველოს კეთილდღეობაზე, შეიკრიბონ პარლამენტის წინ და მხარი დაუჭირონ მათ. როგორც გუგავამ აღნიშნა, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის თანახმად, ქალაქის მერიაში მათ განცხადება 5 დღით ადრე უნდა შეეტანათ და გაფრთხილების სახით გადაეცათ, რაც უკვე განახორციელეს. ამიტომ მათ უკვე ნებართვა აქვთ, აქცია გამართონ პარლამენტის შენობის წინ. როგორც გუგავამ განაცხადა, აქცია იქნება ფართომასშტაბიანი, რადგან ხელისუფლებამ მათ არ მისცა საშუალება, ნორმალური საარჩევნო კამპანია ჩაეტარებინათ, ისინი მოსახლეობას 3 ოქტომბერს პარლამენტის შენობის წინამდებარე ტერიტორიიდან მიმართავენ. **ინტერპრესნიუსი**

### ნარკოვითარების წლიური ანგარიში

გუშინ, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს ნარკოვითარების წლიური ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას დაესწრნენ საქართველოს საპატრიარქოს, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები; ნარკოტიკებზე მოთხოვნისა და მოწოდების შემცირებაზე მომუშავე შესაბამისი უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები; საქართველოში მინი დუბლინის ჯგუფის წარმომადგენლები.

ანგარიში მომზადებულია სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გაშუქებულია ქვეყანაში ამჟამად არსებული ნარკოვითარება, ქვეყნის ანტინარკოტიკული სტრატეგიის შემუშავების პროცესი; ნარკოკანონმდებლობის დახვეწის მიზნით პროფესიულ საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიის საკვანძო საკითხები; ტენდენციები ნარკოტიკების უკანონო მოხმარების თვალსაზრისით: ევროპიდან შემოდინებული სუბოტექსის გავრცელებისა და მოხმარების მასშტაბის ზრდა, არსებულ ნარკოლოგიური პროფილის კლინიკებში მკურნალობის მსურველთა ზრდა; ქვეყანაში მეთადონით ჩანაცვლების პირველი პროგრამის ამოქმედება და ა.შ. **ჯი-ეიჩ-ენი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# გაბრაზებული რუსები იმუქრებიან

პირველი გვერდიდან

**"არსებობს იმის საბაბი, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭო ამ პრობლემით დაკავდეს. მითუმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის საკითხში ახალ-ახალ პროვოკაციულ ნაბიჯებს დგამს. ორი კვირის შემდეგ, როდესაც უშიშროების საბჭო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ რეზოლუციას მიიღებს, რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ მასში ქართული მხარის ანტირუსული ქმედებებიც აისახოს,"** - აცხადებს სერგეი ლავროვი.

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება კონსულტაციებისთვის საქართველოდან თავისი ელჩის, ვიაჩესლავ კოვალენკოს გაწვევის თაობაზე. გარდა ამისა, "რუსეთის დაწესებულებების თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად", იწყება მათი ნაწილობრივი ევაკუაცია. ამ მიზნით, რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თვითმფრინავებს პირველი რეისები გუშინვე უნდა განეხორციელებინათ.

**"საგარეო საქმეთა სამინისტრო, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რუსეთის მოქალაქეებს ურჩევს, საქართველოში გამგზავრებისგან თავი შეიკავონ,"** - ნათქვამია რუსეთის დიპლომატიური უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

არანაკლებ მწვავე იყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის რეაქცია. სერგეი ივანოვი პირობას იძლევა, რომ რუსეთის ქმედებები ადეკვატური იქნება. ამასთან, მინისტრი ირწმუნება, რომ დაკავებულ ოფიცრებს **"გამოგონილი და მარაზმატული ბრალდებები აქვთ წაყენებული".** იმის დასადასტურებლად, რომ დაკავებულებისთვის წაყენებული ბრალდებები აბსურდულია, სერგეი ივანოვი იმ ფაქტს ასახელებს, რომ სამი დაკავებული ოფიცერი საქართველოში სულ 3 თვის წინ ჩავიდა, მაშინ, როდესაც მათ 2005 წელს მომხდარ ტერაქტში დასდეს ბრალი.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის აზრით, საქართველოს ხელისუფლების ყველა ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ საქართველოში მყოფ რუს სამხედროებსა და სამშვიდობოებს ლეგალური სტატუსი მოეხსნათ და **"დაპირისპირების ტემპერატურამ მაქსიმუმს მიაღწიოს".**

**"არ გამიკვირდება, თუ დაკავებულ რუს ოფიცრებს ციდან მზის მოპარვასაც დააბრალებენ,"** - ირონიას არ მალავს ნომერ პირველი რუსი ოფიცერი, რომელსაც, თავისი ქვეყნის პრეზიდენტის მსგავსად, გულწრფელად ეცოდება ქართველი ხალხი.

რაც შეეხება სერგეი ივანოვის მიერ ზემოთ ნახსენებ "ადეკვატურ ქმედებას", მის არსს განმარტავს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი, გენერალი ლეონიდ ივაშოვი.

**"რუსი სამხედრო მოსამსახურეების დაკავების საპასუხოდ, იგივე ზომები უნდა იქნას მიღებული რუსეთში მყოფი საქართველოს წარმომადგენლების მიმართ, თანაც - ორ-სამჯერ დიდი მასშტაბით,"** - მოითხოვს ლეონიდ ივაშოვი. მისივე თქმით, პარალელურად უნდა მოხდეს ეკონომიკური სანქციების გატარება და რიგი სამხედრო ხასიათის ზომების მიღება.

**"საქართველო რუსეთის მოვალეა. ამ ვალის დაფარვამდე საქართველოს უნდა შეუწყდეს ენერგომატარებლების მიწოდება და შეიზღუდოს რუსეთში ქართული პროდუქციის შემოტანა. სამხედრო თვალსაზრისით კი, აუცილებელია აფხაზეთში განთავსებული რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და საერთოდ, კავკასიაში არსებული სამხედრო დაჯგუფების გაძლიერება,"** - დასძენს ივაშოვი.

საკმაოდ შემაშფოთებელ პროგნოზს აკეთებს რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვი. იგი მიიჩნევს, რომ რუსი ოფიცრების დაკავებამ, შესაძლოა, ორ ქვეყანას შორის ომის დაწყება გამოიწვიოს.

სააგენტო "ინტერფაქსთან" საუბარში მირონოვი აცხადებს, რომ ისტორიას ბევრი შემთხვევა ახსოვს, როდესაც **"ჯაშუშომანიასთან დაკავშირებული ვითარების გამწვავება სამხედრო ქმედებების დაწყების მოსამზადებელი ერთ-ერთი ეტაპი ყოფილა".**

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის შეფასებით, რუსი სამხედრო მოსამსახურეების დაკავება არის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არამარტო ანტირუსული განწყობის გამოვლენა, არამედ **"მიზანმიმართული და დემონსტრაციული პროვოკაცია".**

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ასეთივე საკმაოდ "ღრმააზროვან ანალიზს" აკეთებს სახელმწიფო სათათბიროს წევრი დმიტრი როგოზინი. დეპუტატის აზრით, მას შემდეგ, რაც საქართველომ ნატო-სგან "ინტენსიური დიალოგის" სტატუსი მიიღო, თბილისი ცდილობს, ნატო-ში შესვლის პროცედურები კიდევ უფრო დააჩქაროს და ამ მიზნით, სხვადასხვა სახის პროვოკაციულ ქმედებებს მიმართავს.

**"სააკაშვილმა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის სწრაფ გზას მიაგნო. იგი ფონს გასვლას შოვინისტური განწყობილებების გაღვივებითა და ჯაშუშური თამაშებით ცდილობს,"** - აცხადებს რაგოზინი. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ სასწრაფოდ ჩატარდება ფედერაციის საბჭოს სხდომა, რომელიც პრეზიდენტისგან მოითხოვს თანხმობას, რომ საქართველოში დაკავებული რუსი ოფიცრები შეიარაღებული ძალების გამოყენების გზით გათავისუფლდნენ.

"ბრწყინვალე იდეების" ნაკლებობას არც სხვა ოდიოზური რუსი პოლიტიკოსები უჩივიან.

სერგეი ბაბურინი: **"საჭიროა საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენელთა დაკავება, რომლებიც მოსკოვში მრავლად არიან..."**

კონსტანტინ ზატულინი: **"ქართული მხარის ქმედებას რუსეთმა იმით უნდა უპასუხოს, რომ, ჯერ ერთი, ქვეყნიდან გააძევოს ქართველი დიპლომატები და მეორეც, გააძლიეროს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონებში განთავსებული რუსი სამშვიდობოების ბრძოლისუნარიანობა."**

ვადიმ გუსტოვი: **"უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია სავიზო რეჟიმის გამკაცრება საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც რუსეთიდან თავის სამშობლოში ყოველწლიურად ორ მილიარდამდე დოლარს აგზავნიან."**

ეს უკანასკნელი რეკომენდაცია რუსეთის ხელმძღვანელობამ უკვე გაითვალისწინა: გუშინდელი დღიდან რუსეთის საელჩომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა შეწყვიტა.

ასეთი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულების ფონზე, საკმაოდ მოულოდნელია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში კომუნისტური პარტიის ფრაქციის წევრის ივან მელნიკოვის პოზიცია, რომელიც აცხადებს, რომ საქართველო-რუსეთს შორის შექმნილ სიტუაციაში, მნიშვნელოვანწილად, თავად რუსეთია დამნაშავე.

მისი თქმით, სავსებით ნორმალურია, რომ საქართველო იცავს თავის ეროვნულ და გეოპოლიტიკურ ინტერესებს. მელნიკოვის აზრით, ვითარების გამწვავებაც სავსებით ლოგიკურია, **"რადგან თბილისის ქმედებების უკან აშშ დგას"...**

გუშინვე ცნობილი გახდა ისიც, რომ რუსი ოფიცრების დაკავების ფაქტის შესახებ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო უახლოეს პლენარულ სხდომაზე, 4 ოქტომბერს იმსჯელებს.

## ბუშმა პაკისტანისა და ავღანეთის ლიდერებს უმასპინძლა



თეა მაისურაძე

გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პაკისტანისა და ავღანეთის ლიდერებს უმასპინძლა. ვაშინგტონში პერვეზ მუშარაფისა და ჰამიდ კარზაის ვიზიტის მთავარ მიზანს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხების განხილვა წარმოადგენს.

პრეზიდენტმა ბუშმა პაკისტანისა და ავღანეთის ლიდერებს ხელი ჩამოართვა, თუმცა მათ ვიზიტის განმავლობაში ერთმანეთისთვის ხელი არ ჩამოურთმევიათ, რაც მათ შორის არსებული დაძაბული ურთიერთობით არის განპირობებული.

საყურადღებოა, რომ პაკისტანსა და ავღანეთს შორის არსებობს გარკვეული უთანხმოება იმის თაობაზე, თუ როგორ ებრძოლონ თალიბანს მოსაზღვრე რეგიონში.

პერვეზ მუშარაფი კატეგორიულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ პაკისტანის ხელისუფლება რაიმე დახმარებას უწევს ალ-ქაიდასა და თალიბანს.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული თავდაცვის აკადემიის მიერ მომზადებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც პაკისტანის მთავრობას რელიგიური ჯგუფების არაპირდაპირი მხარდაჭერის გზით ტერორიზმის ხელშეწყობაში ადანაშაულებს. ამასთან დაკავშირებით მუშარაფმა განაცხადა, რომ ის აღნიშნულ საკითხზე ისაუბრებს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან, ტონი ბლერთან სამშაბათს, ლონდონში დაგეგმილი შეხვედრის დროს.

ჰამიდ კარზაიმ პაკისტანი თალიბანის შეიარაღებული ჯგუფების მიმართ უმოქმედობაში დაადანაშაულა, თუმცა მუშარაფმა ეს შენიშვნა არ მიიღო. კარზაი მიიჩნევს, რომ პაკისტანი კარგად არის განწყობილი თალიბანის მხარდამჭერთა მიმართ, რაც დაჯგუფების წევრთა მიერ პაკისტანის ტერიტორიაზე საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარებაში გამოიხატება. ეს უკანასკნელნი კი ამის შემდეგ თავდასხმებს ახორციელებენ ავღანეთზე. ავღანეთის ლიდერი პაკისტანს თალიბანის ყოფილი ლიდერებისათვის თავშესაფრის მიცემაშიც ადანაშაულებს.

გარკვეული გაუგებრობა არსებობს პაკისტანსა და ავღანეთს შორის ტერორისტის, ოსამა ბინ ლადენის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით. ორივე ქვეყნის ლიდერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტერორისტი მათ ტერიტორიას არ აფარებს თავს და ერთმანეთს უფრო მეტი პასუხისმგებლობისაკენ მოუწოდებენ ბინ ლადენის ძებნის საკითხში.

**"ჩვენ ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე ვდგავართ... ყველა ჩვენგანმა უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა, თუმცა ამავდროულად უნდა ვიმუშავოთ იმისათვის, რომ მსოფლიო უფრო უსაფრთხო გავხადოთ,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

აშშ-ს პრეზიდენტმა პაკისტანისა და ავღანეთის ლიდერები მეგობრებად მოიხსენია: **"ეს ადამიანები ჩემი კარგი მეგობრები არიან. ისინი საკმაოდ ძლიერ ლიდერებს წარმოადგენენ, რომლებიც კარგად აცნობიერებენ შექმნილ საიტუაციას. კარზაი და მუშარაფი კარგად აფასებენ ექსტრემისტებისა და რადიკალების მხრიდან წამოსულ საფრთხეს,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

სტუმრების საპატივსაცემოდ თეთრ სახლში სადილი გაიმართა, რომელსაც სამი პრეზიდენტის გარდა ესწრებოდნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში სტეფან ჰედლი და აშშ-ში ავღანეთისა და პაკისტანის ელჩები. **"დღევანდელი სადილი არის შანსი, რათა ვისაუბროთ თანამშრომლობის საჭიროებაზე და დავსახოთ მოქმედების ერთობლივი სტრატეგია,"** - აღნიშნა ბუშმა.

თეთრი სახლის წარმომადგენლის, ტონი სნოუს განცხადებით, სამი ქვეყნის ლიდერებს შორის კონსტრუქციული დიალოგი შედგა. მათ იმ საფთხეებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს, რის წინაშეც სამივე ქვეყანა დგას.

# ეფექტური და თავმოყვარე სახელმწიფო

პირველი გვერდიდან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ქართველ სამართალდამცავებს აქვთ არგუმენტირებული მასალა, რომელიც თითოეული დაკავებულის ბრალეულობას ადასტურებს.

ბურჯანაძის განცხადებით, ოფიცრების დაკავება ყველა საერთაშორისო ნორმისა და პროცედურის სრული დაცვით განხორციელდა. არც ერთ დაკავებულს დიპლომატიური იმუნიტეტი არ გააჩნია. **"საქართველომ არაერთხელ დაადასტურა, რომ ის დაიცავს საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოებას და ეროვნულ ინტერესებს ისე, როგორც ცივილურ სამყაროში ხდება. როცა არსებობს დამამტკიცებელი საბუთი, ყველა სახელმწიფოში ჯაშუშობა კანონით ისჯება. საქართველოს შესწევს ძალა, დაიცვას ეროვნული ინტერესები და სახელმწიფო საიდუმლოება. ნებისმიერი პირი, რომელიც შეეცდება სახელმწიფო საიდუმლოების უკანონო გზით მოპოვებას და ქვეყნის წინააღმდეგ ჯაშუშური საქმიანობის განხორციელებას, დაისჯება,"** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

რაც შეეხება მომხდართან დაკავშირებით რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების მიერ გაკეთებულ კომენტარებს, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სამწუხაროა, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკური სანქციების განხორციელებას განაგრძობს და ქართულ-რუსული ურთიერთობები დემოკრატიული ურთიერთობების ნაცვლად, ამ ჭრილში ვითარდება.

როგორც ნინო ბურჯანაძემ განმარტა, რუსეთი ჯერ უნდა გარკვეულიყო, რა დოკუმენტები არსებობს მათივე მოქალაქეების წინააღმდეგ, ამის შემდეგ გაეკეთებინა ოფიციალური კომენტარები და მიეღო რაიმე სანქცია. რუსულ მხარეს ან არ აინტერესებს დეტალები, ან საქართველოს წინააღმდეგ, პოლიტიკურ შანტაჟს მიმართავს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რუსული მხარის განცხადებები "გადამეტებულ რეაქციად" შეაფასა. როგორც საქართველოს საგარეო უწყებაში განმარტეს, სამინისტრო ცდილობს, რუსეთის ფედერაციას ობიექტური ვითარება აუხსნას. **"რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებს შეუძლიათ თავად ნახონ ის ვიდეო და აუდიო მასალა, რომელიც დაკავებულთა კრიმინალურ და საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ასახავს,"** - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვალერი ჩეჩელაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, კოტე გაბაშვილის განაცხადებით, საქართველოში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს. დაკავებულებს უკვე შეხვდნენ საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს წარმომდგენლები. რაც შეეხება რუსეთის მხრიდან ატეხილ აჟიოტაჟს, გაბაშვილის თქმით, ეს "იდეოლოგიური შტევაა".

საპარლამენტო უმრავლესობის შეფასებით, რუსეთი საქართველოს მისამართით ფართომასშტაბიან აგრესიას ახორციელებს, რომელიც დღეს არ დაწყებულა. **"რუსეთი ვერ ეგუება საქართველოს სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას და ამიტომ მისი აგრესია პიკს აღწევს. რუსეთის მაღალჩინოსნების აგრესიული განათქვამები საქართველოს მისამართით საგანგაშოა, რადგანაც რუსეთის ხელისუფლება თავად უნდა იყოს დაინტერესებული, იქნეს გამოძიებული ქართული სპეცსამსახურების მიერ გამოვლენილი ფაქტები. მანამდე მსგავსი კომენტარების გაკეთება მიუთითებს იმას, რომ ეს ყველაფერი მათი მხრიდან არის მართული,"** - აცხადებს გიგა ბოკერია.

პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება აღარასდროს დაუშვებს, რომ მტრული სახელმწიფოს აგენტურული ქსელი საქართველოში თავს კომფორტულად გრძნობდეს. **"მომხდარი ფაქტი არის დადასტურება იმისა, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მტრულ პოლიტიკას ახორციელებს. საერთაშორისო სამართალსა და დიპლომატიაში, მეზობელ ქვეყანაში აგენტურული ჯგუფების შეგზავნა და შპიონაჟი მტრულ საქმიანობად ფასდება. რუსეთი ცდილობს გააკეთოს ყველაფერი, რათა ძირი გამოუთხაროს საქართველოს სახელმწიფოს. ამისთვის რუსეთი მხარს უჭერს სეპარატიზმს, ტერიტორიების ანექსიას, რუსეთს შემოაქვს ცალმხრივი სავაჭრო ემბარგოები, სავიზო შეზღუდვები, აფინანსებს ტერაქტებს და აგენტურულ ჯგუფებს მეზობელ ქვეყნებში,"** - აცხადებს ბაქრაძე.

ოპოზიციას ეჭვი არ ეპარება, რომ ხელისუფლებას რუსეთის მოქალაქეების დაკავებისათვის საფუძველი გააჩნია, თუმცა არ გამორიცხავს, რომ ეს დაკავება ახალი დაძაბულობის მიზეზი გახდეს. **"ჩვენ გვჭირდება მტკიცებულებები. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ისედაც დაძაბულია და ჩვენი მოქალაქეები რუსეთში ისედაც ცუდ მდგომარეობაში არიან, ამიტომ ამ დაკავებებისთვის პოლიტიკური საფუძველი კარგად უნდა იყოს მომზადებული,"** - აცხადებს "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი კახა კუკავა.

ოპოზიცია რუსეთის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზების შეჩერების საკითხს ნაჩქარევ გადაწყვეტილებად აფასებს. **"საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ჯაშუშური საქმიანობა შესაბამისი კანონით ისჯება. ამიტომ ბუნებრივია, რომ ხელისუფლება ბრალდების გარეშე ამ პირებს ვერ დააპატიმრებდა. თუკი მტკიცებულებები მყარი აღმოჩნდება, მაშინ რუსეთის მაღალჩინოსნები ძალზე ცუდ ვითარებაში აღმოჩნდებიან. რაც შეეხება ვიზების შეწყვეტის საკითხს, ეს ნაბიჯი ნაჩქარევი იყო, რადგან უბრალო მოსახლეობა არაფერ შუაშია იმ საკითხთან დაკავშირებით, ვინმე ჯაშუშობს თუ არა,"** - აცხადებს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი ზვიად ძიძიგური.

"მრეწველების" შეფასებით, ქართული მხარის პოზიციას, თავად რუსეთის მხარის რეაქცია ამართლებს. **"უფრო სამართლიანი იქნებოდა, რუსეთის მაღალჩინოსნებს ჯერ მასალები მოეთხოვათ და მერე გაეკეთებინათ განცხადებები, თუმცა ჩვენ სულ სხვანაირი რეაქცია ვნახეთ. როგორც ჩანს, ისინი თავს მართლაც დამნაშავეებად ცნობენ და ცდილობენ, ყურადღება სხვა თემაზე გადაიტანონ,"** - აცხადებს მრეწველების ლიდერი ზურაბ ტყემალაძე.

# ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის პრეზენტაცია

საქართველოს პარლამენტში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - "საქართველოს პარლამენტის რეფორმა" - პრეზენტაციას ნინო ბურჯანაძე დაესწრო.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პარლამენტში საკანონმდებლო ორგანოს რეგულირების და გამჭირვალედ მუშაობისთვის ორი ცენტრი გაიხსნა. "ევროკავშირის დაფინანსებით პარლამენტში შეძენილია არა მხოლოდ ტექნიკა, არამედ სერიოზულად ძლიერდება პარლამენტის კვლევითი რესურსები," - აღნიშნა ბურჯანაძემ. მისი თქმით, ძლიერდება ასევე ის მექანიზმები, რომლებითაც დეპუტატებს, როგორც უმრავლესობიდან, ისე ოპოზიციის მხრიდან, შეუძლიათ მიიღონ ევროპული პარლამენტების გამოცდილება. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის, ასევე აპარატის ნებისმიერი თანამშრომლისთვის უკვე ხელმისაწვდომია. მისივე თქმით, პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა ევროპის კანონმდებლობას დაუახლოვდეს. განსაკუთრებით ეს ადამიანის უფლებების დაცვის და ეკონომიკურ საკითხებს შეეხება.

*ინტერპრესნიუსი*

# სიტყვის თავისუფლების ხარისხი საქართველოში

საერთაშორისო ორგანიზაცია ARTIKLE 19 საქართველოში რევოლუციის შემდგომი მედიის სიტყვის თავისუფლების ხარისხით დაინტერესდა. გუშინ, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" საერთაშორისო ორგანიზაციამ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პოლიტიკოსებთან და ჟურნალისტებთან ერთად მრგვალი მაგიდა გამართა თემაზე "გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, რისკები და გამოწვევები". შეხვედრაზე განიხილეს პოლიტიკური ზეწოლის, თვითცენზურის, ჟურნალისტებზე ფიზიკური ზეწოლის, მედიაეთიკისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები. საერთაშორისო ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და თანამეგობრობის ქვეყნებში ARTIKLE 19 რეგიონულმა წარმომადგენელმა ლუიდგარდ ჰამერმა განაცხადა, რომ რევოლუციის შემდგომი ტელემაუწყებლები უფრო სუსტია, ვიდრე ის იყო მანამდე. დღევანდელი შეხვედრის მიზანია გაირკვეს ის მთავარი მიზეზები რის გამოც ეს ხდება. არის ეს სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის შედეგი თუ ტელემაუწყებელთა მფლობელების მიზეზი.

ARTIKLE 19 საქართველოში "თავისუფლების ინსტიტუტთან" თანამშრომლობს. მათი მონაწილეობით უკვე შეიქმნა "მაუწყებელთა ეთიკის კოდექსი". ორგანიზაციის მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სიტყვის თავისუფლების და აზრის გამოხატვის საკითხების შესწავლა-ანალიზი და რეკომენდაციის მიცემა ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის.

*ინტერპრესნიუსი*

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

მოკლედ

## რუსი სამხედროები ქართულ სამხედრო პოლიციაში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 27 სექტემბერს, გვიან ღამით ბათუმში სამხედრო პოლიციის აჭარის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა გააჩერეს ბათუმში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის 12-ე სამხედრო ბაზის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც ექვსი სამხედრო მოსამსახურე გადაჰყავდა. სამინისტროს პერესსამსახურის მტკიცებით, ყველა მათგანს თან ჰქონდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, დაჯავშნული ჟილეტები და სხვა სამხედრო აღჭურვილობა. ავტომანქანის მძღოლის გარდა, დანარჩენ ექვს სამხედრო მოსამსახურეს არ აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გადაადგილების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის გადატანის ნებართვა.

სამხედრო პოლიციამ რუსი სამხედრო მოსამსახურეები გადაიყვანეს აჭარის რეგიონულ სამმართველოში, სადაც გამოძიება დაიწყო ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვის ფაქტზე.

თუმცა, ცოტა ხანში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ ქართველმა სამართალდამცველებმა რუსი სამხედრო მოსამსახურეები გაუშვეს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ცეცხსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა კი სამხედრო პოლიციის აჭარის რეგიონულ სამმართველოშია გადატანილი. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება გრძელდება.

რუსი სამხედრო მოსამსახურეების დაკავების ფაქტი რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა გააპროტესტა და განაცხადა, რომ დაკავებულ სამხედროებს პოლიცია ფიზიკურად გაუსწორდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა რუსი კოლეგის განცხადებას სიცრუე უწოდა და დასძინა, რომ მათი დაკავება კანონის სრული დაცვით განხორციელდა. ოქრუაშვილის თქმით, მისთვის გასაგებია, რა ანერვიულებს სერგეი ივანოვს, "თუმცა ეს არ ამართლებს იმას, რომ ტყუილები თქვას". საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, შეიარაღებული სამხედროები ხელვაჩაურის რაიონიდან ბათუმის მიმართულებით უნებართვოდ გადაადგილდებოდნენ და ამიტომ გააჩერეს. თუმცა, ვინაიდან სამხედროებს საქართველოს ვიზები აღმოაჩნდათ, ისინი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.

*24 საათი*

## ცნობილი მომღერალი N5 საპყრობილეში

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცნობილ მომღერალს თემურ თათარაშვილს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ბრძანება მოსამართლე მამუკა ნოზაძემ გამოიტანა. მან დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რომელიც მომღერლის გასათავისუფლებლად სასამართლოს 5 ათასი ლარის გირაოს გადახდას სთავაზობდა. გამოძიების მტკიცებით, თემურ თათარაშვილმა პარიზში 120 ევროდ შეიძინა 56 აბი ბუპრენორფინის შემცველი სუბოტექსის აბები. ივლისის თვეში ჩამოიტანა საქართველოში - 25 გაყიდა, დანარჩენი - ზოგი პირადად მოიხმარა, ზოგი კი გააჩუქა. სამართალდამცველებმა თემურ თათარაშვილი 25 სექტემბერს დააკავეს. მას პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 3 აბი "სუბოტექსი", ხოლო მის საცხოვრებელ სახლში 4,5 აბი იპოვეს.

სამართალდამცველების ინფორმაციით, თემურ თათარაშვილის წინააღმდეგ გამოძიებას მოეპოვება სატელეფონო საუბრები, მისი ჩხრეკა-დაკავების ოქმები და სხვა ნივთმტკიცებულებები. გამოძიების ინფორმაციით, ვინაიდან, ბრალი განსაკუთრებით მძიმეა, თათარაშვილი, სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა, მიემალოს გამოძიებას, ამიტომაც, მოითხოვა პროკურატურამ დაკავებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება. ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი პროცესზე ამტკიცებდა, რომ გამოძიებას ყველა ინფორმაცია მიღებული აქვს თავად დაკავებულისგან და ამიტომაც, მისი დაცვის ქვეშ მყოფისგან მიმალვის ან ძიებისთვის ხელისშეშლის ფაქტს კატეგორიულად გამორიცხავდა. მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულებამ ბრალდების მხარის არგუმენტი გაიზიარა და ცნობილი მომღერალი ორი თვით დააპატიმრა. თავად თათარაშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარი არ გააკეთა. სასამართლო სხდომის დარბაზი განსასჯელმაც და ადვოკატმაც უკომენტაროდ დატოვეს. ბრძანების გასაჩივრება 48 საათის განმავლობაში თბილისის სააპელაციო სასამართლოშია შესაძლებელი.

*24 საათი*

## მოსამართლის თანაშემწის პრეტენდენტთა სამთვიანი კურსი

2 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლის თანაშემწის პრეტენდენტთა სამთვიანი სწავლების კურსი დაიწყება. იურისტები სასწავლო პროგრამის მიხედვით მომზადდებიან სისხლის, სამოქალაქო, საკონსტიტუციო, ადმინისტრაციულ და საერთაშორისო სამართალში. ლექტორებად მოწვეულები არიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები და უნივერსიტეტის ლექტორები. სამთვიანი კურსის შემდეგ ჩატარდება ტესტური გამოცდა, რომელიც 100 კითხვისგან შედგება; 70 ქულა გამსვლელია. გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, მსმენელს გადაეცემა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სერტიფიკატი, რომლითაც მას უფლებამოსილება მიენიჭება, იმუშაოს მოსამართლის თანაშემწედ.

*მედიანიუსი*

## მონიტორინგის ჯგუფმა უკანონო შეიარაღება აღმოაჩინა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მონიტორინგის ჯგუფმა უკანონო შეიარაღება აღმოაჩინა.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფი მორიგ შემოვლას აწარმოებდა, როდესაც სოფელ ანძისში საზენიტო დანადგარი ZU-23-2 აღმოაჩინეს. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ქართველი, რუსი, ოსი სამხედრო დამკვირვებლები და ეუთო-ს მისიის წარმომადგენლები.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მონიტორინგის ჯგუფს სამხედრო ტექნიკასთან მიახლოების და ამოღების საშუალება არ მიეცა. არაფორმალური ოსური შეიარაღებელი დაჯგუფების, ე.წ "აპალჩენცების" წევრებმა მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

მომხდარის შესახებ დაუყონებლივ აცნობეს რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვს, მაგრამ ის შემთხვევის ადგილზე არ მისულა. ოსებმა ჰაერსაწინააღმდეგო საზენიტო დანადგარის გადამალვა მოახერხეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რუსულმა მხარემ არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მონიტორინგის ჯგუფს ბოლომდე შეესრულებინა დაკისრებული მისია და ამოეღო აღმოჩენილი უკანონო იარაღი.

"ამ უმოქმედობით ოსურ შეიარაღებულ დაჯგუფებებს ხელი შეუწყვეს, გაურკვეველი მიმართულებით წაეღოთ და გადაემალათ აღმოჩენილი საზენიტო დანადგარი. ამ დარღვევასთან დაკავშირებით ეუთო-ს დამკვირვებლებმა შესაბამისი ოქმი უკვე გააფორმეს", - აღნიშნავენ თავდაცვის უწყებაში.

*ინტერპრესნიუსი*

## მსხვერპლი - დამნაშავე და მძევალი

კოლორადოს შტატის ერთ-ერთ სკოლაში მძევლების აყვანა მსხვერპლით დასრულდა. ერთ-ერთი მძევალი გოგონა მიყენებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა. 35 წლის ბოროტმოქმედმა ქალაქ დენვერიდან 56 კილომეტრში მდებარე ქალაქ ბეილის საშუალო სკოლის ექვსი მოსწავლე მძევლად აიყვანა. მოლაპარაკებების შედეგად მოგვიანებით ოთხი მათგანი გაათავისუფლა. ბოროტმოქმედს თან ჰქონდა ჩანთა ასაფეთქებელი ნივთიერებით. მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედმა შეწყვიტა ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები, პოლიციამ დაიწყო სპეცოპერაცია. პოლიციის ვარაუდით, დამნაშავემ თავი შტურმის დროს მოიკლა. ამის გამო, უცნობი დარჩა დამნაშავის ვინაობა, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მოთხოვნები, რომელსაც ის აყენებდა.

*ინტერპრესნიუსი*

# კიდევ ერთი საჯარიმო სანქცია

*არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებს ირაკლი კაკაბაძეს, ჯაბა ჯიშკარიანს, ლევან გოგიჩაიშვილსა და დავით დალაქიშვილს კიდევ ერთხელ მოუწევთ ჯარიმის გადახდა. ადმინისტრაციული სასამართლოს კოლეგიამ, რამდენიმესაათიანი მსჯელობის შემდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაკავებულ ოთხეულს ამჯერად, 15-15-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.*



ირაკლი კაკაბაძე თავს უდანაშაულოდ თვლის.

ადმინისტრაციულ კოლეგიაში გამართულ სასამართლო პროცესზე დაკითხულმა პატრულის თანამშრომლებმა, რომლებმაც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები დააკავეს, "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი ვერ დაამტკიცეს.

ადვოკატ სოსო ბარათაშვილის განცხადებით, "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებს არ დაურღვევიათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლი, რითაც მათ წაუყენეს ბრალი. ადვოკატი თვლის, რომ აშკარაა საპროცესო დარღვევა, რადგან ამ კოდექსის მიხედვით მიწაზე რაიმეს დაწერა ადმინისტრაციულ გადაცდომას არ წარმოადგენს.

დაკითხვისას პატრულის თანამშრომლებმა ვერ განმარტეს, რა სამართალდარღვევას წარმოადგენდა კანცელარიის მოედნის წინ წარწერის გაკეთების ფაქტი. ვერ განმარტეს, რა შეურაცხმყოფელ სიტყვებს წერდნენ "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები.

დაკავებულთა თქმით, მათ მიწაზე ჯვარი დახატეს და "არა ძალადობა" დააწერეს, რის გამოც, პატრულის თანამშრომლებმა დააკავეს და ნარკოლოგიურში შემოწმებაზე გადაიყვანეს.

სასამართლოზე გაირკვა ისიც, რომ "თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლების დაკავება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, 3 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. დამნაშავეები კი 13 საათზე მეტი დროით იყვნენ დაპატიმრებულები.

დაკავებულების მეორე ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა მოსამართლე თამარ შიოშვილს სასამართლოზე შუამდგომლობით მიმართა, ნივთმტკიცების სახით გამოქვეყნებულიყო ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ გადაღებული ვიდეოფირი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ მოხდა პატრულის მიერ ირაკლი კაკაბაძის დაკავება.

შუამდგომლობა მოსამართლემ დააკმაყოფილა, მაგრამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა თინა ხიდაშელისა და სხვა პირების, როგორც თვითმხილველების დაკითხვის შესახებ, რადგან ირაკლი კაკაბაძის დაკავების ფაქტს ისინიც ესწრებოდნენ.

"თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები ჯაბა ჯიშკარიანი, ლევან გოგიჩაიშვილი და დავით დალაქიშვილი საპატრულო პოლიციამ სახელმწიფო კანცელარიასთან წარწერების გაკეთების გამო, ხოლო კაკაბაძე ხელისუფლების მისამართით გამოთქმული ხმამაღალი რეპლიკების გამო დააკავა.

**"რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება არ იყო სამართლიანი, თუმცა სხვა მოსალოდნელ გადაწყვეტილებას, საუბარია დაპატიმრებაზე, სჯობია,"** - ასე შეაფასეს გუშინდელი გადაწყვეტილება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და თავად დაჯარიმებულებმაც, რომლებიც თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ.

*24 საათი*

# შსს-მ მტკიცებულებების გამოქვეყნება დაიწყო

პირველი გვერდიდან

გუშინ გავრცელებულ ოპერატიულ მასალაში ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ანატოლი სინიცინი ჯგუფის წევრებს, როგორც რუს ჩინოსნებს, ასევე საქართველოს მოქალაქეებს, საიდუმლო დავალებებს აძლევს. ფარულ ვიდეომასალაზე ავტომანქანაში და ქუჩაში თანხის გადაცემის კადრებია აღბეჭდილი.

გუშინვე გამოქვეყნდა ეჭვმიტანილების ფარული სატელეფონო ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც, ეჭვმიტანილები ერთმანეთს შეხვედრის ადგილს უნიშნავენ.

2006 წლის 26 ივლისს, გრუ-ს პოლკოვნიკ ალექსანდრე სავას და გრუ-ს რეზიდენტურის მიერ გადაბირებულ გია კაკაურიძეს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის თანახმად, კაკაურიძე სავასგან დავალებას იღებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვეითთა ბრიგადაზე ინფორმაციის მოპოვების შესახებ.

2006 წლის 26 აგვისტოს, გრუ-ს პოდპოლკოვნიკ კონსტანტინე პიჩუგისა და აგენტ არტაშეც ბალოიანის საუბრის სატელეფონო ჩანაწერის მიხედვით, დავალების შესაბამისად, ბალოიანმა მოიპოვა ინფორმაცია მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში განლაგებული სამხედრო საწყობის შესახებ.

2006 წლის 27 აგვისტოს ბალოიანისა და პიჩუგის სატელეფონი საუბარის თანახმად, აგენტი აბარებს ანგარიშს რუს მზვერავს ვაზიანის სამხედრო ბაზასთან დაკავშირებით მიღებული დავალების შესრულების შესახებ. სატელეფონო საუბრებში ნახსენებია სიტყვა "კასრები", რაც ჯავშანტექნიკის დაშიფრული დასახელებაა.

**"ჯაშუშობაში ეჭვიმატილების დაკავების დროს დაცული იყო ყველა შიდა და საერთაშორისო ნორმა. ყველა დაკავებულს ჰყავს ადვოკატი და დაკავებიდან ექვს საათში საქართველოში რუსეთის საკონსულო ინფორმირებული იყო მომხდარის თაობაზე. რუსეთის კონსულმა თავად მოინახულა კიდეც დაკავებულები",** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

*24 საათი*

# მერის მოვალეობის შემსრულებელი სამართალდამრღვევია

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის გოგა ჩოგოვაძის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მოსამართლე ქეთინო მოსიძის გადაწყვეტილებით, ჩოგოვაძე გამოცხადდა სამართალდამრღვევად და ჯარიმის გადახდაც დაეკისრა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონულ სამმართველოს განცხადებით მიმართეს ქუთაისის ხელოვნების სახელმწიფო სკოლის პედაგოგებმა - მანანა სვინტრაძემ და ნატო ტოგონიძემ. განცხადებაში მითითებული იყო ხელოვნების სკოლაში არსებულ დარღვევებზე და ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, რომლებმაც, განმცხადებელთა აზრით, მათი უფლებების შელახვა გამოიწვია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ახსნა-განმარტებები და მიმართვა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, საკითხის შესწავლის მიზნით, მერის მოვალეობის შემსრულებელს გაუგზავნეს. განმეორებითი მიმართვა ქუთაისის მერიის კანცელარიას ჯერ 1 ივნისს, შემდეგ 4 აგვისტოს ჩაბარდა. სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქუთაისის მერიის აპარატს 15 დღის ვადაში უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია განხორციელებული რეაგირების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონულ სამმართველოს მერიის აპარატიდან არც ერთ მიმართვაზე პასუხი არ მიუღია; შესაბამისად, მერმა არ შეასრულა "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული კანონიერი მოთხოვნა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1734-ე მუხლის თანახმად, სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა ისჯება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით - ჯარიმით.

*24 საათი*



# უკრაინის ერთი წელი

## ერთი წლის განმავლობაში უკრაინის კულტურას გავეცნობით

ია ვეკუა

უკრაინაში საქართველოს წელი რამდენიმე თვის წინ დასრულდა და ორივე ქვეყანაში წლის კულტურულ-საზოგადოებრივ მოვლენად აღიარეს. ამჯერად უკრაინა დგამს საპასუხო ნაბიჯს და საქართველოში უკრაინის წელს ოფიციალურად ხსნის. ერთი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება არა მხოლოდ უკრაინულ თანამედროვე და ტრადიციულ კულტურას გაეცნობა, არამედ ბიზნესურთიერთობისა და სხვა საზოგადოებრივ სფეროებში თანამშრომლობის საშუალებაც მიეცემა.

უკრაინის წელი არა მხოლოდ თბილისს, არამედ მთელ ქვეყანას მოიცავს. "ღონისძიებები გაიმართება რეგიონებშიც, ისევე, როგორც ეს ხდებოდა საქართველოს წლის დროს უკრაინაში. იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული რეგიონების ხელმძღვანელობა თავად ეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს და გაცვლით პროგრამას ადგენდნენ", - განაცხადა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა.

გაბაშვილის უკრაინელი კოლეგა იგორ ლიხავოი ამ მოვლენასთან დაკავშირებით თბილისში იმყოფება. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი პუბლიკა ისევე დაინტერესდება უკრაინული კულტურით, როგორც ეს საქართველოს წლის შემთხვევაში მოხდა.

**იგორ ლიხავოი:** "მე კარგად ვიცნობ ქართულ კულტურას და ისიც ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მას მსოფლიო კულტურაში. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენ დიდი გამოცდის წინაშე დავდგებით. თუმცა ყველანაირად ვეცდებით, რომ საქართველოში ჩვენი თანამედროვე და ტრადიციული კულტურის საუკეთესო ნაწილი წარმოვადგინოთ. ჩვენ მეგობარი ქვეყნები ვართ და ასეთი ურთიერთობის ასეთი ფორმა გამართლებულად მიმაჩნია. კულტურული დიალოგი ჩვენს ერებსაც დააახლოვებს".

ჯერჯერობით, არ არის ცნობილი მთლიანი პროგრამა, თუმცა რამდენიმე შემსრულებლის კონცერტები უკვე დაგეგმილია. უკრაინულ ფოლკლორს წარმოგვიდგენენ ჯგუფები "ეთნო-ქაოს-ჯგუფი" და "ოჩერეტიანი კიტ". შედგება უკრაინაში მეტად პოპულარული ბოი-ბენდის "ექს-პრეზიდენტის" კონცერტიც, რომელიც არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია და უთუოდ დააინტერესებს ახალგაზრდა მსმენელს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება ლვოვში დაბადებული დების ეთერ და თამარ გორგიშელების დუეტის ხილვა და მოსმენა. ისინი უკრაინაში დიდი წარმატებით სარგებლობენ და არტ-როკსა და ქართულ და უკრაინულ ფოლკლორს ასრულებენ.

გარდა ამისა, როგორც საქართველოს კულტურის სამინისტროში განგვიმარტეს, წლის განმავლობაში უკრაინიდან პერიოდულად მიიღებენ მონაწილეთა სრულ ნუსხას და დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალს. თუმცა იმაში კი დაგვაიმედეს, რომ ქართველი საზოგადოება ერთი წლის განმავლობაში მაქსიმალურ ინფორმაციას მიიღებს უკრაინას კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ასევე გაიმართება ბიზნესფორუმები, გაცვლითი პროგრამები გარემოსა და ჯანდაცვის სფეროებში. დაგეგმილია სპორტული ასპარეზობებიც. "ყველაზე მთავარი სპორტული მოვლენა კი მომავალი წლის სექტემბერში გველის, როდესაც საქართველოსა და უკრაინის ეროვნული ნაკრებები მორიგ შეხვედრას ჩაატარებენ", - განაცხადა გიორგი გაბაშვილმა.

უკრაინის წელი საქართველოში ოპერისა და ბალეტის თეატრში გალა კონცერტით გაიხსნა. საქართველოსა და უკრაინის კულტურის მინისტრების ოფიციალური მიმართვის შემდეგ უკრაინელმა სტუმრებმა სხვადასხვა ჟანრის ხელოვნება წარმოადგინეს. უკრაინის ხალხურ ინსტრუმენტთა ეროვნულმა ორკესტრმა "კარპატული მელოდიები" შეგვისრულა, ხოლო ბანდურისტთა ანსამბლმა "ზარკაროლა". უკრაინის ეროვნული ოპერის სოლისტმა იური აზრამჩუკმა ხალხური სიმღერა "ჩორნიე ბროვი, კარიე ოჩი" იმღერა, იმავე თეატრის სოლისტებმა კი შეასრულეს ვალსი ოპერიდან "რომეო და ჯულიეტა". კლასიკური მუსიკის ჟანრში ასევე შესრულდა ნაწყვეტები ოპერიდან "ტრავიატა". ოპერის სოლისტმა სუსანა ჩახოაინმა კი რევაზ ლაღიძის "თბილისო" იმღერა.

# კონსერვატორიისა და იუნესკოს დიალოგიდან

ორი დღის წინ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიხსნა, რომლის ორგანიზატორები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და ქართული სიმღერის საერთაშორისო ცენტრი გახლავთ. სიმპოზიუმი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟითა და საქართველოს კუტლურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება, 29 სექტემბრამდე გაგრძელდება და მუსიკალური ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის ნაწილს წარმოადგენს.

ქართულ მრავალხმიან სიმღერას ათასწლოვანი ისტორია აქვს და იგი არაერთხელ გამხდარა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების ინტერესის საგანი. ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ქართული სიმღერის უცხოელი მკვლევარების მიერ მეცნიერული შესწავლის ტრადიცია, რასაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოში 80-იან წლებში მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებამ. ეს ტრადიცია 90-იან წლებში შეწყდა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო.

90-იან წლების ბოლოს, კონსერვატორიის დიდი ძალისხმევითა და ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" დახმარებით ტრადიცია აღდგა და 1998 და 2000 წლებში გაიმართა მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, რამაც მოამზადა ნიადაგი 2002 წელს მასშტაბური, წარმომადგენლობითი სიმპოზიუმის ჩასატარებლად.

ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე 2001 წლის 18 მაისს იუნესკოს მიერ ქართული მრავალხმიანობის გამოცხადებამ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელ შედევრად. იუნესკომ ერთგვარად შეაჯამა მრავალი უცხოელი ეთნომუსიკოლოგის თვალსაზრისი ამ მოვლენაზე: ქართული მრავალხმიანობის ფორმები ზოგადკულტურული ტრადიციის მაღალგანვითარებულ და თვითმყოფად მხატვრულ ძეგლადაა აღიარებული.

I სიმპოზიუმის დიდი გამარჯვება იყო იუნესკოს წარმომადგენლის მონაწილეობა მის მუშაობაში და მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა ერთსულოვანი მხარდაჭერა, რის შედეგად 2003 წლის 1 თებერვალს კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის ბაზაზე ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი დაარსდა. მაშინვე გადაწყდა, რომ ასეთი სიმპოზიუმები 2 წელიწადში ერთხელ გაიმართება.

კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის განვითარებისა და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მხარდასაჭერად იუნესკომ იაპონიის მთავრობის ფინანსური დახმარებით 2003 წლიდან დაიწყო სამწლიანი პროგრამის განხორციელება.

იუნესკოსთან დადებული კონტრაქტების საფუძველზე კონსერვატორიას შესაძლებლობა მიეცა შეეძინა ძვირადღირებული აპარატურა, მათ შორის სიმპოზიუმების ჩასატარებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა. გარდა ამისა, გამოიცა კრებული ინგლისურ ენაზე, რომელშიც შესულია ქართველი მეცნიერების ნაშრომები, ქართულ ენაზე გამოიცა ფოლკლორის სახელმძღვანელო აუდიო და სანოტო მასალის დართვით და შეიქმნა მისი ინგლისური ვერსია.

წელს საქართველოს პრეზიდენტმა ფოლკლორი ეროვნული კულტურის პრიორიტეტად გამოაცხადა. ამისათვის გამოიყო დამატებითი თანხა მილიონზე მეტი ლარის ოდენობით, რომელიც უნდა მოხმარდეს ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურის კვლევას, დაცვასა და განვითარებას.

სამეცნიერო სესიებში მონაწილეობას მიიღებს ორმოცამდე ეთნომუსიკოლოგი საქართველოდან, ავსტრიიდან, ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ესპანეთიდან, იაპონიიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, უკრაინიდან, იტალიიდან, ხორვატიიდან, ბულგარეთიდან

სიმპოზიუმის თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ არაქართველი მეცნიერები აქტიურად იკვლევენ ქართულ მრავალხმიანობას და უდიდესი სიყვარულით ასრულებენ ქართულ ხალხური სიმღერებს. ზოგიერთი მათგანი ჩვენს სიმპოზიუმს უკვე მეორედ და მესამედაც კი სტუმრობს. მათ რიგში შეგვიძლია მოვიხსენიოთ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიცაა დიტერ ქრისტენსენი, სიმჰა არომი, მიხეილ ლობანოვი, დაივა რაჩუნაიტე და სხვანი.

აღსანიშნავია, რომ ამ სამეცნიერო ფორუმის ერთ-ერთ გამარჯვებას წარმოადგენს სწორედ ის, რომ მან საზოგადოებას დაანახა, თუ რაოდენ დიდია დაინტერესება ქართული ტრადიციული მუსიკით მსოფლიოს წამყვანი ეთნომუსიკოლოგების მიერ.

ტრადიციული მრავალხმიანობის III საერთაშორისო სიმპოზიუმის პროგრამას განსაკუთრებულ ხიბლს შესძენს ფოლკლორული კონცერტები. კონცერტები გაიმართება კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში.

*24 საათი*


გიწვევთ ლექციაზე:

როგორ დავამარცხოთ შიში




საერთაშორისო ლექტორი მერი ჰელმი მოგვითხრობს, თუ როგორ შეგვიძლია, გავთავისუფლდეთ შიშისგან და მივაღწიოთ სულიერ სიმშვიდეს ცხოვრების მეტაფიზიკური აღქმის მეშვეობით.

იდეები, რომლებსაც ლექტორი გაგვიზიარებს, დაფუძნებულია ბიბლიასა და მერი ბეკერ ედის მსოფლიოში ცნობილ წიგნზე „მეცნიერება და ჯანმრთელობა საღვთო წერილის გასაღებით." *

ლექცია წაიკითხება რუსულ და ინგლისურ ენებზე

***ლექტორი:*** მერი ჰელმი, ქრისტიანული მეცნიერების ლექტორთა საბჭოს წევრი, ბოსტონი, აშშ.

***მისამართი:*** ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. № 36 (შესასვლელი თაღში და პირველი კარი მარჯვნივ).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
93 32 73, 893 365 026 ან 893 302 555

***ლექცია ჩატარდება: 1 ოქტომბერს 16.00 (რუსულ ენაზე)***
***2 ოქტომბერს 18.30(ინგლისურ ენაზე)***

დასწრება უფასოა
*მსურველებს შეეძლებათ წიგნის შეძენა


## მოკლედ

### გორში თეატრალური სეზონი იხსნება

გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი 142-ე სეზონს 30 სექტემბერს გახსნის. თეატრი განახლებული კოლექტივითა და ახალი თაობით წარდგება მაყურებლის წინაშე. სეზონი გაიხსნება პრემიერით "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს".

თავისი არსებობის მანძილზე თეატრის კოლექტივი გასულ წელს პირველად იყო გასტროლებზე მოლდავეთის რესპუბლიკის ქალაქ კიშინიოვში, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, სადაც ფესტივალის პრიზიც აიღო.

ამჟამად თეატრის მთავარი რეჟისორი რამაზ იოსელიანი მოლაპარაკებას აწარმოებს იაპონიის თეატრებთან. ახლო მომავალში გორს იაპონელი სტუმრები ეწვევიან. **ინტერპრესნიუსი**

### ჯარჯი ბალანჩივაძის ფერწერული ტილოები

5 ოქტომბერს გალერეა "კოპალაში" გაიხსნება ჯარჯი ბალანჩივაძის პერსონალური გამოფენა. ჯარჯი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის შთამომავალია და პროფესიით თავადაც მუსიკოსია. გამოფენაზე კი ის წარდგება როგორც თვითნასწავლი მხატვარი. ჯარჯი ბალანჩივაძე ექსპოზიციაში ფერწერულ ნამუშევრებს წარმოადგენს. გამოფენა "კოპალაში" ხუთ დღეს გაგრძელდება. ჯი-ეიჩ-ენი

### სომხური სამლოცველო

დაბა ვალეში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში სომხების მიერ თვითნებურად ჩაშენებული სამლოცველო ჯერჯერობით კვლავ მოქმედია.

ახალციხის ქორეპისკოპოსის მეუფე თევდორეს განცხადებით, წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებში ჩაშენებული სამლოცველოს დანგრევასთან დაკავშირებით საკითხი ვატიკანის საელჩოსა და ადგილობრივ თვითმმართველობაშიც განიხილებოდა, თუმცა სამლოცველო დღემდე არ დაუნგრევიათ.

შეგახსენებთ, რომ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია XII საუკუნით თარიღდება. მეუფე თევდორეს თქმით, უძველესი ეკლსიის ნანგრევებში ახალი სამლოცველოს ჩაშენება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობისა და სახელმწიფო საკუთრების ხელყოფაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თეატრი "სახეობა"

6 ოქტომბერს გიორგი შავგულიძის სახელობის თეატრ "სახეობაში" გაიმართება სპექტაკლ "ფორტუნას" პრემიერა.

სპექტაკლს ცხინვალის ვანო მაჩაბლის სახელობის თეატრიდან მოწვეული რეჟისორი თამარ ხიზანიშვილი იტალიელი კლასიკოსის ედუარდო დე ფილიპოს ნაწარმოების მიხედვით დგამს.

როგორც ხიზანიშვილმა განაცხადა, სპექტაკლი კომედიური ჟანრისაა. მისი სიუჟეტი ლატარიის ბილეთების მოგება-წაგებასა და სიყვარულის თემაზე ვითარდება. სპექტაკლში თანამედროვეობაა ასახული. მასში დაკავებულნი არიან დებიუტანტი მსახიობები გიორგი მიქელაძე, ლაშა თვალიაშვილი და ლიკა გორგაძე, რომლებმაც წელს დაამთავრეს თეატრალური ინსტიტუტი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თბილსის საერთაშორისო კინოფესტივალი

თბილის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართება სამი ქართველი რეჟისორის ფილმების პრემიერა. როგორც ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში განაცხადეს, ფესტივალი კინომოყვარულებს შესთავაზებს პრემიერებს ოთარ იოსელიანის ფილმისა "შემოდგომის ბაღები", თემურ და გელა ბაბლუანების "მემკვიდრეობა" და დიტო ცინცაძის "კაცი საელჩოდან".

ფესტივალი გაიხსნება ოთარ იოსელიანის ფილმით, რომელიც რუსეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნამუშევარია. მისი მსოფლიო პრემიერა რომის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში იგეგმება.

თემურ და გელა ბაბლუანების ფილმის "მემკვიდრეობა" პრემიერა კინოთეტრს "ამირანში" შედგება. მასში მთავარ როლებზე მსახიობები სილვი ტესტი, სტანისლას მელჰარა და გიორგი ბაბლუანი არიან დაკავებულნი.

დიტო ცინცაძის კინოსურათით კი თბილისის კინოფესტივალი "პრომეთე" დაიხურება.

სულ ფესტივალზე 70 ფილმია წარმოდგენილი. **ჯი-ეიჩ-ენი**



## აფიშა

29 სექტემბერი

**თეატრი**

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
"აბესალომ და ეთერი"
დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ამირანი"**
"ის, მე და მისი მეგობარი დიუპრი"
დასაწყისი: 16:00; 18:00; 20:00; 22:00

**"რუსთაველი"**
"გარფილდი 2"
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00; 20:00
"მსოფლიო სავაჭრო ცენტრი"
დასაწყისი: 22.00

**გალერეა**

**შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი**
გია ბუღაძის პერსონალური გამოფენა
ფერწერა

**"ქარვასლა"**
"მთელი ქალაქი"
გერმანიის უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის ფოტოგამოფენა
"ჩინური ფაიფური"
გამოფენის გახსნა: 15.00
"ქართველი ემიგრანტები"
ფოტოგამოფენის გახსნა: 17.00

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
თენგიზ და გიორგი მირზაშვილების გამოფენა

# ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმი

თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადმიური თეატრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით თეატრის მუზეუმი ახალ გამოფენას ხსნის.

როგორც მუზეუმის დირექტორმა რუსუდან დაუშვილმა აღნიშნა, გამოფენა სეზონის პირველ სპექტაკლს ზაქარია ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერის" ეძღვნება.

"გამოფენაზე სპექტაკლის უძველესი დადგმების აფიშებს, ფოტოებსა და პროგრამებს წარმოვადგენთ, რაც ამ დროისთვის მუზეუმის ფონდებშია დაცული", - განაცხადა დაუშვილმა.

შეგახსენებთ, რომ "აბესალომ და ეთერის" პემიერა პირველად 1919 წლის 21 თებერვალს შედგა.

*ჯი-ეიჩ-ენი*


■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

**ხმა მიეცით ქალებს!**

**გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა**

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად

1. ს.ს.ი.პ "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მექვსე სასწავლო კორპუსის შენობის პირველ სართულზე არსებული 19,51 კვ მეტრი არასაცხოვრებელი ფართი გაიცემა იჯარის უფლებით. საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 150 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯურო ქირაა 3,33 აშშ დოლარი). იჯარის ვადაა 10 წელი.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 75 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო ექვსი თვის გადასახადში.

2. ს.ს.ი.პ "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მეექვსე სასწავლო კორპუსის შენობის პირველ სართულზე არსებული 28,2 კვ მეტრი არასაცხოვრებელი ფართი გაიცემა იჯარის უფლებით. საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 150 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 4,81 აშშ დოლარი). იჯარის ვადაა 10 წელი.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 75 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო ექვსი თვის გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

ა) იჯარის უფლებით გასაცემ ფართობზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;

ბ) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში კომერციული საქმიანობის ჩატარება;

გ) ინფორმაციის წარმოდგენა "მეიჯარესთან" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციასა და წესდების ასლს.

საკუთრების უფლების გაცემის სანოტარო დამოწმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის მყიდველი.

"ბე"-ს გადახდა ხდება: ბანკი "რესპუბლიკა", სკ 211349192, ა/ანგარიში 345537, ბანკის კოდი 220101757, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 30 ოქტომბერს 11 საათზე.

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. განაცხადები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 15 საათამდე მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (ტელ.: 36-53-90).

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარ კრიტერიუმად განისაზღვროს კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური.

# "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" სატენდერო მოწვევა

**სარეაბილიტაციო სამუშაოები გლდანულას კვეთაზე და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის კოროზიულ მონაკვეთზე KP 193**

2006 წლის 28 სექტემბერი

1. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ" ("კორპორაცია") და საქართველოს მთავრობამ ("მთავრობა") გააფორმეს ხელშეკრულება ("კომპაქტი") დაფინანსების გამოყოფაზე იმ პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში სიღარიბის დაძლევისათვის მიმართული ზომების ხელშეწყობას ეკონომიკური განვითარების გზით. გამოყოფილი თანხა შეადგენს 295,300,000 აშშ დოლარს ("კორპორაციის დაფინანსება"). მთავრობას განზრახული აქვს, კორპორაციის დაფინანსების ნაწილი გამოიყენოს სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტის NICB/CW/03 "სარეაბილიტაციო სამუშაოები გლდანულას კვეთაზე და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის კოროზიულ მონაკვეთზე" დასაფინანსებლად.
2. შესყიდვის წინამდებარე პროცესში მთავრობას წარმოადგენს "ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს ("ემ-სი-ჯი"). "ემ-სი-ჯი" იწვევს ტენდერში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე კვალიფიცირებულ პრეტენდენტებს წარმოადგინონ დალუქული სატენდერო წინადადებები, რომლებიც ეხება გლდანულას კვეთაზე და საქართველოს ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის კოროზიებულ მონაკვეთზე (KP 193) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.
3. ტენდერი წარიმართება საერთაშორისო ტენდერის პროცედურების შესაბამისად, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე სატენდერო დოკუმენტებში და იმ სახელმძღვანელოში, რომლითაც რეგულირდება კომპაქტის ფარგლებში მიმდინარე შესყიდვები. შესყიდვების სახელმძღვანელოსთან გაცნობა შესაძლებელია "ემ-სი-ჯი"-ს ინტერნეტ-გვერდზე: www.mcg.ge. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცედურები მსგავსია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში გამოყენებული პროცედურებისა, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რის გამოც რეკომენდირებულია ფირმების წარმომადგენლებმა ყურადღებით წაიკითხონ სატენდერო დოკუმენტაცია.
4. ტენდერის მონაწილეებმა უნდა დაასაბუთონ, რომ ისინი აკმაყოფილებენ ტენდერის შემდეგ მოთხოვნებს:
   ა. უკანასკნელი სამი (3) წლის მანძილზე შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოს კონტრაქტის შესრულება იმ თანხის ფარგლებში, რომელიც მოცემულია პრეტენდენტის სატენდერო წინადადებაში;
   ბ. შესრულებული აქვთ, სულ ცოტა, ორი (2) მსგავსი კონტრაქტი ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში;
   გ. აქვთ საკმარისი საბრუნავი კაპიტალი კონტრაქტის შესასრულებლად, მათთვის ხელმისაწვდომია საკრედიტო ხაზი (ები) და/ან ფლობენ სხვა ფინანსურ რესურსებს.

**დამატებითი დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.**

5. ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი შეიძლება ჩამოიტვირთოს "ემ-სი-ჯი"-ს ინტერნეტ-გვერდიდან: www.mcg.ge/english/Procurement. სატენდერო დოკუმენტაციის და სარეგისტრაციო ფორმის ჩამოტვირთვის შემდეგ, გთხოვთ, სარეგისტრაციო ფორმის შევსების საფუძველზე რეგისტრაციაში გაატაროთ თქვენი ფირმა, როგორც ტენდერის მონაწილე, ხოლო PDF ფაილში შესრულებული დოკუმენტები გაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: tarkalanov-roumen@ne.bah.com. რეგისტრაცია დასრულებულად ჩაითვლება, როცა ტენდერით დაინტერესებული მონაწილე მიიღებს სარეგისტრაციო ნომერს.
6. სატენდერო დოკუმენტაციის ბეჭდითი ფორმით მიღება შეიძლება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სამუშაო საათებში 14:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. იმ ფირმების რეგისტრაცია, რომლებმაც სატენდერო დოკუმენტაცია დაბეჭდილი ფორმით მიიღეს, ჩატარდება მე-5 პარაგრაფში მოცემული პროცედურის მიხედვით.
7. ფირმების მიერ ჩაბარებული დაურეგისტრირებელი დოკუმენტაცია არ იქნება განხილული მისი შეფასების მიზნით და გაუხსნელად დაუბრუნდება გამომგზავნს.
8. სატენდერო წინადადებების მიიღება 2006 წლის 11 ოქტომბრის 14:00 საათამდე. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტთა იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ დაესწრონ გახსნის ცერემონიას ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 11 ოქტომბერს 14:00 სთ-ზე.
9. **საკონტაქტო მისამართია:**
   "ბუზ ალენ ჰამილტონს"
   "ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსთვის" გადასაცემად
   7, ბამბის რიგი
   ბიზნესცენტრი "მანთაშოვი"
   საქართველო, თბილისი 0105
   ფაქსი: +995 (32) 43 90 59
   ელ. ფოსტა: tarkalanov-roumen@ne.bah.com

# განცხადება კონკურსის ფორმით ქონების გასხვისების შესახებ

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში "გამყიდველი") აცხადებს კონკურს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებაზე.**

**გასაყიდი ქონება:**

ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა N68-ში მდებარე 1 720 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ერთსართულიანი დაუმთავრებელი შენობა.

**გასაყიდი ქონების საწყისი ფასია 1 060 000 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე, საიდანაც 1 720 კვ.მ. მიწის ღირებულებაა 1 008 000 აშშ დოლარი, ხოლო ერთსართულიანი დაუმთავრებელი შენობის ღირებულებაა 52 000 აშშ დოლარი.**

**განაცხადების მიღება:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა (შემდგომში "კონკურსანტი") განაცხადები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 სექტემბრიდან 2006 წლის 26 ოქტომბრის 18:00 საათამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ განაცხადები და საკონკურსო წინადადებები აღარ მიიღება.

განაცხადები და საკონკურსო წინადადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N68.

კონკურსის "რეგისტრატორი"
**ელენე ქავთარაძე**

საკონტაქტო ტელეფონი: მობ: 8 77 46 01 45
ფაქსი: 33 23 15

შენიშვნა: განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10:00-18:00 საათამდე.

"ბეს" და კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისათვის გადასახდელი თანხის გადახდა წარმოებს ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები:
სს "ბანკი რესპუბლიკა"
ანგარიშის N 000 700 499
ბანკის კოდი: 220 101 757

კონკურსანტების წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნა მოხდება 2006 წლის 27 ოქტომბერს 18:00 საათზე ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N68-ში, საზოგადოებრივი მაუწყებლის სხდომათა დარბაზში.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კონვერტების გახსნის დღიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

**საკონკურსო პირობები:**

1. გასაყიდი ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.
2. რვა მეტრი სიგანის ასფალტიანი სამანქანო გზის გაკეთება ჩიქოვანის ქუჩიდან ყოფილი "ტელეფილმების" შენობამდე. ხსენებული გზის გაკეთება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. გზის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს.
3. მყიდველი გასაყიდ ქონებასთან მისასვლელად ისარგებლებს მხოლოდ მეორე პუნქტში მითითებული გზის საშუალებით ჩიქოვანის ქუჩიდან.
4. ამ თავის მეორე პუნქტში მითითებული გასაკეთებელი გზა არ შედის გასაყიდი ობიექტის ფართში. გზის გაკეთების შემდეგ, მასზე გავრცელდება საერთო სარგებლობის უფლება და მისი გამოყენება შეუზღუდავად იქნება შესაძლებელი როგორც მყიდველისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის, ასევე სხვა ნებისმიერი მესამე პირის მიერ.
5. გასაყიდ ობიექტზე არსებული საყრდენი კედელის გამაგრება.
6. გასაყიდი ობიექტის შემოსაზღვრა ღობით.
7. გასაყიდ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების იმგვარად წარმოება, რომ ამით ხელი არ შეეშალოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ნორმალური ფუნქციონირების განხორციელებაში.

*შენიშვნა:*

1. *კონკურსანტს შეუძლია გაეცნოს სავარაუდო გზის ესკიზს და საჭიროების შემთხვევაში გადაიღოს მისი ასლი.*
2. *კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს გზის გასაკეთებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა.*

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

1. კონკურსანტის მიერ შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსანტის ვინაობა (იურდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება), საკონტაქტო მონაცემები, გასაყიდი ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში რომელიც ილუქება მის მიერ;
3. "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 5%-ის ოდენობით ან იმავე ოდენობის თანხაზე გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს 2006 წლის 25 ნოემბრამდე.
4. კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისათვის 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
6. ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსანტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
7. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ პირი ქმედუნარიანია (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
8. კონკურსანტი იურიდიული პირის შემთხვევაში, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს:
   ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
   ბ) ყადაღის ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის მიერ;
   გ) ცნობა გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოების შესახებ სასამართლოდან;
   დ) ცნობა იმის შესახებ, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესი.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური ფასის გადახდა.

**კონკურსის ჩატარების წესი:**

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი კონკურსში მონაწილეთა წინადადებებს განიხილავს გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებიდან გამომდინარე.
2. კონკურსში გამარჯვებულად ცხადება მონაწილე, რომლის წინადადებები აკმაყოფილებენ კონკურსის პირობებს და კრიტერიუმებს და საზოგადოებრივი მაუწყებელს შესთავაზებს უკეთეს პირობებს.
3. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დადგენილ დღეს და საათზე იხსნება კონვერტები შემოსული წინადადებებით. დგინდება ყველა საჭირო დოკუმენტის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. თუ მონაწილის წინადადებები არ პასუხობს კონკურსის პირობებს, იგი არ დაიშვება კონკურსში და აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება შესაბამისი აქტით.
4. კონკურსანტს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას.
5. საზოგადოებრივი მაუწყებელი იხილავს კონკურსანტების წინადადებებს მათი დასწრების გარეშე, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას.
6. იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა რომელიმე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადების უპირატესობა დანარჩენ შემოთავაზებულ წინადადებებთან შედარებით, მაშინ, საზოგადოებრივი მაუწყებელს შეუძლია გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების (წინადადებების) გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტების გახსნის დღესვე.
7. საზოგადოებრივ მაუწყებელს უფლება აქვს საუკეთესო წინადადების (წინადადებების) გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს გადაწყვეტილება კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 6 სამუშაო დღის განმავლობაში.
8. თუ რამოდენიმე კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასის და სხვა პირობების შესახებ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით დაადგინოს (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) საუკეთესო წინადადებები და შემდგომში აწარმოოს მათთან დადგენილი რიგითობის მიხედვით მოლაპარაკებები. ასეთ შემთხვევაში თითოეულ კონკურსანტთან მოლაპარაკების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს.
9. მოლაპარაკებების წარმოების შემდგომ ან კონკურსის ჩატარების წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობის არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოავლენს გამარჯვებულს, რომელთანაც გაფორმდება გასაყიდ ქონებაზე შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება.
10. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი ბრძანებით და რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
    ა) გასაყიდი ობიექტის დასახელებას;
    ბ) მონაცემებს კონკურსის მონაწილეთა შესახებ;
    გ) კონკურსში მონაწილეთა წინადადებებს დანართების სახით;
    დ) კონკურსში გამარჯვებულის დასახელებას;
    ე) კონკურსის შედეგად დადგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ქონების გასაყიდ ფასს;
    ვ) კონკურსის შედეგად დადგენილი საკონკურსო პირობების შესრულების ვადები და განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა.
11. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა მონაწილეს. კონკურსში გამარჯვებულს კი ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.
12. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ:
    ა) 2006 წლის 26 სექტემბრიდან 2006 წლის 26 ოქტომბრის 18.00 საათამდე არ იქნა შემოტანილი არც ერთი განაცხადი;
    ბ) წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

**ხელშეკრულების გაფორმების წესი:**

1. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია საზოგადოებრივ მაუწყებელთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით).
2. ხელშეკრულებაში სხვა პირობებთან ერთად აისახება მყიდველის ვალდებულება საკონკურსო პირობების დაკმაყოფილების შესახებ, ასევე პირგასამტეხლო - აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.
3. სხვა მონაცემები კონკურსის და გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.
4. გასაყიდი ობიექტის შეძენისას შეტანილი "ბე" მყიდველს ეთვლება ანგარიშსწორების დროს.
5. კონკურსანტების მიერ კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისთვის გადახდილი 100 ლარი რჩება საზოგადოებრივ მაუწყებელს.
6. დანარჩენ მონაწილეებს "ბე" უბრუნდებათ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ მათი მოთხოვნის საფუძველზე 7 დღის განმავლობაში.
7. თუ კონკურსში გამარჯვებულის მიზეზით ამ თავის 1-ელ პუნქტში მითითებულ ვადაში არ გაფორმდა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება, მის მიერ "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია ხსენებული თანხის გადახდა მოითხოვოს საბანკო გარანტიის გამცემისაგან.
8. მყიდველი ვალდებულია დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ 3 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს საზოგადოებრივ მაუწყებელს.
9. საკონკურსო პირობების სრულად შესრულებამდე მყიდველს საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება კონკურსის ფორმით გაცემული ქონება განკარგოს.
10. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველი იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 0,05%-ის ოდენობით.

### ინფოთეკა

#### "ფერარის" სცენარი

ფორმულა 1-ის პილოტის ჯეისონ ბატონის განცხადებით, წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო სამი რბოლა მთლიანად "ფერარის" სცენარით წარიმართება. შუმახერი სამივე რბოლას მოიგებს და მერვედ გახდება მსოფლიო ჩემპიონი.

"ფერარი" ამჟამად ძალიან ძლიერია. თუ "ბრიჯსტოუნმა" დარჩენილ სამ რბოლაში ბოლიდებს კარგი საბურავები შეურჩია, შუმახერს ვერავინ შეაჩერებს. მიხაელის გამარჯვებაში იმდენად ვარ დარწმუნებული, რომ მის ჩემპიონობაზე ფულსაც კი დავდებდი", - აცხადებს ბატონი.

შეგახსენებთ, რომ თუ შუმიმ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, იგი რბოლიდან წავა. ამის თაობაზე მცირე კომენტარი გააკეთა "ფერარის" მთავარმა კონსტრუქტორმა რორი ბერნმა, რომელსაც მიაჩნია, რომ გუნდი შუმახერის გარეშეც შეძლებს გამარჯვებას.

"არ ღირს იმაზე საუბარი, რომ შუმახერის წასვლის შემდეგ "ფერარის" ერა დასრულდება. დიახ, მიხაელი მიდის, მაგრამ "ფერარის" დამარცხება მაინც ძნელი იქნება. მე პატივს ვცემ შუმახერის გადაწყვეტილებას, თუმცა გეტყვით, რომ გუნდი მის გარეშეც შეძლებს ჩემპიონის ტიტულის მოგებას", - აცხადებს ბერნი.

#### ბასკების ახალი პრეზიდენტი

სულ ცოტა ხნის წინ თანამდებობა დატოვა ბილბაოს "ატლეტიკის" პრეზიდენტმა ფერნანდო ლამიკისამ. გუშინ მის ნაცვლად ბასკური კლუბის პრეზიდენტის პოსტზე ანა ურკიხო აირჩიეს. 51 წლის ურკიხო პირველი ქალია, რომელიც "ატლეტიკის" პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს.

# "თავისუფლებს" ვერცხლი შეეპარათ

ბიგა ბურასაშვილი

*თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღე საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა. თუმცა, შესაძლოა, ქართველ ფალავანთათვის წარმატება ხმამაღალი ნათქვამი იყოს, რადგან ჩემპიონობამდე თითო ნაბიჯი დააკლდათ. ოთარ თუშიშვილმა და რევაზ მინდორაშვილმა ჩინეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი ვერცხლის მედლებით დაასრულეს.*

ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც სპორტსმენს ვერცხლის მედალზე მეტად ბრინჯაო ახარებს. ვინც მოჭიდავეთა ასპარეზობებს ადევნებს თვალყურს, მათთვის ეს ნაცნობი და გასაგებია. საამისოდ ორი მიზეზი არსებობს. ჯერ ის, თუ რატომ არის უფრო ემოციური მესამე ადგილის დაკავება და მერე ის, თუ რატომ განიცდიან მძაფრად ვიცე-ჩემპიონობას. ერთი სიტყვით, როდესაც სპორტსმენი მესამე ადგილისთვის იბრძვის, მისთვის ეს ერთადერთი შანსია, ასპარეზობა უსახელოდ არ დატოვოს. უფრო სწორად, როდესაც სამეულში შედის, მიიჩნევს, რომ ტყუილუბრალოდ არ დაუღვრია ოფლი. ხოლო როდესაც სპორტსმენი ფინალშია და მთავარ ჯილდომდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს, დამარცხების შემთხვევაში თავს წაგებულად თვლის და არა ვიცე-ჩემპიონად.

ერთი სიტყვით, იმას, ვინც გუშინ



*მინდორაშვილმა ტიტული ვერ შეინარჩუნა.*

ოთარ თუშიშვილის (66 კგ.) ფინალურ ორთაბრძოლას და შემდეგ პრიზიორთა დაჯილდოებას უყურა, ზემოთ თქმულის სისწორეში ეჭვი არ უნდა შეეპაროს. და ასე გრძელდება რა ხანია - ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე.

თუშიშვილი ერთადერთი იყო პრიზიორთა შორის, რომელიც თავჩაქინდრული იდგა, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მდგარნი კი თავს იწონებდნენ (ისინი მანამდეც ემოციურად გამოხატავდნენ ბრინჯაოს მედლების მოპოვებით გამოწვეულ სიხარულს).

არადა, თუშიშვილი მართლაც ძალზე ახლოს იყო ჩემპიონობასთან. ქართველმა ფალავანმა ამერიკელ ბილ ზადეკთან აქტიურად დაიწყო ჭიდაობა და ქულაც აართვა. მერე კიდევ ერთი ქულა მოიპოვა და პირველი პერიოდი გამარჯვებით დაასრულა. მეორე პერიოდში მოჭიდავეებს ქულის აღება გაუჭირდათ. მართალია, თუშიშვილმა წააგო, მაგრამ ამერიკელს ქართველის გასატეხად წუთნახევარი დასჭირდა (შეხვედრა ორ წუთს გრძელდება). დაინიშნა გადამწყვეტი პერიოდი. ვერც ქართველმა იყოჩაღა და ვერც ამერიკელმა. მესამე პერიოდი 0:0 დასრულდა. საქმე ლატარიამდე მივიდა - მსაჯმა ჟეტონი ააგდო, რომელმაც უპირატესობა ამერიკელს მისცა. ეს იმას ნიშნავს, რომ უპირატესობის მქონე მოჭიდავეს მეტოქის მუხლში დაჭერის უფლება ეძლევა. ამ დროს საკმარისია მოწინააღმდეგეს მიაწვე, რომ ის წონასწორობას კარგავს, იქცევა და გამარჯვება მეორეს რჩება. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეს თავი დააღწიო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ოთარ თუშიშვილი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია.

რევაზ მინდორაშვილის (84 კგ.) შემთხვევაში საქმე დამატებით დრომდე არ მისულა. მინდორაშვილს, რომელსაც დღემდე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჰქონდა, ფინალში ძველ მეტოქესთან, რუს საჟიდ საჟიდოვთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა. გაიმარჯვა რუსმა, რაშიც თავად მინდორაშვილმა შეუწყო ხელი. ქართველი ფალავანი საჟიდოვმა ორჯერ დაიჭირა ერთი და იგივე მოძრაობაზე და ქულები აართვა. ორივე პერიოდი რუსის უპირატესობით და შემდეგ ჩემპიონობით დასრულდა.

"ქართველზე რევანშის აღება მინდოდა, რაც შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მერე მოსვენებას არ მაძლევდა. მაშინ მასთან ნახევარფინალში წავაგე, - გამარჯვების შემდეგ თქვა საჟიდ საჟიდოვმა, - როგორც იტყვიან, ჩვენი ანგარიში გვქონდა. სულაც არ მინდოდა მისთვის ან ვინმესთვის რაიმე დამემტკიცებინა. ჩემთვის მთავარია ვიცოდე, რომ პირველი და მსოფლიოში საუკეთესო ვარ!

ქართველის ტაქტიკას კარგად ვიცნობდი. მწვრთნელები მკარნახობდნენ, რომ ინიციატივა ამეღო, ხალიჩიდან გამეგდო. რაც მთავარია, ფრთხილად ვყოფილიყავი მის სწრაფ შემოსვლებთან".

თუშიშვილისა და მინდორაშვილის ორთაბრძოლებს შორის ხალიჩაზე 74 კგ წონითი კატეგორიის ასპარეზობებიც შედგა. გელა საღირაშვილმა პირველი მოგებული შეხვედრის შემდეგ მეორე წააგო და მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

### მოკლედ

#### ზეედორფმა ანჩელოტი დაიცვა

რამდენიმე დღის წინ იტალიის ჩემპიონატის უკანასკნული ტურის მატჩში კლარენს ზეედორფმა კარლო ანჩელოტის შეუტია. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა მწვრთნელს ბოთლი ესროლა. "ლილი"-"მილანის" მაჩტის შემდეგ კაკამ მკაცრად გააკრიტიკა ანჩელოტის ახალი ტაქტიკა, რომელიც იტალიაში საახალწლო ნაძვისხის სახელით მონათლეს. ამ ტაქტიკური სქემის თანახმად, ანჩელოტი ერთი ფორვარდით თამაშობს, რაც ბრაზილიელს დიდად არ ეპიტნავება.

გუშინ ანჩელოტის ადვოკატობა ზეედორფმა იკისრა და თქვა, რომ მწვრთნელის ტაქტიკა აბსოლუტურად სწორია, კაკა კი, უბრალოდ, გადაღლილი იყო და ამიტომ გააკრიტიკა ანჩელოტი.

"ზუსტად არ ვიცი, რა თქვა კაკამ, მაგრამ საახალწლო ნაძვისხის სისტემით თამაში ჩვენს გუნდს ძალიან კარგად გამოსდის. მართალია, ეს ჩვენთვის სიახლეა, მაგრამ ამ სქემას შედეგი მოაქვს. კაკა ალბათ გადაღლილი იყო, მოკლე დროში სამი მატჩი გამართა, ახალგაზრდაა, დატვირთვას ვერ გაუძლო. დარწმუნებული ვარ, მწვრთნელის კრიტიკა არ სურდა", - აცხადებს ზეედორფი.

#### მორატი უკმაყოფილოა

ოთხშაბათს "ინტერი" საკუთარ მინდორზე დამარცხდა მიუნხენის "ბაიერნთან". ზოგიერთმა ეს მარცხი არაობიექტურ მსაჯობას დააბრალა, მილანური კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის კი მიაჩნია, რომ მარცხი მანჩინის ზედმეტად ფრთხილი ტაქტიკის ბრალი იყო.

"არა მგონია, რომ არაობიექტური მსაჯობის გამო დავმარცხდით. გუნდმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და მარცხის მთავარი მიზეზიც ეს არის", - ამბობს მორატი.

#### სანამ არ გაიტანს, ითამაშებს

ოთხშაბათს "ჩელსიმ" ბულგარული "ლევსკი" დაამარცხა. მატჩში გოლები მხოლოდ დიდიე დროგბას გაჰქონდა, ანდრეი შევჩენკო კი კვლავ ჩრდილში აღმოჩნდა. თამაშის შემდეგ ჟოზე მოურინიომ უკრაინელი ფორვარდის დაცვა სცადა.

"დიახ, შევჩენკოს გოლის გატანა სჭირდება. თუმცა ჩემთვის ეს არ არის მთავარი. რომ არ გაიტანოს, მაინც ითამაშებს, რადგან გუნდისთვის სარგებლობა მოაქვს. მოკლედ, სანამ არ გაიტანს, ძირითად შემადგენლობაში იქნება", - აცხადებს მოურინიო.

#### ეტოო სამ თვეს დაისვენებს

"ჰამბურგისა" და "ბარსელონას" შეხვედრაში დაშავდა კატალონიელთა კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო. გუშინ "ბარსელონას" ექიმებმა ფეხბურთელს დიაგნოზი დაუსვეს. როგორც გაირკვა, ტრავმა სერიოზულია. ეტოოს, სულ ცოტა, სამი თვე დასჭირდება გამოჯანმრთელებისთვის.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს **უნიფორმის** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
   - **ლოტი: 1 - ქურთუკი მოკლე - 300 ცალი.**
   - **ლოტი II - ქურთუკი - 500 ცალი.**
   - **ლოტი III - ნახევრადპალტო - 100 ცალი.**
   - **ლოტი IV - შარვალი - 500 ცალი.**
   - **ლოტი V - ხალათი - 500 ცალი.**
   - **ლოტი VI - კეპი - 500 ცალი.**
   - **ლოტი VII - ჟილეტი - 500 ცალი.**
   - **ლოტი VIII - მაისური - 1500 ცალი.**
   - **ლოტი IX - პერანგი გრძელი მკლავიანი - 2000 ცალი.**
   - **ლოტი X - ფეხსაცმელი - 1100 წყვილი.**
   - **ლოტი XI - ფეხსაცმელი მაღალყელიანი - 500 წყვილი.**

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქიზიყის N5
4. მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე..
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 18 ოქტომბერი 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
   ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
   ბ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან ,რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
9. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი 2% ოდენობით.
10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 27-28-32.

*სატენდერო კომისია*

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

## ს.ს. საქართველო ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (შემდგომში სნსკ) აცხადებს ტენდერს და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად

**შესყიდვის ობიექტი - "სამგორი-ბათუმის ნავთობსადენის" სუფსა-ბათუმის მონაკვეთის კილომეტრნიშნული 374-დან (სუფსა) კილომეტრნიშნულ 425-მდე (ბათუმი) მილსადენის და მასზე განთავსებული საშუალებების ტექნიკური ექსპერტიზა.**

მილსადენისათვის გამოყენებული იქნა რუსული (9მმ კედლის სისქე, გარე დიამეტრი 530მმ) და ჩეხური (8 მმ კედლის სისქე, გარე დიამეტრი 530მმ) მილები, რომლებიც სიმტკიცით 52 ჯგუფს მიეკუთვნება. აღნიშნული მილების დენადობის ზღვარია 451 მპა-489 მპა, მილებისათვის გამოყენებული ფოლადის მარკა:

14хгс, 17гс, г2с1(мк),10г2ц1(мк)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისთვის უნდა გადაიხადონ ტენდერში მონაწილეობის საფასური - 200 ლარი, შემდეგ რეკვიზიტებზე "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" საბანკო ანგარიში: თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი კოდი: 220101830; ანგარიშის ნომერი: 4467564 (გადახდის დანიშნულება: სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.)

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის ქუჩა N90 ს.ს. "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" ადმინისტრაციული შენობა, I სართული, ოთახი N21, სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტედენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 ოქტომბრის 17-00 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულმა პირებისათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურმა პირებისათვის:**
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ პირი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა:**
- წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მინაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ;
- ცნობა მომსახურე ბანკიდან ანგარიშსწორების ანგარიშების მდგომარეობისა (არის თუ არა ანგარიშები დაყადაღებული ან გაყინული) და ამ ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

პრეტედენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შემდეგ მისამართზე ქ. თბილის წინამძღვრიშვილის N90 ტელ: 244000. *საკონტაქტო პირი - თენგიზ მიქავა.*

***შენიშვნა ტენდერი არ ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.***

*სატენდერო კომისია*

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

## ხმა მიეცით ქალებს!

**გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა**

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

**www.genderandpolitics.ge**

## მოწვევა ინტერესის გამოსახატავად საკონსულტაციო მომსახურებაზე ნომერი GICMP-IC-57

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**

**მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო**

**საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი**

**"კოლხეთის ეროვნული პარკის საინტერპრეტაციო დაფების დიზაინი"**

„მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო" - მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" განმახორციელებელი ორგანიზაცია იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დიზაინერებს გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნული საკონსულტაციო მომსახურების შესასრულებლად.

დაინტერესებულ დიზაინერებმა უნდა მოგვაწოდონ სათანადო ინფორმაცია (ადრე შესრულებული მსგავსი სამუშაოს აღწერა, ბროშურები, პლაკატები და ა.შ.), რომელიც დაადასტურებდა მათ შესაძლებლობებს შეასრულონ აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურეობა.

კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პროცედურების შესაბამისად, ინდივიდუალური კონსულტანტის კვალიფიკაციის მეთოდით. დამატებითი ინფორმაციის მიღება კონკურსის შესახებ შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით ან სააგენტოს ვებ-გვერდზე www.sdpia.ge. დაინტერესებულმა დიზაინერებმა ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია 2006 წლის 4 ოქტომბრამდე უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

რატი ჯაფარიძე, დირექტორი
მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
გულუას 6, მე-6 სართული, თბილისი, 0114, საქართველო
ელფოსტა: vjaliashvili@sdpia.ge, tbakuradze@sdpia.ge
ინტერნეტი: www.ICZM.org.ge
ტელ/ფაქსი: 75-24-15 / 75-50-40

# მავნე პროფესია

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის აგენტმა კოლინ გორდონმა განაცხადა, რომ საფეხბურთო აგენტების დიდი უმრავლესობა კორუმპირებულია. აგენტების ყველაზე კორუმპირებული ნაწილი სწორედ ინგლისურ ბაზარზე საქმიანობს.

"აგენტები კორუმპირებულნი არიან? ყველა არა, მაგრამ უმეტესობა. ჩვენ ყველაზე უარესები ვართ და ეს უნდა ვაღიარო. მერწმუნეთ, ამ საქმეში იმხელა ფული ტრიალებს, რომ ზოგს წარმოდგენაც გაუჭირდება," - აცხადებს გორდონი. საინტერესოა, რომ ორიოდე დღის წინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 100 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა ეშლი კოულის აგენტი და მას 9 თვით აუკრძალა ფეხბურთში მოღვაწეობა.

# ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია **2006 წლის 2 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე** აცხადებს საბუთების მიღებას ადვოკატთა ტესტირებაში მონაწილეობის მსურველთათვის.

ტესტირებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთები:

1) **ავტობიოგრაფია;**
2) **დიპლომის დედანი და ასლი;**
3) **პირადობის მოწმობის ასლი;**
4) **სამი ფოტოსურათი 3X4;**

ტესტირებაში მონაწილეობის საფასური შეადგენს **50 ლარს.**

საბუთების მიღება წარმოებს 11:00-დან 16:00-მდე ასოციაციის მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი, კორპ. 4/8.

საკონტაქტო ტელეფონია: **29 42 87**

# ცვლილება

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო გაცნობებთ, რომ 2006 წლის 22 სექტემბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების თაობაზე, რომელიც შეეხება **"სახელმძღვანელო მითითებები სანაპიროს ინტეგრირებული მართვის შესახებ" ორენოვანი ბუკლეტის დიზაინს, დაკაბადონებასა და პოლიგრაფიულ გამოცემას,** შეტანილია ცვლილება წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადასთან დაკავშირებით.

**აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის ბოლო ვადაა 2006 წლის 6 ოქტომბერი, 14:00 საათი.**

# ცვლილება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 27 სექტემბერს, გაზეთ "24 საათში" (N213) გამოქვეყნებულ განცხადებებში, რომელიც შეეხება E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის აღაიანი-სვენეთის მონაკვეთის რეკონსტრუქციის "წინასაპროექტო გამოკვლევა, გარემოზე ზემოქმედების ანალიზს და განსახლების გეგმას"

**ბოლო აბზაცი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დაინტერესებულ პირებს აღნიშნული დოკუმენტის ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შეუძლიათ გაეცნონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge ან მიიღონ ამ დოკუმენტების ასლები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ან აღაიანის, იგოეთისა და სვენეთის საკრებულოებში

*სატენდერო კომისია*

# AMENDEMENT

In the year 2006 the Government of Georgia has received a grant from the International Development Association (IDA) for a Georgian infrastructure Pre-Investment Facility (IPF). Under this Grant association of consulting companies "BONIFICA-RENARDET" (Italy and Switzerland) was awarded in ICB and prepared Preliminary design Environmental Impact Assessment and Resettlement Policy Framework study the for reconstruction of the Agaiani-Sveneti section of (E-60) Highway. Reconstruction works on Agaiani-Sveneti section will be based on this study.

**The last paragraph has to be changed accordingly:**

English and Georgian versions of the study carried out by "BONIFICA-RENARDET" will be available at the website of the Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia www.georoad.ge. Hard copies of the documents are available at the Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia or local authorities' offices of Agaiani, Igoeti and Sveneti.

*Tender Commission*

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2006 წლის 12 სექტემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "კერძო საშუალო სკოლა "დავითიანი - მარინა გორშკოვასათვის" ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სალიცენზიო მასალის ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან 20 დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა."

# საქართველოსა და იტალიას მაიკლ რაილი "მოარიგებს"

მიხეილ აბაიშვილი

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე შესარჩევი ქვეჯგუფის მატჩს საქართველოსა და იტალიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც 11 აგვისტოს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული რეფერი განსჯის. უეფადან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოსული ინფორმაციის თანახმად, "ხუთჯვაროსნებისა" და "სკუადრა აძურას" დაპირისპირებას ინგლისელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. მთავარი მსაჯი იქნება მაიკლ რაილი. მას დაეხმარებიან გლენ ტერნერი და დევიდ ბაბსკი. სათადარიგო არბიტრის ფუნქციას ჰოვარდ ვები იტვირთავს.

მაიკლ რაილი ერთგვარად ევროპული საფეხბურთო თემიდის სახეა. ქართველი და ევროპელი გულშემატკივრისთვის ამ ბრიტანელი არბიტრის ჰაბიტუსი კარგად არის ცნობილი ერთი მიზეზის გამო: უეფას ჩემპიონთა ლიგის ცნობილ საიმიჯო ვიდეორგოლში მრისხანე-გამომეტყველებიანი არბიტრი წითელ ბარათს აფრიალებს. ეს მსაჯი სწორედ რაილია. ამის მიუხედავად, განსაკუთრებით მკაცრი არბიტრების რანგში მისი მოხსენიება არ შეიძლება. პირიქით - რაილი, როგორც ჭეშმარიტი ბრიტანელი რეფერი, გუნდებს ბრძოლის საშუალებას აძლევს და მხოლოდ იმ შემთხვევაში აფიქსირებს წესის დარღვევას, თუ ეს წესი ნამდვილად ირღვევა. ასე რომ, "ნისლიანი ალბიონის" ეს წარმომადგენელი წითელ-ყვითელი ბარათების ფრიალით არ გამოირჩევა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ როგორც ჩვენმა ფეხბურთელებმა, ისე საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა. სხვა საქმეა, რომ ჩვენი მეტოქეა გუნდი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის რანგში ჩამოდის. ასეთი გუნდების მიმართ მსაჯები ხშირად ავლენენ სიმპათიებს, რაც კარგად გამოჩნდა საქართველო-საფრანგეთის მატჩის დროსაც. იმის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ, რომ მსაჯის არაობიექტური და მიკერძოებული დამოკიდებულების გამო დავმარცხდით, სხვა შემთხვევაში კი ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულებდით მატჩს. იმდენად დიდი იყო კლასში სხვაობა, რომ ფრანგები ყველა შემთხვევაში მოგვიგებდნენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა სადავო სიტუაცია არბიტრმა ფრანგების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ვფიქრობ, რაილის შემთხვევაში მსგავსი რამ არ გვემუქრება.

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში იტალია-საქართველოს დაპირისპირება, რომელიც ქალაქ ანკონაში მასპინძელთა სასარგებლოდ, 2:0 დასრულდა, სწორედ მიკერძოებული მსაჯობის გამო დავთმეთ. იმ მატჩის არბიტრი ფრანჩესკო ტოტის სიმულაციაზე ორჯერ წამოეგო და ჩვენს კარში ორი პენალტი დანიშნა, რომლებიც თავად ტოტიმ გამოიყენა. ჯერ გაურკვეველია, ქართულ-იტალიური დაპირისპირების ოთხმატჩიანი სერიის ბომბარდირი ფრანჩესკო ტოტი (საქართველოს ნაკრების კარში მას სამი გოლი აქვს გატანილი) მიიღებს თუ არა მონაწილეობას ამ შეხვედრაში. როგორც ამბობენ, "რომას" თავდამსხმელსა და იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს რობერტო დონადონის შორის განხეთქილებაა, რის გამოც ტოტი შესარჩევი ციკლის ორ უახლოეს მატჩში თამაშს არ აპირებს. ასეც რომ არ იყოს და ტოტიმ ითამაშოს, დარწმუნებული ვარ, ანკონური მატჩის მსგავს სიტუაციაში პენალტს ვერა, მაგრამ ყვითელ ბარათს კი გამორჩება მაიკლ რაილს.

# "სეივების" გერმანელი დიდოსტატი

## "ჰამბურგამდე" იენს ლემანს 853 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია

მარი ჯავახიშვილი



ლემანმა 853 წუთის განმავლობაში კარი მშრალად შეინახა.

პრემიერლიგის პირველი ოთხი ტურის შემდეგ ნისლიან ალბიონზე "არსენალი" ბევრმა ჩემპიონის პრეტენდენტობიდან მოკვეთა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" მოგების შემთხვევაში, "მეთოფეების" ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრაც ბუნდოვანი იყო. ფერგიუსონის გუნდთან მიღწეული ფრე კი ლონდონელებს სატურნირო ცხრილის ფსკერზე - "უოტფორდისა" და "შეფილდ იუნაიტედის" გვერდით ტოვებდა.

თუმცა, სკეპტიკოსთა პროგნოზების მიუხედავად, ემანუელ ადებაირის ზუსტად შესრულებულმა დარტყმამ "არსენალს" "ოლდ ტრეფორდზე" გამარჯვება მოუტანა. ლონდონელთა ამ წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი, გოლის ავტორის გარდა, იმ შეხვედრაში უდავოდ იყო გერმანელი მეკარე იენს ლემანი. მან მანჩესტერელთა კარში დარტყმული ყველა ბურთი მოიგერია.

"არსენალის" კარის დარაჯს არც სამშობლოში, "ჰამბურგთან" შეხვედრისას შეურცხვენია თავი - მართალია, ერთი გოლი საკუთარ კარში მიიღო, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა გერმანელებს ორი ბურთი შეუგდეს და ლონდონში გამარჯვებულები დაბრუნდნენ. "პორტუსთან" კი სულაც მშრალად შეინახა კარი.

ლემანი ეგრეთ წოდებული "სეივების" კარგად ნაცნობი სურათია. თუმცა, გასულ სეზონში მისმა ფენომენალურმა თამაშმა "არსენალს" წარმატებები მოუტანა, თავად ლემანს კი ბუნდესნაკრების №1 მაისურა, რომელიც კარგა ხანს ოლივერ კანის კუთვნილება იყო. გარდა ამისა, ლემანის სახელი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაშიც შევიდა - გერმანელმა 853 წუთის განმავლობაში კარი მშრალად შეინახა.

ამით მან ჰოლანდიელი ედვინ ვან დერ სარის მიღწევა დაამხო, რომელსაც, თავის მხრივ, 658 წუთის განმავლობაში არ ჰქონდა გოლი გაშვებული. სარეკორდო სვლას "მეთოფეთა" კარი დარაჯი ლიგაზე 2005 წლის თებერვლიდან ინარჩუნებდა. ჰასან სალიჰამიჯიჩმა სწორედ იმ დღეს დალაშქრა ლემანის კარი. მას შემდეგ 36 წლის გოლკიპერის კარი აუღებელი იყო, სანამ ბუბაქარ სანოგომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში არ გაუტანა გოლი.

"ამაყი კი არა, აღფრთოვანებული ვარ! მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ჯილდო მარტო მე კი არა, მთლიანად "არსენალმა" დაიმსახურა. მარტო თამაშით შორს ვერ წახვალ. ამ წარმატებას ყველამ ერთად მივაღწიეთ", - სიხარულს ვერ მალავდა იენს ლემანი, როცა 2005-06 წლის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

რა თქმა უნდა, პარიზში გაძევებამ ლემანს გუნება გაუფუჭა, მაგრამ ის ახლა მშვიდად იხსენებს მაშინდელ ინციდენტს: "სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი, როცა ნახევარფინალში პენალტი მოვიგერიე. ასეთი სეივის მერე, იმის გაფიქრებაც კი გიჭირს, რომ ფინალში გაგაძევებენ. მაგრამ რას იზამ, ფეხბურთში აღმასვლა და დაღმასვლა ერთმანეთს სდევს", - იენს ლემანი.

მაშინდელი დისკვალიფიკაციის გამო გერმანელმა მეკარემ შესარჩევი ციკლის მესამე რაუნდში ზაგრების "დინამოსთან" ვერც ერთ მატჩში ვერ ითამაშა. "პორტუსთან" სალიგო მატჩი კი ლემანისთვის პირველი გამოდგა ახალ "ეშბარტონ გროუვზე". თუმცა, მისივე თქმით, ლონდონელები ახალ არენას ჯერ ბოლომდე ვერ გაუშინაურდნენ.

"ახალი სტადიონი ახალი სახლივითაა. როცა საცხოვრებელს იცვლი, გარკვეული დრო გჭირდება ახალ გარემოსთან შესაგუებლად. ჩვენც ასე ვართ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე თავს ისე ვიგრძნობთ, როგორც სახლში", - ამბობს ლემანი.

"არსენალს" მართლაც მხოლოდ რამდენიმე გამარჯვება სჭირდება, რომელიც "ჰაიბერიზე" უხვად ჰქონდა და ადაპტაციის პრობლემა წარსულს ჩაბარდება.

# ჯილა-გოლი ისევ უგოლოდაა

მარი ჯავახიშვილი

მას არასოდეს ჰქონია გოლის გატანის პრობლემა, მაშინაც კი, როცა სრულიად გამოუცდელი და უცნობი იყო. მისთვის გოლის გატანა ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც სიარული. ასე რომ, იტალიელი ტიფოზები იმედიანად ელიან იმ დღეს, როცა ალბერტო ჯილარდინო უწინდებურად დაიწყებს მეტოქეთა კარის დალაშქვრას. თანაც, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ, რომ: მსოფლიო ჩემპიონი და სერია ა-ში 63 გოლის გამტანი "ჯილა-გოლისთვის" გოლის გატანა შეიძლება პრობლემად იქცეს.

ფეხბურთელის წარსულისა და მოედანზე მიღწეული შედეგიანობის მიუხედავად, ბოლო დროს ბოროტი ენები სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ იტალიელ გოლეადორს. კრიტიკა იმანაც გაამძაფრა, რომ ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა თავდამსხმელმა ვერც "ლილისთან" მატჩში შეძლო გოლის გატანა. სწორედ ამ თემაზე საუბრით დაიწყო "გაძეტა დელო სპორტის" ინტერვიუ ჯილასთან:

**- როგორ ფიქრობთ, ბოლო ხანს უსაფუძვლოდ გაკრიტიკებენ?**

- სიმართლე გითხრათ, კი. ხალხი მიეჩვია იოლად გაკრიტიკებას. ყველაფერი ერთბაშად და თანაც ძალიან მალე უნდათ. ერთ უმნიშვნელო, მცირე შეცდომასაც კი არ გაპატიებენ. ამ სეზონში მხოლოდ ორ მატჩში ვითამაშე - "ცრვენა ზვეზდასა" და "ლაციოსთან". ეს კი, ჩემი აზრით, ასეთი მკვეთრი კრიტიკის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. მთავარია მე არც ჭორებს ავყვე და არც წარმატება ამივარდეს თავში. ფორმის აღდგენა კი ყოველთვის მიჭირდა. "პარმაში" თამაშისასაც და "მილანშიც" გასული სეზონის დასაწყისი ასეთი სქემით ვითარდებოდა.

**- რას იტყვით იმათ გასაგონად, ვინც ფიქრობს, რომ პროფესიულად ვერ გაიზარდეთ?**

- ასეთთა გასაგონად ვიტყვი, რომ ჩემი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში უგოლობის ნავსის გატეხვა და "მილანთან" ერთად გამარჯვებაა. მინდა, "როსონერისთვის" მნიშვნელოვანი როლი შევასრულო და გადამწყვეტ მატჩებში გადამწყვეტი გოლებით დავეხმარო.

**- მაინც რა არის თქვენი წლევანდელი უგოლობის მიზეზი?**

- ალბათ ის, რომ ამაზე არ ვნერვიულობ, არ ვფიქრობ. ადრე თუ გვიან, ვიცი, რომ გავიტან. მთავარია, "მილანი" იგებდეს პრინციპულ მატჩებს. ჯერჯერობით ცუდ შედეგს არ ვაჩვენებთ, გოლებზე კი პიპომ იზრუნოს. სხვათა შორის, პიპო ხშირად მაძლევს ხოლმე სასარგებლო რჩევებს და სიმშვიდისკენ მომიწოდებს. მითხრა, რომ გავიტან. ინძაგი კი ყოველთვის მართალია.

**- პაჩისთან შეჯახება, ალბათ, მხოლოდ უსიამო მოგონებად დაგრჩათ...**

- არა მხოლოდ. თავზე სამი ნაკერი დამადეს, რომელსაც მომდევნო კვირას მომხსნიან. თუმცა, ჭრილობა უკვე შემიხორცდა და მოედანზე თავისუფლად თამაში შემიძლია. გული მწყდება, რომ "ლილისთან" მატჩში უგოლოდ დავტოვე მოედანი.

**- ფრანგულ გუნდთან სტუმრად თამაშმა, ალბათ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი მოგაგონათ. ხშირად იხსენებთ მუნდიალს?**

- ისეთი მძაფრი ემოციები გადავიტანე, რომ მათი ასე მალე დავიწყება ძალიან ძნელია. გასულ კვირას, როცა ველოსპორტის მსოფლიო ჩემპიონატზე ბერტინის ტრიუმფს ვუყურე, კიდევ ერთხელ გამახსენდა ბერლინი და ის დაუვიწყარი წუთები, თასის აწევისას რომ განვიცადე. მნიშვნელობა არა აქვს სპორტის სახეობას, ყოველთვის მახარებს იტალიელთა წარმატება მსოფლიო არენაზე. მაგრამ ჩვენი გამარჯვება მაინც უკვე ისტორიაა. ახლა მხოლოდ "მილანის" წარმატებებზე ვარ ორიენტირებული.

**- "მილანში" გადმოსვლის შემდეგ თუ შეიცვალეთ?**

- არა მგონია. მოედანზეც და მოედნის მიღმაც ისევ ის ალბერტო ვარ. მართალია, ვერც ერთი ტიტული ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ გასული სეზონის შედეგებით კმაყოფილი ვარ. გასული სეზონის წარუმატებლობის "წყალობით" კი წლეულს უფრო გავძლიერდებით.


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით (40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39**



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge




24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



- ფოსტა

ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.

B2

## Microsoft-მა Start - Up-ი 120 მილიონად შეისყიდა

პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია Microsoft-მა გუშინ ისრაელის კომპანია Gteko Technologies LTD-ს StarT-Up-ის შესყიდვის შესახებ განაცხადა. სავარაუდოდ, კომპანიებს შორის გარიგება 120 მილიონ დოლარად შედგა, თუმცა მხარეები ზუსტ თანხას ჯერ არ ასახელებენ. კომპანია Gteko 1992 წელს იეგოშუა გლაზერომ დააარსა და 2004 წლამდე ინვესტორებისგან არანაირი ფული არ მიუღია. ორი წლის წინ კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, კომპანია Start-Up-ით დაინტერესდნენ ისეთი კომპანიები, როგორიც არის Pitango Venture Capital, Intel Digital Home, Nec Europe, Cisco-Linksys, Canon და Hewlett-Packard. კომპანიის 5 პროცენტი America-Online-მა შეისყიდა, რომელიც მანამდე კომპანია Gteko-ს ერთ-ერთი მომხმარებელი იყო.

Gteko Technologies Ltd-ი საოჯახო ტექნიკის კომპიუტერულ მართვას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ Gteko ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და პერსპექტიულ Start-Up-ად დასახელდა.

კომპანია Microsoft-ისთვის ეს უკვე ისრაელის მეხუთე კომპანიაა, რომელიც ბოლო პერიოდში შეიძინა. ყველაზე მსხვილი გარიგება 2006 წელს განახორციელა, მაშინ, როცა ბილ გეიტსმა კომპანია Whale Comunications-ი 75 მილიონ დოლარად იყიდა.



## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3047 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9828 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4731 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7375 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8113 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1274 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2957 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3031 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2044 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4094 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3341 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1626 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1483 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2825 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1885 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2482 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4038 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5590 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1534 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4138 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3143 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2663 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5562 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5837 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0648 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0939 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4537 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5135 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4135 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4625 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8124 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0088 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1368 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4416 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2371 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3969 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0776 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2198 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2231 |




# საქართველოდან მორიგი ინვესტორი მიდის

## ENERGO-PRO-მ ქართულ აქტივებზე, შესაძლოა, უარი თქვას

დიანა ჩაჩუა

*"საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" მფლობელად გამოცხადებული "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორეიშენის", ოდნავ მოგვიანებით კი, "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის მყიდველის "ევრაზჰოლდინგის" უეცარი "აორთქლება" თავის დროზე ქართულ საპრივატიზაციო სივრცეში ნაღმის აფეთქების ტოლფასი იყო. ეფექტი გაცილებით დიდი იქნება, თუ ერთი საგულისხმო ინფორმაცია დადასტურდება. როგორც "24 საათისთვის" სარწმუნო წყაროსგან გახდა ცნობილი, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის", "აჭარის ენერგოკომპანიის" და 6 ჰესის პრივატიზაციისთვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა ჩეხურმა ENERGO-PRO-მ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას ვერ მიაღწია და ქართულ აქტივებზე უარი თქვა. არც ენერგეტიკის და არც ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში ამ ფაქტს არ ადასტურებენ. თავად "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" კი დუმილის უფლებას იტოვებენ.*



B2

# თუ კომერციული ბანკიდან სესხის გამოტანა გსურთ...

*თუ თქვენ კომერციული ბანკიდან სესხის გამოტანა გსურთ, აუცილებელი პროცედურების გასავლელად და საჭირო დოკუმენტაციის მოსაპოვებლად რამდენიმე დაწესებულებაში მისვლა აღარ დაგჭირდებათ. თქვენ ამ მომსახურებას თავად ბანკები გაგიწევენ. ამას გულისხმობს "სარეგისტრაციო განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის" ახალი პროგრამა, რომელიც სააგენტოში ბანკებთან თანამშრომლობის კუთხით, მოქალაქეთა სწრაფი და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველსაყოფად შეიქმნა.*

გუშინ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უწყების თავმჯდომარემ ჯაბა ებანოიძემ ახალი პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. აღნიშნული პროგრამა ბანკებს, უძრავი ქონების სააგენტოებს, კერძო ამზომველ კომპანიებს, საადვოკატო ბიუროებსა და ნოტარიუსებს საშუალებას აძლევს ოფისიდან გაუსვლელად მიიღონ ამ პროგრამაში ასახული საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზის განსაზღვრული ინფორმაცია.

ხელი მოეწერა შეთანხმებას ოთხ კომერციულ ბანკთან - "საქართველოს ბანკი", "თიბისი ბანკი", "პროკრედიტ ბანკი", "რესპუბლიკა ბანკი", ასევე უძრავი ქონების სარეგისტრაციო მომსახურების ცენტრთან. გუშინ ბანკებისა და უძრავი ქონების სააგენტოების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობის სურვილი.

"საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პარტნიორ ბანკებს, სააგენტოსთან შეთანხმებით, მონაცემთა ბაზაში შესვლის ინდივიდუალური ნებართვა ექნებათ, ასევე ეყოლებათ წარმომადგენლები, რომლებიც საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მისაღებად საჭირო პროცედურებს მოქალაქეთა ნაცვლად შეასრულებენ. ეს კი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციით დაინტერესებულ პირთა რიგის პრობლემასაც მოაწესრიგებს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიზანმიმართულად ახორციელებს მკვეთრად განსაზღვრული რეფორმის კურსს - ჩამოყალიბდეს მომხმარებელზე ორიენტირებული, გამჭვირვალე, უსაფრთხო, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სარეგისტრაციო სისტემა," - განაცხადა გუშინ სააგენტოს თავმჯდომარემ ჯაბა ებანოიძემ.



ჯაბა ებანოიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტო პროგრამის გაცნობის მიზნით ბანკის თანამშრომელთა სწავლებას უზრუნველყოფს. ამასთან, "სარეგისტრაციო განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის" პროგრამაში ასახული ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე (reestri.gov.ge) და ის ნებისმიერი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომია.

ამ ეტაპზე, ახალი პროგრამა მხოლოდ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში დაინერგა. თუმცა, უახლოეს მომავალში ამ მომსახურებით ბანკების რეგიონული ოფისებიც ისარგებლებენ.

**24 საათი**

# შემოქმედი მემკვიდრეობითი მილიარდერი

## სტელიოს ჰაჯი-იოანუს დიდი ბიზნეს-ალღო და გამჭრიახობა

გოჩა ქიმუცაძე

*37 წლის კვიპროსელმა სტელიოს ჰაჯი-იოანუმ ბიზნეს-სამყარო თავისი რისკიანობით და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით გააოცა. სრულიად დილეტანტმა დიდი გაბედულება და გამჭრიახობა გამოიჩინა და ერთობ ცნობილი ბრენდების შექმნა შეძლო. ამჟამად სტელიოსის იმპერიაში შედის ავიკომპანია EasyJet-ი, სანაოსნო ფირმა Stelman Shipping-ი, ინტერნეტ-კაფეების მსოფლიოში უმსხვილესი ქსელი EasyEverysing-ი, ონლაინ-მაღაზია EasyValue, ონლაინ ფინანსური მომსახურება EasyMoney, უფასო საფოსტო სერვისი Easy.com. მართალია, ჰაჯი-იოანუმ ამ კოლექციის შეგროვება 13 წლის წინ დაიწყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ერთობ სოლიდური ბიზნესი აქვს, მისი პირადი კაპიტალი კი 1,8 მილიარდ დოლარს უტოლდება.*



- მამიკოს ბიჭი
- ზღვიდან ცაში
- "მარტივი" ფული



B3

*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*



# თიბისი - ფოსტა

***გავყიდე მანქანა და მინდა ბანკში შევიტანო 5.000 დოლარი, მაქსიმუმ ორი წლით. რა სახის ანაბარი შეიძლება გავხსნა, რამდენი იქნება დარიცხული პროცენტი და რამდენს გავიტან რეალურად ვადის გასვლის შემდეგ? გარდა ამისა, მაინტერესებს, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ თანხის გატანა ვადაზე ადრე დამჭირდა. შემეძლება თუ არა ჩემი პირველადი თანხის სრულად გატანა, თუ ჯარიმის სახით უნდა დამექვითოს რამე?***



**ნინო ყაჭეიშვილი, თიბისი ბანკის გაყიდვების განყოფილების უფროსი:** თუ თქვენ გსურთ ეს თანხა ხელუხლებლად იდოს ბანკში, გირჩევთ გახსნათ "ვადიანი ანაბარი", რადგან ორი წლის შემდეგ თქვენი თანხა საგრძნობლად გაიზრდება ანაბარზე დარიცხული მაღალი წლიური საპროცენტო განაკვეთის შედეგად. რაც მთავარია, გირჩევთ, ეს განახორციელოთ 30 ნოემბრამდე, რადგან სწორედ ამ დრომდე თიბისი ბანკში "დეპოზიტების საშემოდგომო აქცია" მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც დღემდე არსებული საპროცენტო განაკვეთი 2%-ით გაიზრდება ლარზე გახსნილი ანაბრების შემთხვევაში, ხოლო 1%-ით დოლარსა და ევროში გახსნილ ანაბრებზე.

თქვენს შემთხვევაში, 2 წლიან ვადიან ანაბარზე დაგერიცხებათ ლარის ანაბარზე - წლიური 14,5%, დოლარის ანაბარზე - 11,5%, ხოლო ევროს ანაბარზე - 10,5%. დღევანდელ ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით, ეს უპრეცენდენტოდ მაღალი სარგებელია.

თქვენ თუ დღეს ბანკში ანაბარზე შეიტანთ 5.000 დოლარს, 2 წლის შემდეგ თქვენი თანხა 6.150 დოლარი გახდება. 10%-იანი საშემოსავლო გადასახადის დაქვითვის შედეგად კი ხელზე 6.035 დოლარს გაიტანთ.

სურვილის შემთხვევაში, თქვენ შეგეძლებათ ყოველთვიურად გაიტანოთ ბანკიდან ის თანხა, რომელიც თქვენს დანაზოგს პროცენტის სახით დაერიცხება. თუმცა, ამ შემთხვევაში წლიური საპროცენტო სარგებელი 0,5%-ით შემცირდება.

რაც შეეხება თქვენ შეკითხვას ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, გაცნობებთ, რომ ნებისმიერ დროს შეგეძლებათ სრულად გაიტანოთ ბანკიდან თქვენს მიერ შემოტანილი თანხის სრული ოდენობა და დამატებით მიიღებთ იმ თვეების შესაბამის სარგებელსაც, რომელიც ანაბრის გახსნიდან მის შეწყვეტამდე დაგერიცხათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს სარგებელი ჩვეულებრივ საპროცენტო განაკვეთზე 4%-ით ნაკლები იქნება.

***მე და ჩემი მეუღლე დიდი ხანია ვაპირებთ ზაფხულში მთელი ოჯახით საზღვარგარეთ დასვენებას, თუმცა თანხის შეგროვებას ვერ ვახერხებთ, რადგან ყოველთვის ჩნდება მიზეზი, რომ სახლში დადებული თანხა სხვა მიზნისთვის გამოვიყენოთ. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი დანაზოგი ბანკში შევიტანოთ. აქამდე არასდროს გვქონია ბანკთან ურთიერთობა. გვაინტერესებს რამდენად დაცული იქნება ეს თანხა და შეიძლება, თუ არა პირველად შემოტანილ თანხაზე ფულის დამატება?***



**ვაჟა ბერიაშვილი, თიბისი ბანკის პროდუქტების განვითარების განყოფილების უფროსი:** თუ თქვენ უკვე დააგროვეთ გარკვეული დანაზოგი და პერიოდულად მასზე თანხის დამატების საშუალებაც გაქვთ, მაშინ თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელია თიბისი ბანკის "ვადიანი+" ანაბარი. ეს ანაბარი აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც თქვენ გაინტერესებთ და თანაც ისე, რომ თქვენი დანაზოგი კარგად იყოს დაცული და მაღალი საპროცენტო სარგებელი დაერიცხოს.

ამ ანაბრის გახსნისთვის საჭიროა, თქვენი თავდაპირველი დანაზოგი შეადგენდეს მინიმუმ 1000 ლარს, დოლარს ან ევროს - იმის მიხედვით, თუ რომელ ვალუტაში გსურთ ანაბრის გახსნა.

პირველადი თანხის ბანკში შეტანის შემდეგ თქვენ ყოველთვიურად, ან სხვა ნებისმიერი პერიოდულობით შეგიძლიათ დაამატოთ მინიმუმ 500 ლარი/დოლარი/ევრო.

"ვადიანი+" ანაბრის ვადა 3-დან 36 თვემდეა. ეს ანაბარი გამოირჩევა მაღალი საპროცენტო განაკვეთით. 24 თვის ვადით "ვადიანი+" ანაბრის გახსნის შემთხვევაში წლიური განაკვეთი "დეპოზიტების საშემოდგომო აქციამდე" იყო ლარის ანაბარზე - 12%, დოლარის ანაბარზე - 10%, ხოლო ევროს ანაბარზე - 9%.

"დეპოზიტების საშემოდგომო აქციის" განმავლობაში თიბისი ბანკში გახსნილ "ვადიან+" ანაბრებს დაერიცხება გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი. გარდა ამისა, გაზრდილი საპროცენტო სარგებელი დაერიცხება საშემოდგომო აქციის დაწყებამდე გახსნილ ანაბრებსაც, ოღონდ - მხოლოდ აქციის პერიოდში დამატებულ თანხებზე.

აქედან გამომდინარე, საშემოდგომო აქციის განმავლობაში, "ვადიანი +" ანაბარზე წლიური საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება და 2 წლიანი ანაბრების შემთხვევაში იქნება:

ლარის ანაბარზე - 14%,
დოლარის ანაბარზე - 11%,
ევროს ანაბარზე - 10%.

ამრიგად თუ თქვენ თქვენს დანაზოგს 30 ნოემბრამდე შემოიტანთ თიბისი ბანკში, თქვენ საშუალება გექნებათ მიიღოთ გაზრდილი საპროცენტო სარგებელი და ისარგებლოთ აქციის სხვა პრივილეგიებით, მათ შორის - უფასო სამედიცინო დაზღვევით (სამედიცინო დაზღვევის პაკეტს თიბისი ბანკი საჩუქრად გადასცემს იმ მეანაბრეებს, რომელთა პირველადი შემონატანი მინიმუმ 4.000 დოლარი/ევრო ან 8.000 ლარი იქნება).

რაც შეეხება თქვენი თანხის დაცვის გარანტიას, გარწმუნებთ, რომ ფულის შესანახად ყველაზე საიმედო ადგილი ბანკია. დღეს საქართველოს საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე განვითარებული და სტაბილური სეგმენტია, თიბისი ბანკს კი საქართველოს ბაზარზე წამყვანი პოზიცია უჭირავს, რაზეც თავად ბანკის ფინანსური მაჩვენებლები, მისი ისტორია, რეპუტაცია, მომხმარებელთა სისტემატიური ზრდა და საერთაშორისო აღიარებები მეტყველებს.

***გვინდა გავფართოვდეთ და ვაპირებთ მშენებლობის დაწყებას, თუმცა საკმარისი თანხა არ გაგვაჩნია. რეკლამებიდან ვიცით, რომ ასეთ შემთხვევებში ბანკი იძლევა სესხებს. რა საბუთები დაგვჭირდება სესხის ასაღებად და რა თანხის გადახდა მოგვიწევს ყოველთვიურად, თუ 5 წლით 15 000 დოლარს გამოვიტანთ?***



**ლელა ჭინჭარაული, თიბისი ბანკის საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი:** ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ თიბისი ბანკის იპოთეკური სესხებით, რომელზეც წლიური საპროცენტო განაკვეთი 14%-დან 19%-მდეა. სესხის თქვენი ყოველთვიური შემოსავალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 400 აშშ დოლარს.

სესხის უზრუნველყოფა (გირაო) მოხდება უძრავი ქონებით, ამ შემთხვევაში - თქვენი სახლით.

რაც შეეხება ყოველთვიურ გადასახადს, 15.000 აშშ დოლარის სესხზე, 5 წლიანი ვადის შემთხვევაში, იქნება საშუალოდ 350-დან 380 აშშ დოლარამდე (გამომდინარე სესხის საპროცენტო განაკვეთიდან). ამ თანხაში შედის როგორც სესხის ძირი, ისე - პროცენტი. 7 წლიანი სესხის აღების შემთხვევაში კი იგივე თანხაზე ყოველთვიური გადასახადი იქნება 280-300 აშშ დოლარი.

თუ თქვენ გადაწყვეტთ თიბისი ბანკში სესხის აღებას, საჭირო იქნება შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1. პირადობის მოწმობა, ან პასპორტი
2. შრომითი ხელშეკრულება მიმდინარე სამსახურში
3. რეკომენდაცია მიმდინარე სამსახურიდან
4. დასაგირავებელი ქონების საკუთრების დამადასტურებელი საბუთი
5. ხელფასის დამადასტურებელი ცნობა

***დარეგისტრირებული ვარ "ავტომატური კომუნალური გადასახადების" სერვისზე და პროგრამაში მითითებული მაქვს მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა მომდიოდეს შეტყობინება კომუნალური გადარიცხვის განხორციელების შესახებ. ზოგ შემთხვევაში შეტყობინება არ მომდის. შეგიძლიათ მითხრათ, რატომ?***



**ვახტანგ ჯავახიშვილი, მარკეტინგის მენეჯერი:** ეს სერვისი ხორციელება ავტომატურად, ამიტომ ასეთი შემთხვევების ალბათობა თითქმის არ არსებობს. თვალსაჩინოებისთვის მინდა გაგაცნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის სქემა:

მომხმარებლის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შემდეგ, ინფორმაცია ოპერაციის შესახებ ავტომატურად ხვდება ბანკის მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემაში, რომელიც ყოველ საათში ერთხელ ინფორმაციას აგზავნის მობილურ ოპერატორთან, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ - აბონენტთან. აღნიშნული სქემა საერთოა ყველა მომხმარებლისთვის, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ანუ შესაბამისი შეტყობინებები იგზავნება ყველასთან.

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კომუნიკაციის მხრივ წარმოქმნილი პრობლემების გამო მომხმარებელი უკმაყოფილებს გამოთქვამს ზოგადად სერვისის მიმართ. ამიტომ ჩვენი რჩევა იქნება, ყურადღება გაამახვილოთ იმ მიზეზებზე, რომლებიც ამ სერვისის მუშაობას აფერხებს, რათა სამომავლოდ აღარ შეგექმნათ მსგავსი პრობლემები.

შეტყობინების ვერმიღების მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი:

■ თუ მობილური ოპერატორისგან შეტყობინების გაგზავნის მომენტში და შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში აბონენტის ტელეფონი გათიშული ან გასული იყო მომსახურების ზონიდან;

■ აბონენტის ტელეფონს შეზღუდვა აქვს მიღებული შეტყობინებების მოცულობის მიხედვით და ტელეფონი გადავსებულია;

■ მომხმარებელმა შეტყობინება მიიღო, მაგრამ წაუკითხავად წაშალა;

■ მომხმარებელმა შეტყობინება მიიღო მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია;

შეტყობინების გაგზავნის მომენტში ბანკსა და მობილურ ოპერატორს შორის წარმოშობილი კომუნიკაციის გაუთვალისწინებელი დროებითი ხარვეზი.

# ჩემები-უნივერსალი ახალი მიდგომა ჯანმრთელობის დაზღვევაში!

სადაზღვევო კომპანია ბი სი აი საქართველოს სადაზღვევო სივრცეში უკვე 8 წელია აქტიურად მოღვაწეობს. მას თავისუფლად შეიძლება მიენიჭოს ნოვატორი კომპანიის სახელწოდება, რადგანაც სწორედ ეს კომპანია პირველი გავიდა საცალო ბაზარზე და დაიწყო მუშაობა თითოეული მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით. 2006 წლის თებერვალში სადაზღვევო კომპანია ბი სი აიმ შექმნა ახალი სადაზღვევო პროგრამა "ჩემები", საცალო ბაზარზე გასვლის პირველი ნაბიჯების გადადგმაც აქედან დაიწყო. სადაზღვევო პროგრამა "ჩემებში" ერთიანდება მრავალი სახის დაზღვევა, ეს არის ავტომანქანის, ქონების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, მოგზაურობის, ახლა უკვე უმუშევრობის დაზღვევა, სადაც მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული თითოეული მომხმარებლის მოთხოვნები, ინტერესები და რაც მთავარია დაზღვევა გახდა მეტად ხელმისაწვდომი თითოეული სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის. მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად და ინდივიდულაური პირისთვის არჩევანის თავისუფლების მისანიჭებლად სადაზღვევო კომპანია ბი სი აიმ სადაზღვევო პროგრამა ჩემების ფარგლებში შექმნა ჯანმრთელობის დაზღვევის უახლესი პროდუქტი "ჩემები - უნივერსალი". "ჩემები - უნივერსალი" მომხმარებელს საშუალებას აძლევს თავად აირჩიოს მისთვის სასურველი და საჭირო მომსახურებები და შექმნას ჯანმრთელობის დაზღვევის ინდივიდუალური პოლისი.

"ჩემები - უნივერსალის" ჯანმრთელობის დაზღვევაში სამედიცინო მომსახურებები დაჯგუფებულია 4 დამოუკიდებელ მოდულად. მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა შეიძინოს მინიმალური სადაზღვევო დაფარვა ერთი მოდულის არჩევისას ან მიიღოს ჯანმრთელობის დაზღვევის სრული პაკეტი ოთხივე მოდულის დაჯგუფებით.

ალსანიშნავია რომ, "ჩემები - უნივერსალის" ორი ან მეტი მოდულის შეძენისას მომხმარებელი მიიღებს მნიშვნელოვან ფასდაკლებას ჩემები - უნივერსალის პოლისზე.

■ **ორი მოდულის შეძენის შემთხვევაში -25%**
■ **სამი მოდულის შეძენის შემთხვევაში -33%**
■ **ოთხი მოდულის შეძენის შემთხვევაში -40%**

"ჩემები - უნივერსალის" შეძენისას პოლისის მფლობელი თავისუფალი იქნება თბილისში არსებული სამედიცინო კლინიკის შერჩევისას და დამატებით მისი ოჯახის წევრები ისარგებლებენ 10% ფასდაკლებით ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სადაზღვევო კომპანია ბი სი აი "ჩემები-უნივერსალის" მფლობელს საჩურად გადასცემს ჩემები ვიზა-ბარათს, რომლის გამოყენებასაც დაზღვეული შეძლებს მთელს მსოფლიოში. ჩემები ვიზა-ბარათი დაზღვეულ პირებს საშუალებას მისცემთ ისარგებლონ მთელი რიგი ფასდაკლებებით როგორც "ავერსი-ფარმა"-ს აფთიაქების ქსელში და ასევე სადაზღვევო პროგრამა "ჩემების" მრავალ სადაზღვევო პროდუქტზე.

ჯანმრთელობის დაზღვევის უნივერსალურ პოდუქტზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დავუკავშირდით სადაზღვევო კომპანია ბი სი აის, ბი სი აი ასისტანსის უფროსს ნინო მიქავას:

**- ქალბატონო ნინო იქნებ უფრო დაწვრილებით მოგვიყვეთ რას გვთავაზობს ჯანმრთელობის დაზღვევა "ჩემები - უნივერსალი"?**

- "ჩემები-უნივერსალის" სამედიცინო მომსახურებების არჩევისას მომხმარებელი აბსოლუტურად თავისუფალი იქნება, რადგანაც სწორედ ჯანმრთელობის დაზღვევის ეს უახლესი პროგრამა სთავაზობს მომხმარებელს ძალიან ბევრ სამედიცინო მომსახურებას, რის დაპაკეტებასაც თავად შეძლებს. ჩემები-უნივერსალის შეძენა შეუძლიათ განუსაზღვრელად ყველას 1 წლიდან-60 წლამდე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

**- როგორ აირჩიოს მომხმარებელმა მოდულები?**

- მოდულების შერჩევისას თითოეული მომხმარებლი იხელმძღვანელებს თავისი ასაკისა და მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შეგვიძლია მომხმარებელს გაუწიოთ რეკომენდაცია ამა თუ იმ მოდულის არჩევისას დანარჩენი კი თითოეული ინდივიდის საქმეა.

**- დაახლოებით რა ღირებულებისაა თითოეული მოდული?**

- თუ გავითვალისწინებთ დამზღვევის ასაკს და პირობითად ავიღებთ საშუალო ასაკს 31-35 წელს, ერთი მოდულის ღირებულება იქნება 7.4$, ხოლო 4 მოდულის ღირებულება ანუ სრული სადაზღვევო დაფარვის შეძენის ფასი იქნება 25$-30$.

**- აქვს თუ არა თქვენს სადაზღვევო კომპანიას ჯანმრთელობის დაზღვევის სხვა პროგრამები?**

- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს უნდა უკვე დაპაკეტებული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა, ამ მხრივ ჩვენს კომპანიას დიდი რესურსი გააჩნია. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ჩემები-უნივერსალის შეძენა მომხმარებელს დაპაკეტებული სახითაც შეეძლებათ, გვაქვს ასევე ჯანმრთელობის დაზღვევის დაპაკეტებული პროდუქტი VIP+, რომელიც თავისთავად ითავლისწინებს მთელ რიგ სამედიცინო მომსახურებებს როგორც ქვეყნის შიგნით და ასევე მის ფარგლებს გარეთაც კერძოდ, მსოფლიოს ნებიმიერ წერტილში. დამატებით გვაქვს საკმაოდ ხელმისაწვდომი და მრავალი მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებებით გაჯერებული პროდუქტი ოჯახის ექიმი 3 და ოჯახის ექიმი 6.

BCI სადაზღვევო კომპანია INSURANCE COMPANY




## თიბისი ბანკი და Cosmopolitan-ი საზოგადოებას პლასტიკურ ბარათებს წარუდგენს

"თიბისი ბანკისა" და ჟურნალ Cosmopolitan-საქართველოს ერთობლივი viza პლასტიკური ბარათის - TBC Cosmo - პრეზენტაცია "თიბისი ბანკის" სათაო ოფისში პარასკევს გაიმართება. ღონისძიებას "თიბისი ბანკის", ჟურნალ "კოსმოპოლიტენისა" და პროექტში მონაწილე სხვა კომპანიების წარმომადგენლები დაესწრებიან. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საკონსულტაციო ჯგუფ "ჯეპრა"-დან აცნობეს. "ჯეპრას" ინფორმაციით, TBC Cosmo მხოლოდ ქალბატონებისთვის განკუთვნილი პლასტიკური ბარათია და მისი დანერგვა 21 ოქტომბრიდან დაიწყება. TBC Cosmo მომხმარებელს საშუალებას აძლევს, პარფიუმერიის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სპორტული, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და სხვა მაღაზიებში, ასევე რესტორნებში, სილამაზის სალონებში, გასართობ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ და სამედიცინო ცენტრებში სპეციალური ფასდაკლებებით ისარგებლოს. პრაიმ-ნიუს ბიზნესს "ჯეპრა"-დან აცნობეს, რომ TBC Cosmo-ს მფლობელი სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგისგან" ექსკლუზიური პირობებით და "თიბისი ბანკის" სხვადასხვა მომსახურებაზე გარკვეული შეღავათებით ისარგებლებს. "თიბისი ბანკი", დღეისთვის, ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში ყველაზე მსხვილ კომერციულ ბანკს და კავკასიის რეგიონში სიდიდით მეორე ბანკს წარმოადგენს. 2002 წლიდან "თიბისი ბანკი", როგორც წლის საუკეთესო ქართული ბანკი, "Financial Times Group"-ის ყოველწლიურ საბანკო რეიტინგში ზედიზედ 4-ჯერ დასახელდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ქუთაისში მთავრობის გასვლითი სხდომა გაიმართება

საქართველოს მთავრობის გასვლითი სხდომა პარასკევს, ქუთაისში გაიმართება. პრაიმ-ნიუს ბიზნესს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, რომ მთავრობის სხდომას, რომელიც ქუთაისის მერიაში გაიმართება, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახსნის. მთავრობის სხდომას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები დაესწრებიან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## რობერტ კრისტიანსენი: საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა არასაკმარისია

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის, რობერტ კრისტიანსენის აზრით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა არასაკმარისია. "საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის(მშპ) მოცულობა გასულ წელს 6,4 მილიარდი დოლარით განისაზღვრა, რაც ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციების მოცულობამ საქართველოში მშპ-ს მხოლოდ 8 პროცენტი შეადგინა. როგორც წესი, სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებისთვის მთლიან შიდა პროდუქტში უცხოური კაპიტალდაბანდებები 20 პროცენტს შეადგენს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ იქნება საკმარისი სწრაფი და სტაბილური ეკონომიკური ზრდისთვის," - განუცხადა "ინტერპრესნიუსს" კრისტიანსენმა. მისი თქმით, კერძო კომპანიები, როგორც ყოველთვის, ცდილობენ მაქსიმალური მოგება ნახონ. ამიტომ ის უცხოური ფირმები, რომლებიც საქართველოში კაპიტალს აბანდებენ, გამონაკლისს არ წარმოადგენენ. თუმცა, კრისტიანსენის განცხადებით, უცხოურ ინვესტიციებს დიდი სარგებლობა მოაქვთ ნებისმიერი ქვეყნისთვის. პირველ რიგში, ეს განათლების, ტექნოლოგიური ინოვაციებისა და მართვის სფეროებზე აისახება. "ის ასწავლის სამუშაო ძალას, როგორ გახდეს კონკურენტუნარიანი მსოფლიო სამუშაო ბაზარზე. ყველა ეს ფაქტორი კი, საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობს," - აღნიშნა სსფ-ს წარმომადგენელმა. **ინტერპრესნიუსი**

## "ენერჯი ინვესტი" 500 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს

სს "ენერჯი ინვესტი" მომავალ წელს საქართველოში ნახევარი მილიარდი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. როგორც "ინტერპრესნიუსს" "ენერჯი ინვესტის" პრეზიდენტმა გენო მალაზონიამ განუცხადა, მომავალი წლის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საწარმოს გადაიარაღება და მუშაობის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა. "ვაპირებთ კარბომიდის, ფოროვანი გვარჯილისა და კაპროლაქტამის წარმოებას. ბათუმში დავიწყებთ მეთანოლის ქარხნის მშენებლობას და, პარალელურად, ინვესტიციები გარდაბნის აირტურბინული სადგურის სიმძლავრის ზრდაში ჩაიდება, - განაცხადა მალაზონიამ. მისივე ინფორმაციით, წელს საწარმო "აზოტის" განვითარებაში 20 მილიონი დოლარი დაბანდდა, გაუმჯობესდა ფინანსური მაჩვენებლები და ყველა პარამეტრი, გაფართოვდა დისტრიბუცია. "აზოტი" ერთადერთი ქიმიური საწარმოა ამიერკავკასიაში, სადაც მინერალური სასუქების წარმოება ხდება. მომხმარებლები არიან სომხეთი, აზერბაიჯანი, აშშ, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები (თურქეთი, საბერძნეთი, ისრაელი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, სირია, მაროკო). სრული დატვირთვით მუშაობის დროს საწარმო წელიწადში 450 000 ტონა მინერალურ სასუქებს, 400 000 ტონა ამიაკს და 10 000 ტონა ციანიდის ნატრიუმს აწარმოებს. "ენერჯი ინვესტი" ქართულ-რუსული კომპანიაა. მისი დამფუძნებლები რუსული გიგანტი ბანკი "ვნეშტორგბანკი" და "გაერთიანებული ქართული ბანკი" არიან. **ინტერპრესნიუსი**

## ამერიკული სავაჭრო პალატა ახალი საინვესტიციო კანონპროექტით კმაყოფილია

ამერიკული სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ეზბენ ემბორგი საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საინვესტიციო კანონპროექტით კმაყოფილია. "ჩვენი წარმომადგენლის კომენტარს არასწორი ინტერპრეტაცია მოჰყვა. მიმაჩნია, რომ ის საკმაოდ კარგი კანონია და ინვესტორებს რეალურად ეხმარება. მხოლოდ რამდენიმე ტექნიკური საკითხილა დარჩა დასახვეწი," - განაცხადა ემბორგმა. სავაჭრო პალატის პრეზიდენტის თქმით, საინვესტიციო გარემო საქართველოში ბოლო პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა, რაც ხელს შეუწყობს უცხოური კაპიტალის შემოდინებას. თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ დღის წესრიგში კიდევ დგას კანონის უზენაესობის საკითხი. "ვიმედოვნებთ, საქართველოს მთავრობა დაგვეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში," - განაცხადა მან. ამერიკული სავაჭრო პალატის პრეზიდენტის თქმით, მისი თანამემამულე ინვესტორები, ძირითადად, სოფლის მეურნეობისა და კომუნიკაციების სფეროებით, ასევე მასმედიით არიან დაინტერესებულნი. "ეს ყველაზე პერსპექტიული და ახალგაზრდა დარგებია საქართველოში," - აღნიშნა ემბორგმა. **ინტერპრესნიუსი**

# შემოქმედი მემკვიდრეობითი მილიარდერი

პირველი გვერდიდან

### მამიკოს ბიჭი

შეიძლება, სტელიოსი ეგზომ განთქმული ბიზნესმენი არ გამხდარიყო, რომ არა თხუთმეტი წლის წინ მომხდარი ტრაგედია, რომელმაც, თავად მილიარდერის თქმით, სრულიად შეცვალა მისი მსოფლმხედველობა. ჯერ წინაისტორიას შევეხოთ: კვიპროსელი მილიარდერის და საზღვაოსნო კომპანია Troodos Shiping-ის მფლობელის ლუკას ჰაჯი-იოანუს უმცროსმა შვილმა სტელიოსმა ლონდონში პრესტიჟული განათლება მიიღო და 1988 წელს ოჯახურ ბიზნესში მამასთან და ძმასთან ერთად მუშაობა დაიწყო.

უფროსი ჰაჯი-იოანუ კომპანიას "გათიშე და იბატონეს" პრინციპით მართავდა, ინტრიგებს ხლართავდა და ყველაფერს აკონტროლებდა. მართალია, 1993 წელს ლუკასმა ძალაუფლების გადანაწილება განახორციელა და სტელიოსი კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, რადგან ყველაფერს მაინც უფროსი ჰაჯი-იოანუ წყვეტდა. სტელიოსი ცდილობდა, კომპანიის საქმიანობაში რაიმე სიახლე შეეტანა, თუნდაც, მოძველებული საბეჭდი მანქანები კომპიუტერებით შეეცვალა, მაგრამ მის ყველა გადაწყვეტილებას მამა ვეტოს ადებდა.

იქამდე კი, 1991 წლის 11 აპრილს ოჯახის კუთვნილი ტანკერი გენუის პორტში რემონტისას მოულოდნელად აფეთქდა. ეკიპაჟის ხუთი წევრი დაიღუპა და წყალში ჩაიღვარა ერაყული ნედლი ნავთობი. იტალიელმა პროკურორმა სტელიოსს და მამამისს რამდენიმე ბრალდება წაუყენა, მათ შორის - ისეთი სერიოზულებიც, როგორებიცაა წინასწარგანზრახვით მკვლელობა, მოწმეების მოსყიდვა და გამოძალვა. ოჯახური ბიზნესი უფსკრულის პირას აღმოჩნდა. ჰაჯი-იოანუები რომ დამნაშავედ ეცნოთ, თავს ციხეში ამოყოფდნენ და 1 მილიარდი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდაც მოუწევდათ.

საბოლოოდ, რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე სასამართლომ ჰაჯი-იოანუები გაამართლა, სტელიოსმა კი მამისაგან გამოყოფა და საკუთარი გზის არჩევა გადაწყვიტა. მისთვის საკმარისი იყო დადანაშაულება, რომ იგი მოძველებულ ფლოტს ხელმძღვანელობდა. შვილი მამას მოელაპარაკა, მისგან 30 მილიონი დოლარი ისესხა, საკუთარი კომპანია Stelman Shipping-ი დააარსა და ახალი მოდელის ტანკერები შეიძინა. მან საქმე მშვენივრად ააწყო, კომპანიას დიდძალი მოგება მოჰქონდა. 2001 წელს მისი აქციები ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გავიდა. თავდაპირველად ერთი აქცია 12 დოლარი ღირდა, მაგრამ ერთ კვირაში 22 დოლარამდე გაძვირდა და Stelman-ს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო დებიუტანტი უწოდეს. აქციების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლით კომპანიამ ტანკერების რაოდენობა გააორმაგა.








### ზღვიდან ცაში

Stelman Shipping-ის დაარსებიდან ორი წლის შემდეგ სტელიოსმა ახალ სფეროში მოღვაწეობა გადაწყვიტა და დისკაუნტ-ავიახაზების ფირმა EasyJet-ი დაარეგისტრირა, რომლის საწესდებო კაპიტალი კვლავ ოჯახური ბიუჯეტიდან ნასესხები 7,5 მილიონი დოლარი გახლდათ. კომპანიის ხელმძღვანელად ახალზელანდიელი რეიმონდ უებსტერი დანიშნა, თავად კი 16-საათიანი სამუშაო დღე დაიწესა. უმცროს ჰაჯი-იოანუს გულით სურდა მამისთვის დაემტკიცებინა, რომ ყველაფერი შეეძლო და თავს არ ზოგავდა.

სტელიოსმა გადაწყვიტა, მგზავრები ერთი პუნქტიდან მეორეში ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯის გარეშე გადაეყვანა, რითაც ბილეთებით მოვაჭრე ტურისტული ფირმები დააზარალა. ამასთან, შეიმუშავა თვითმფრინავის ბილეთის ფასის გამოთვლის ახალი მეთოდი: სპეციალური პროგრამა რეისის პოპულარულობის და გადატვირთულობის მიხედვით ფასს სწრაფად ადგენდა. ამან EasyJet-ს დიდი პოპულარულობა მოუტანა. გარდა ამისა, სტელიოსმა გადაწყვიტა, ბილეთების გაიაფებისათვის მომსახურების გამარტივებით მიეღწია, კერძოდ, EasyJet-ის თვითმფრინავების მგზავრებს ერთობ მწირად კვებავენ. ამასთან, შემცირდა გამცილებლების რიცხვიც. როგორც წესი, კომპანია მხოლოდ სტანდარტულ Boeing 737-ს იყენებს, რადგან, სტელიოსის აზრით, მხოლოდ ერთი მარკის ავიალაინერებით ფრენა რემონტის და სათადარიგო ნაწილების დანახარჯებს ამცირებს. ამგვარად, EasyJet-ის რეისებზე ბილეთები, სხვა ავიაკომპანიებთან შედარებით, ბევრად იაფია და მგზავრებიც კმაყოფილია, რადგან ერთადერთი, რაზეც სტელიოსი ეკონომიას არ აკეთებს, უსაფრთხოებაა.

2003 წელს Easyjet-ი ღია ტიპის სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა და მისი აქციების ბირჟაზე გატანის შედეგად შემოსული თანხა კვლავ ბიზნესის გაფართოებას, ანუ ახალი თვითმფრინავების შეძენას მოხმარდა.

აღსანიშნავია, რომ სტელიოსს რეკლამის დიდებული ნიჭი აღმოაჩნდა. ჯერ იყო და, ტურისტული სააგენტოები იმდენი ლანძლა, რომ მათ სასამართლოში უჩივლეს, რითაც დიდებული უფასო რეკლამა გაუკეთეს. შემდეგ ათენელებს, მხარდაჭერის სანაცვლოდ, უფასო ბილეთს დაჰპირდა, რასაც სასამართლოსთან მრავალრიცხოვანი დემონსტრაციის ჩატარება მოჰყვა, და ეს, ცხადია, მედიამ გააშუქა.

1998 წელს British Airways-ის თავკაცმა რობერტ ეილინგმა ჰაჯი-იოანუს EasyJet-ში ინვესტიციის განხორციელება შესთავაზა. სტელიოსს წინადადება მოეწონა და მომავალ პარტნიორს თავისი კომპანიის ბუღალტერია წარუდგინა. ცოტა ხანში მოლაპარაკებები შეწყდა და British Airways-მა საკუთარი დისკაუნტ-ავიახაზების Go-ს გახსნის შესახებ განაცხადა. სტელიოსი გაოგნებული და განრისხებული იყო და შური იმით იძია, რომ Go-ს პირველ სარეკლამო რეისზე რამდენიმე ადამიანთან ერთად, EasyJet-ის საფირმო ფორმაში გამოწყობილი გამოცხადდა და თავისი კომპანიის სარეკლამო ბუკლეტები დაარიგა. მოკლედ, კონკურენტს ზეიმი ჩაუშხამა. აქვე უნდა ითქვას, რომ მათი კონკურენცია დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე British Airways-მა Go გაყიდა.

### "მარტივი" ფული

EasyJet-ის პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა და სტელიოსი მალე მიხვდა, რომ არა უბრალოდ ავიაკომპანია, არამედ ნამდვილი ბრენდი შექმნა. ამიტომაც გადაწყვიტა, დაეარსებინა კონცერნი EasyGroup-ი, რომელიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებს გააერთიანებდა, რომელთა სახელიც Easy-ით დაიწყებდა. ერთ-ერთი პირველი წარმატებული პროექტი ავტომობილების გამქირავებელი ფირმა EasyRentacar-ი გახლდათ, რომელიც ასევე დისკაუნტ-მომსახურების პრინციპზე შეიქმნა და დღეისათვის ევროპის ათამდე ქვეყანაში მოღვაწეობს. იგი მომხმარებელს ერთი მარკის ავტომობილით, კერძოდ კი, A კლასის "მერსედესით" და ძალზე დაბალი ფასებით ხიბლავს.

შემდეგ შექმნა EasyValue, რომელიც ჩვეულებრივი ინტერნეტ-მაღაზია გახლავთ, მაგრამ სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი საშუალებით კონკურენტი ონლაინ-მაღაზიების ფასების გაცნობა და მისაღები ვარიანტის არჩევა შეიძლება. ალბათ, მიხვდებით, რომ ყველაზე მიმზიდველი ფასები სწორედ EasyValue-ს აქვს. შემდეგ ჰაჯი-იოანუ ონლაინ-ფინანსების სფეროში შეიჭრა და EasyMoney შექმნა. მისი სვლა კვლავ წარმატებული აღმოჩნდა.

სტელიოსის Easy-ინკუბატორის ერთ-ერთ საინტერესო პროდუქტად ინტერნეტ-კაფეების ქსელი EasyEverything ითვლება. გამჭრიახმა ბიზნესმენმა ყურადღება მიაქცია, რომ ინტერნეტ-კაფეები, ძირითადად, მომხმარებელთა ვიწრო წრეზე, კერძოდ, კომპიუტერული თამაშების და ჩატის მოყვარულებზეა გათვლილი და ხშირად წაგებაზე მუშაობს. მან კი გადაწყვიტა, აქცენტი ტურისტებსა და ბიზნესმენებზე გაეკეთებინა, რომლებიც სასიამოვნო გარემოში ინტერნეტით სარგებლობას ისურვებდნენ. წარმატებამ არ დააყოვნა, კეთილმოწყობილი ინტერნეტ-კაფეები მთელ ევროპას მოედო და მფლობელისათვის წელიწადში 100 მილიონ დოლარამდე მოგება მოაქვს. თანაც, მისი უდიდესი ნაწილი არა ინტერნეტით სარგებლობის, არამედ ათასგვარი დამატებითი მომსახურების წყალობით მოედინება. ამგვარი პოპულარობა უახლესმა ტექნიკამ, საუცხოო, ლამის ოჯახურმა გარემომ, საჭმელ-სასმელის ფართო არჩევანმა და, რა თქმა უნდა, დაბალმა ფასებმა განაპირობა.

ცხადია, ყველაფერი ამის შემდეგ სტელიოსი აღარ არის მამის ფულით ბიზნესის მკეთებელი ბიჭი, მამის, რომელმაც ორი წლის წინ დასვენება გადაწყვიტა, თავისი ქონება კი შვილებს გაუნაწილა. კერძოდ, სტელიოსს ოფშორული ფირმა Stelinvest-ი ერგო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად ჰაჯი-იოანუს კაპიტალი 1,8 მილიარდ დოლარს შეადგენს და გამუდმებით, თანაც, ერთობ მაღალი ტემპით იზრდება. მართალია, სტელიოსს ახალი არაფერი გამოუგონია, მაგრამ არსებულის უფრო იაფად და ხარისხიანად ქცევა კი ნამდვილად შეძლო.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა გაგრძელდა. მიუხედავად ნავთობის გაძვირებისა, ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა დამაიმედებელმა მაკროეკონომიკურმა სიახლეებმა, კერძოდ, მეორე კვარტალში აშშ-ს შიდა პროდუქტის 2,6 პროცენტით გაზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ და დოლარის კურსის გამყარებამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,17 პროცენტით, 11.708,93 პუნქტამდე გაიზარდა. 0,15 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.266,71 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,06 პროცენტით, 1.337,36 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასმა მოიმატა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 62,52 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 63,06 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა, რაც მიმდინარე წლის 19 სექტემბრის შემდეგ დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, გუშინ მისმა ფასმაც მოიმატა და 1 მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის (1 ბრიტანული თერმული ერთეული 1055,06 ჯოულს შეესაბამება) ღირებულებამ 5,101 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაძვირება უკავშირდება ტრეიდერების შეშფოთებას, რომ შესაძლოა, ოპეკმა რიგგარეშე კონფერენცია მოიწვიოს და ნედლეულის მოპოვების მოცულობის შემცირების გადაწყვეტილება მიიღოს. როგორც ცნობილია, კარტელის პრეზიდენტმა ედმუნდ დაუკორუმ ამგვარი შესაძლებლობა არ გამორიცხა, თუ ნავთობის ფასი 60 დოლარი/ბარელს ქვემოთ შენარჩუნდებოდა. გარდა ამისა, ნავთობის გაძვირება გუშინწინდელი გაიაფების შემდეგ შესყიდვებისადმი ინტერესის გაზრდამაც განაპირობა.

## ოქროს ფასი 600 დოლარი/უნციის ნიშნულს ასცდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 1 პროცენტით გაძვირდა და მისმა ღირებულებამ 603,3 დოლარი შეადგინა, რაც უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. ვერცხლის ფასმა 0,21 პროცენტით, 11,7 დოლარი/უნციამდე მოიმატა, რაც ასევე ორკვირიანი მაქსიმუმია. პლატინა 0,65 პროცენტით, 1139 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 0,4 პროცენტით, 320 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირების მიზეზი ნავთობის ფასების ზრდა გახლდათ. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ ოქროს გაყიდვის ციკლის დასრულებამ და ფერადი ლითონების ბაზარზე ფასების ზრდამ.

## News Corp-მა ორი ნიუ იორკული გამომცემლობა შეიძინა

ამერიკულმა მედია-გიგანტმა, რუპერტ მერდოკის პირმშომ News Corp-მა თავისი იმპერია ორი ნიუ იორკული გამომცემლობის: TimesLedger-ის და Courier-Life-ის შეძენით გააფართოვა, რომლებიც ქვინსაა და ბრუკლინში 28 პერიოდულ გამოცემას უშვებენ. მართალია, გარიგების ღირებულება კონფიდენციალურია, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, News Corp-მა ამ ორ გამომცემლობაში 16 მილიონი დოლარი გადაიხადა.

## Merck-მა Foxhollow-ის აქციების პაკეტი იყიდა

გერმანულმა ფარმაცევტულმა გიგანტმა Merck-მა ამერიკული კომპანია Foxhollow Technologies-ის აქციების 11 პროცენტი შეიძინა. ეს უკანასკნელი განთქმული გახლავთ სტენტების შექმნითა და წარმოებით, რომლებითაც სისხლძარღვებს თრომბებისა და ათეროსკლეროზული ფოლაქებისაგან ათავისუფლებენ. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ამ ორმა კომპანიამ ათეროსკლეროზის სადიაგნოსტიკო ბიომარკერების, რომლებიც Merck-ს ქოლესტერინის საწინააღმდეგო პრეპარატების წარმოებაში ეხმარება, ერთობლივი შექმნის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს.

გარიგების პირობების მიხედვით, Merck-მა Foxhollow-ის აქციების 11 პროცენტში 95 მილიონი დოლარი გადაიხადა და კიდევ 100 მილიონის ინვესტიციას მომდევნო 4 წლის განმავლობაში განახორციელებს. ამასთან, Foxhollow-ის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობას Merck-ის წარმომადგენელი დაემატება. აღსანიშნავია, რომ ამ გარიგების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე Foxhollow-ის აქციების ფასმა 20 პროცენტით მოიმატა.

## Microsoft-ი დიდი ჩინური ინვესტირებისათვის ემზადება

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის ბილ გეითსის პირმშო, განთქმული ამერიკული კორპორაცია Microsoft Corp-ი მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინურ ეკონომიკაში ყოველწლიურად 100 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავს. ჩინეთში Microsoft-ის კვლევითი ცენტრის პრეზიდენტის, ძან იაძინის თქმით, პირველი სამი წლის განმავლობაში გაღებული ინვესტიციები ახალი ინტერნეტ-ტექნოლოგიების შექმნას მოხმარდება, შემდეგი ხუთი წლის

განმავლობაში კი თანხები ახალი პროგრამული უზრუნველყოფის პროექტების შემუშავებაზე დაიხარჯება.

# საქართველოდან მორიგი ინვესტორი მიდის

პირველი გვერდიდან

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ პრივატიზაციით დაინტერესებული კომპანიების წინადადებები კანცელარიაში 16 ივნისს გახსნა. გასაყიდად გამოტანილი 9 ენერგოკომპანიიდან 8-ის მფლობელი ჩეხური კომპანია Energo pro გახდა, რომელიც "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში", "აჭარის ენერგოკომპანიაში" და 6 ჰესში 321 მილიონ 350 ათას დოლარს იხდის (ან უნდა გადაეხადა).

ჩეხურ ENERGO-PRO-სთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დრო ჯერ კიდევ უცნობია. როგორც მთავრობაში აცხადებენ, ამ ეტაპზე ისინი ჩეხური კომპანიის იურისტებთან ნასყიდობის ხელშეკრულების დეტალებზე მუშაობენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის მხრიდან აქამდე ხელშეკრულების ხელმოწერის რამდენიმე თარიღი დასახელდა, მაგრამ არც ერთი არ გამართლდა.

თუმცა, უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც ENERGO-PRO-ს მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის გადახდილი სადეპოზიტო თანხა 5,3 მილიონი აშშ დოლარი ჩეხური კომპანიის ერთ-ერთ მომავალ აქტივს - "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბიციო ენერგოკომპანიას" გადაეცემა. ამ თანხას ენერგოკომპანია ელექტროენერგიის შესყიდვისათვის გამოიყენებს.

ერთი დეტალი: სახელმწიფო სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" 100-პროცენტიანი მეწილეა. ENERGO-PRO-ს შემთხვევაში კი იყიდებოდა სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ბალანსზე რიცხული ქონება.

"24 საათი" გარკვეული დეტალების დასაზუსტებლად ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს ალეკო ხეთაგურს დაუკავშირდა. პირველივე კითხვა, ბუნებრივია, ENERGO-PRO-ს საქართველოში საქმიანობას ეხებოდა, თუმცა საუბარმა მოსალოდნელი ზამთრისთვის ქვეყნის ენერგოსისტემის მზადყოფნის საკითხებიც მოიცვა.

**- ბატონო ალეკო, ENERGO PRO-სთან ხელშეკრულების დადების პროცესი რატომ ჭიანურდება?**

- არაფერი არ ჭიანურდება. ამ ეტაპზე, მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ეს ბუნებრივი პროცესია. ნებისმიერი ხელშეკრულება წინასწარი მოლაპარაკებების შედეგია.

**- ზამთარიც კარს მოგვადგა. რამდენად მზადყოფნაშია ქართული ენერგოსექტორი?**

- გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო ჩატარებულია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ პირველი ზამთარი გამოვიარეთ, როცა უწყვეტი ელექტრომომარაგება გვქონდა. ბუნებრივია, თუ არ ჩავთვლით ერთ კვირას, როცა გაზის მილსადენზე აფეთქება მოხდა. მაშინ ასევე დაზიანდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი კავკასიონი. სხვა მხრივ, ენერგოსისტემას არანაირი პრობლემა არ ჰქონია. ჩვენ მაშინ ამ დეფიციტური სიტუაციის აღმოფხვრა ძალიან მცირე დროში მოვახერხეთ.

ჩატარდა მთელი რიგი სარეაბილიტაციო სამუშაოები არა მარტო ელექტროსადგურებზე, არამედ გადამცემ ხაზებზე და გამანაწილებელ ქსელებში. ასევე, აღსანიშნავია გამრიცხველიანების პროგრამა, რომელიც გასულ წელს დაიწყო და წელსაც მიმდინარეობდა.

ქსელის რეაბილიტაცია გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ელექტროსადგურებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, პრაქტიკულად, დასრულებულია. გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები სულ რამდენიმე სადგურზეა დარჩენილი, რომლებიც ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში დასრულდება.

ყველაზე დიდი სამუშაოები ჩატარდა ენგურჰესზე. მოგეხსენებათ, წელს ენგურჰესი რამდენიმე თვით იყო გაჩერებული. მოხდა ენგურჰესის კაშხალზე მისაყრდნობი ფარის ჩაკიდება, რამაც წლის განმავლობაში, დაახლოებით, 500 მილიონი კუბური მეტრი წყლის ეკონომია უზრუნველყო. მინიმუმამდე შემცირდა წყლის დაღვრა. ამ ეტაპზე რეაბილიტაცია სხვა წყალგამშვებ ფარებზე მიმდინარეობს.

ჯამში EBRD-იმ ენგურჰესზე აღნიშნული სამუშაოებისთვის 37,5 მილიონი დოლარი გამოყო. მესამე აგრეგატი მთლიანად ახლით შეიცვალა, რამაც 260 მეგავატი ელექტროენერგია მოგვცა. ამჟამად მიმდინარეობს მეორე აგრეგატის რეაბილიტაცია. პრაქტიკულად, ისიც სულ ახლით შეიცვლება. მოხდა რეაბილიტაცია ენგურჰესის გამანაწილებელ მოწყობილობებში და ქვესადგურშიც. შევუკვეთეთ სრულიად ახალი ტრანსფორმატორი, რომლის ტრანსპორტირებაც ენგურჰესზე ამ ეტაპზე მიმდინარეობს. ის უკვე ზუგდიდამდეა ჩატანილი. მისი ენგურჰესზე გადატანა ძალიან რთული პროცესია, რადგან ტრანსფორმატორის წონა 300 ტონას აღწევს. მოკლედ, ამით ენგურჰესზე ამ წლისთვის გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო დასრულდება და ის ზამთრის პერიოდისათვის მზად იქნება.

ჰიდროელექტროსადგურებიც ზამთრისთვის სრულ მზადყოფნაშია. ამჟამად მიმდინარეობს შაორის ჰიდროელექტროსაგურის რეაბილიტაცია. მის ექსპლუატაციაში გაშვებას ნოემბრის დასაწყისში ვვარაუდობთ. ხრამჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მიმდინარეობს ჟინვალის რეაბილიტაციაც, რომელიც ასევე ნოემბერში დასრულდება.

სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს, სომხეთ-საქართველოს დამაკავშირებელი 400 კვ.-იანი ახალი გადამცემი ხაზის მშენებლობაც დაიწყება.

**- ეს რაც შეეხება ერთიან სისტემას. როგორც ცნობილია, გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს ზემო აფხაზეთში...**

- იქ მართლაც ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები მიმდინარეობს. ზემო აფხაზეთი ერთიან ენერგეტიკულ ქსელში არ არის ჩართული, შესაბამისად, იქ ადგილობრივ ენერგომომარაგებას ვახორციელებთ. წელს ორი ახალი ჰიდროელექტროსადგური შევა ექსპლუატაციაში, რაც გარკვეულწილად გააუმჯობესებს ზემო აფხაზეთის ელექტრომომარაგებას.

ამავე დროს, შენდება გამანაწილებელი და გადამცემი ქსელი, იმისთვის, რომ ამ ელექტეროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მომხმარებლებამდე მივიტანოთ. ჯამში, წელს ზემო აფხაზეთის ელექტრომომარაგება, ამ ორი ახალი ჰიდროელექტროსადგურის და სხვა ძველი ჰიდროელექტროსადგურების საშუალებით, მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი. ასეთი სამუშაოები სამომავლოდაც გაგრძელდება.

**- რა მდგომარეობაა გაზმომარაგების სექტორში?**

- გაზმომარაგების ნაწილში გეგმით გათვალისწინებული ყველა გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაო ჩატარდა.

ამან გაზის ძირითადი ტრანსპორტირების მაგისტრალის საიმედოობის გაზრდა უზრუნველყო. ამასთან, წლის ბოლომდე ჩვენ ყარადაღი-თბილისის მონაკვეთის რეაბილიტაციას დავიწყებთ, რომელიც მომავალ წელსაც გაგრძელდება.

განხორციელდა თბილგაზის პრივატიზება. "ყაზტრანსგაზთბილისი" ახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, გამრიცხველიანებას, რამაც როგორც ტექნიკური, ასევე კომერციული დანაკარგების შემცირება უზრუნველყო. ეს ყველაფერი ერთად კი გაზმომარაგების გაუმჯობესების საწინდარია.

**- დავუშვათ, რომ რუსეთის მხრიდან შარშანდელი ინციდენტი განმეორდა. ამ შემთხვევაში, როგორ გამოვალთ სიტუაციიდან?**

- ასეთი ექსპერიმენტების ჩატარება საჭირო არ არის. ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. მაშინ ზუსტად უნდა ვთქვა, რა რეზერვი გაგვაჩნია, ასეთ შემთხვევაში კი, შეიძლება, ორჯერ მეტი ავარია მივიღოთ.

ამას მკითხველის განსასჯელად დავტოვებ. გასულ ზამთარში მომხდარი ფაქტი კარგი მაგალითია. იმ დღეებში, მართალია, 24-საათიანი ენერგომომარაგება არ ყოფილა, თუმცა 2001-2002 წლებზე უარესი მდგომარეობა ნამდვილად არ გვქონდა. ერთს დაზუსტებით ვიტყვი - წელს გაცილებით უკეთ ვართ მომზადებულნი მსგავსი მოვლენებისთვის.

**- 2007 წლის პირველი იანვრიდან, შესაძლოა, "გაზპრომმა" გაზის საფასური გააორმაგოს...**

- ტარიფის გაძვირებაზე ამ ეტაპზე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. გააჩნია, როგორ ჩაივლის მოლაპარაკებები "გაზპრომსა" და კერძო კომპანიებს შორის.

**- შაჰდენიზიდან დამატებითი მოცულობის გაზის მიღებას როდისთვის ველოდოთ?**

- შაჰდენიზიდან დამატებითი მოცულობის გაზის მიღებაზე მოლაპარაკებები კვლავაც მიმდინარეობს. თუმცა შაჰდენიზის გაზს ძველი ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენ მაინც მივიღებთ.

**- სემეკ-მა 33 მცირე ჰესი რეგულირებისგან გაათავისუფლა. რითი იყო გამოწვეული ეს გადაწყვეტილება?**

- 10 მეგავატიან ელექტროსადგურს ფუნქციონირებისთვის არაფერი სჭირდება. სახელმწიფომ ყველა ადმინისტრაციული ბარიერი მოხსნა. ასე რომ, ნებისმიერს შეუძლია ააშენოს 10 მეგავატამდე ელექტროსადგური, მიუერთოს ის ქსელს, დაიწყოს ელექტროენერგიის რეალიზაცია და დააწესოს მისთვის სასურველი ტარიფი.

**- ამასწინათ ნინო ბურჯანაძემ, უცხოეთში ბოლო ვიზიტისას, საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობაზე განაცხადა. ეს მხოლოდ პოლიტიკური განცხადება იყო თუ...**

- დღეისთვის სამინისტროში ეს საკითხი არ მუშავდება.

საქართველოში გამოცხადებულ დიდ პრივატიზაციას სკანდალები თავიდანვე არ აკლდა:



ალეკო ხეთაგური.

## "გაქცეული ინვესტორი" - დუბლი პირველი

2004 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლება გაზეთ "ფაინენშენლ ტაიმსში" აქვეყნებს განცხადებას "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" გაყიდვის განზრახვის შესახებ. ათ დღეში კი, აფორმებს მემორანდუმს "გრინოკ გრუპთან", რომლის თანახმადაც დანიური წარმოშობის იან ბონდე ნილსენის ბრიტანულ კომპანიათა ჯგუფმა, 107 მილიონ დოლარად, საქართველოს "საოკეანო სანაოსნოს" 100 პროცენტი დაისაკუთრა და ბათუმის პორტის სამი ნავმისადგომის მართვის უფლება მოიპოვა. ამ თემაზე ატეხილი სკანდალის შემდეგ მთავრობა აცხადებს, რომ მემორანდუმი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და სანაოსნოზე გამოცხადებული ტენდერის ვადა 10 იანვრამდე გადადო. 10 იანვარს სატენდერო პაკეტები გაიხსნა: დანიური "Greenoak Group", იტალიური "აკვამარინი", თურქული "Koryat", რუსული "Проминвестор" და იტალიური "Co-Arma", გერმანული "შოლერი" და ავსტრალიური "ამსტრონგ ჰოლდინგი". ასეთი გახლდათ იმ კომპანიათა ნუსხა, რომელთა სახელებიც შოუდ ქცეულ "პაკეტების გახსნის ცერემონიაზე" გაჟღერდა. უკვე მოგვიანებით, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამარჯვებული კომპანიის ვინაობა გამოაცხადა და "24 საათი" შეეცადა მისი ვინაობა გაერკვია, როგორც სახელმწიფო კანცელარიაში, ისე - ეკონომიკის სამინისტროში განუცხადეს, რომ სანაოსნოს პრივატიზაციაში გამარჯვებული ავსტრალიურ-ბრიტანული Armstrong Holdings Corporation (AHC)-ია ASP Ship Management-თან ერთად, რომელიც მის მენეჯმენტს განახორციელებს.

"24 საათი" თავის დროზე ხაზგასმით წერდა, რომ Armstrong Holdings Corporation (AHC)-ის შესახებ ღია ინფორმაციის მოპოვება ძალიან გაძნელებული, რომ არ ვთქვათ - შეუძლებელი იყო. უშედეგოდ დასრულდა გაზეთის მიერ აღნიშნულ კომპანიაზე ინფორმაციის მიღების მცდელობა არა მხოლოდ მთავრობიდან, არამედ ინტერნეტიდან და თავად - საკრედიტო ბანკისგანაც. ერთადერთი საინფორმაციო წყარო, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, თავად ამ კომპანიის საიტი იყო, სადაც ფინანსური ინფორმაცია მთლიანად დახურული იყო. ამასთან, გაურკვეველია, რა ნიშნის მიხედვით მოიხსენიება აღნიშნული კომპანია ბრიტანულად მაშინ, როცა AHC, თავად საკუთარი საიტის ინფორმაციის თანახმად, ოფშორულ ზონაში, დასავლეთ ინდოეთში რეგისტრირებული კერძო კომპანიაა.

ოდნავ მოგვიანებით, Armstrong Holding Corp.-ის მიერ ქართულ აქტივებზე უარის თქმა ბევრ კითხვას და რაც მთავარია "საოკეანო სანაოსნო კომპანიას" მფლობელის გარეშე ტოვებს. საბოლოოდ, საოკეანო სანაოსნოს ისტორია ბრიტანულ-ამერიკული კომპანიიის შვილობილი კომპანიისთვის Georgian Tankers Ltd.-თვის 93 მილიონ დოლარად მიყიდვით დასრულდა.

## "გაქცეული ინვესტორი" - დუბლი მეორე

"საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" მფლობელად გამოცხადებული "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორეიშენის" უეცარი "აორთქლების" შემდეგ "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის მყიდველის მიერ ქართულ აქტივებზე უარის თქმა ქართულ საპრივატიზაციო სივრცეში ნაღმის აფეთქების ტოლფასი გახლდათ. მით უმეტეს, რომ გამარჯვებული "ევრაზჰოლდინგი", იგივე "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორეიშენისგან" განსხვავებით, საკმაოდ ცნობილი კომპანია გახლავთ და მან საქართველოში სერიოზული შერკინება გადაიტანა. და ამ შერკინებაში გამარჯვების შემდეგ კომპანია "ნებით" ტოვებს საქართველოს, უარს ამბობს უკვე გადახდილ 20 მილიონზე და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა - საქართველოს ხელისუფლებისადმი კომპლიმენტებს მაინც არ იშურებს.

"ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" პრივატიზების სურვილი თავიდან, ოფიციალურად ხუთმა კომპანიამ - უკრაინის ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას სიძის, პინჩუკის კუთვნილმა უკრაინულმა "ინტერპაიპმა", ჩეხურმა "მორავია-ჯორჯიამ", ყაზახურმა "კაზ-ხრომმა", რუსულმა "ევრაზჰოლდინგმა" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეპატრონე ავსტრიულმა "დეკომეტალფერომ" გამოთქვეს. თუმცა, საპრივატიზებო დოლს ჩეხური და ყაზახური კომპანიები თავიდანვე გამოეთიშნენ და ფინიშამდე მხოლოდ სამმა კონკურენტმა მიაღწია. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში ახალი გარიგების შესახებ ხდება ცნობილი. კერძოდ, "ინტერპაიპს" "ბლოკი შეუკრეს" - ქართული აქტივები რუსულმა "ევრაზია ჰოლდინგმა" და ს/ს "ფეროს" ქართველმა აქციონერებმა ერთად, 132 მილიონ დოლარად შეისყიდეს. მალევე "ევრაზჰოლდინგთან" მემორანდუმიც გაფორმდა, სადაც ჩაიწერა, რომ "ევრაზჰოლდინგი" და ზესტაფონის "ფეროს" აქციონერები ერთობლივ კომპანია "ნიუ კო"-ს დააფუძნებდნენ, სადაც ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების 70,8 პროცენტი და "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქტივები უნდა ჩადებულიყო. თუმცა, მალევე "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის პრივატიზების ისტორია საოკეანო სანაოსნოს გაყიდვის თავდაპირველ სცენარს ემსგავსება, ანუ "ევრაზჰოლდინგი" უარს ამბობს ქართულ აქტივებზე.

ამ ფაქტის შემდეგ აქტიურად ვრცელდებოდა გარიგების ჩაშლის სხვადასხვა ვერსიები. მათ შორის: ოფიციალური ვერსიით, საქართველოს მთავრობასთან საპრივატიზებო შეთანხმების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ, კომპანიის ექსპერტებმა "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" ეკონომიკურ მიმზიდველობას რამდენიმეთვიანი ექსპერტიზა ჩაუტარეს და დაასკვნეს, რომ ეს საწარმოები არარენტაბელური და წამგებიანია, ამიტომ ამ აქტივებში კომპანიის კაპიტალის ინვესტირება არ ღირდა. პრემიერი ნოღაიდელი ირწმუნებოდა, რომ ბიუჯეტის "კაპიტალური შემოსავლების" გრაფა, "ჭიათურმანგანუმზე" ჩაშლილი საპრივატიზაციო პროცესის მიუხედავად, არ გაირღვევოდა. არაოფიციალური ვერსიით, "ევრაზჰოლდინგს" პრემიერ ჟვანიას მთავრობისგან განსაკუთრებული გარანტიები ჰქონდა მიღებული, რომლის უზრუნველყოფაც პრემიერ ნოღაიდელის მთავრობამ ვერ შეძლო. ოპოზიციის ვერსიით, "ევრაზჰოლდინგის" უარის შემდეგ, ფეროს აქციონერები, რომელთა უკან რომან აბრამოვიჩი დგას, ძალზე ადვილად ჩაიგდებენ "ჭიათურმანგანუმსა" და "ვარციხეჰესს" ხელში. მათ უკვე მოახერხეს "დაკარგულ" 20 მილიონად ფეროს აქციათა საკონტროლო პაკეტის "პირობითი საკუთრებიდან" - "უპირობოში" გადატანა. და ბოლოს, ექსპერტების ვერსიით, "ევრაზჰოლდინგმა" მთავარი კონკურენტის - "ინტერპაიპის" გზიდან ჩამოშორება მოახერხა, რომელიც იმ ეტაპზე, ქართული აქტივების ყიდვით ბაზარზე მონოპოლისტი ხდებოდა. "ევრაზჰოლდინგმა" ქართულ ბრძოლაში დამარცხებით კიდევ უფრო დაამძიმა უკრაინის ექსპრეზიდენტის სიძის კომპანიის მდგომარეობა, რომელმაც საქართველოში ნაწნევი მარცხის შემდეგ, უკრაინაში ხელთ არსებული აქტივებიც დაკარგა.

## ამინდი

| | 29/09 | 30/09 | 1/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 18 | 21 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 18 | 20 | 20 |
| მოსკოვი | 17 | 14 | 15 |
| მინსკი | 20 | 20 | 20 |
| პარიზი | 20 | 21 | 20 |
| რომი | 25 | 26 | 26 |
| ლონდონი | 19 | 19 | 18 |
| მადრიდი | 26 | 23 | 24 |
| ბონი | 19 | 21 | 22 |
| ვარშავა | 20 | 22 | 21 |
| ათენი | 27 | 27 | 27 |
| ბერნი | 22 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 17 | 17 | 17 |
| ოსლო | 18 | 16 | 17 |
| ანკარა | 25 | 23 | 24 |
| ვარნა | 22 | 23 | 22 |
| დელი | 41 | 41 | 41 |
| ტოკიო | 28 | 29 | 28 |
| კოპენჰაგენი | 17 | 15 | 14 |
| ბაქო | 23 | 23 | 27 |
| ერევანი | 28 | 30 | 27 |
| ასტანა | 11 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 15 | 16 | 14 |
| დუბლინი | 15 | 15 | 12 |
| ლისაბონი | 25 | 23 | 22 |
| პრაღა | 21 | 21 | 21 |
| სოფია | 20 | 22 | 24 |
| ბუდაპეშტი | 25 | 26 | 23 |
| ბუხარესტი | 23 | 25 | 26 |

IEDC-Bled School of Management

INTERNATIONAL EXECUTIVE MBA PROGRAM

IEDC Bled School of Management

A School with a View




მენეჯმენტის სკოლა IEDC, გეპატიჟებათ ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის (EMBA) პროგრამის პრეზენტაციაზე, რომელიც გაიმართება ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს 18 საათზე სასტუმრო ქორთიარდ-მერიოტში, ქ. თბილისში.

პრეზენტაცია ჩატარდება ინგლისურ ენაზე. პრეზენტაციაზე საშუალება მოგეცემათ შეხვდეთ ჩვენს კურსდამთავრებულებს და მიმდინარე მონაწილეებს. დასწრება უფასოა.

რეგისტრაციისათვის და დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.iedc.si/presentations



You are kindly invited to the **upcoming IEDC EMBA Information Session in Tbilisi, on Thursday, 12 October, at 18.00 hrs,** at the Courtyard by Marriott Hotel.

Information session will be held in English. During the Information Session you will have the opportunity to meet our alumni and current participants. There is no entrance fee.

**Scholarship possibility!**

**Interviews with potential candidates already on 12 October in Tbilisi.**

Registration and more information: **www.iedc.si/presentations**

**Welcome!**

**The next EMBA programs start on January 7, 2007 (one-year format) and on June 11, 2007 (two-year format).**

IEDC-Bled School of Management
Prešernova 33, 4260 Bled, Slovenija
Phone: + 386 4 57 92 500
info@iedc.si, www.iedc.si